

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა „ლინგვისტიკა“
(თარგმანმცოდნეობა)

მედეა იმნაძე

მეზღვაურთა პროფესიული მეტყველების სტრატეგია
და ტაქტიკა (ინგლისური, რუსული და ქართული
ენების ბაზაზე)

სადოქტორო ნაშრომი წარმოდგენილია
ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ- ხელმძღვანელი: ასმათ არძენაძე
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბათუმი

2020

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი, ----- (ხელმოწერა)

(თარიღი) -----

შინაარსი

| | |
|--|------------|
| შესავალი | 4 |
| I თავი სტრატეგიისა და ტაქტიკის როლი წარმატებულ კულტურათაშორის კომუნიკაციაში | |
| 1.1 კომუნიკაციის ცნება და მისი სახეობები | 9 |
| 1.2 კულტურათაშორისი კომუნიკაცია და მისი წარმატება-წარუმატებლობის პირობები | 24 |
| 1.3 სამეტყველო ქცევის ტაქტიკა / სტრატეგია და სამეტყველო აქტების თეორია | 33 |
| II თავი მეზღვაურთა პროფესიული კომუნიკაციის ტიპების კლასიფიკაცია და საზღვაო დისკურსის დახასიათება ინგლისურ, რუსულსა და ქართულ ენებში | |
| 2.1 პროფესიული ურთიერთობა, მისი ნიშან-თვისებები და ძირითადი ფუნქციები | 45 |
| 2.2 მეზღვაურთა კომუნიკაციის კომპლექსური კლასიფიკაცია | 55 |
| 2.3 საზღვაო დისკურსის დახასიათება ინგლისურ, რუსულსა და ქართულ ენებში | 75 |
| III თავი საზღვაო სამეტყველო სტრატეგიებისა და ტაქტიკის კლასიფიკაცია და მათი მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები ინტერკულტურულ კომუნიკაციაში | |
| 3.1. საზღვაო კომუნიკაციის სტრატეგიული მიზნების ერთობლიობა | 88 |
| 3.2. სამეტყველო ტაქტიკა ინგლისურ, რუსულსა და ქართულ ენებში | 93 |
| 3.3. ინტერკულტურული კომუნიკაციის მთარგმნელობითი პრობლემები | 101 |
| დასკვნა | 113 |
| ბიბლიოგრაფია | 118 |

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი, „მეზღვაურთა პროფესიული მეტყველების სტრატეგია და ტაქტიკა (ინგლისური, რუსული და ქართული ენების ბაზაზე)“, ეძღვნება ზოგადი ენათმეცნიერებისა და თარგმანმცოდნეობის ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას – პროფესიული დისკურსის (კერძოდ კი საზღვაო ურთიერთობების) დაგეგმარებას, კულტურათაშორის კომუნიკაციაში მის გამოყენებას და თარგმანს.

ოცდამეერთე საუკუნე, საერთაშორისო გლობალიზაციის პროცესები საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე სპეციალისტებს ნებისმიერ სფეროში, ესენია: ღრმა და სისტემური ცოდნა, მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების ფლობა, ეფექტური კომუნიკაციის დამყარება პროფესიულ სფეროში. კომუნიკაციური კომპეტენცია პროფესიული კომპეტენციის განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ეს მეტ-ნაკლებად ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრებისდა პროფესიული საქმიანობის ყველა სფეროს ეხება, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასამართლო დისკურსში, სამედიცინო დისკურსში, დიდაქტიკურ სფეროში, მათ შორის – საზღვაო კომუნიკაციის დროს, ვინაიდან მეზღვაურთა პროფესიულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანია ეკიპაჟის შეთანხმებული მუშაობა. ექსტრემალურ სიტუაციებში, რომლებიც ესოდენ ხშირად ჩნდება მეზღვაურების ყოველდღიურ საქმიანობაში, მთავარია ბრძანების ადეკვატურად აღქმა და შესაბამისად სწრაფი რეაგირება, რაც შეუძლებელია დაბალი პროფესიული კომუნიკაციური კომპეტენციის შემთხვევაში.

გემის ეკიპაჟი წარმოადგენს ინტერნაციონალურ კოლექტივს, სადაც სხვადასხვა კულტურის მატარებლები მოქმედებენ ერთიან პროფესიულ სივრცეში, ამიტომ ურთიერთობების სირთულეებს ემატება კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემები. ეკიპაჟის ნებისმიერ წევრს უნდა ჰქონდეს ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა სხვისი სამეტყველო ქცევის გასაგებად და თავისი სამეტყველო მიზნების განხორციელებისთვის, ანუ ნებისმიერმა პროფესიონალმა მიზნებისა და სიტუაციის ადეკვატურად უნდა დაგეგმოს თავისი სამეტყველო ქმედებები, აირჩიოს საჭირო სტრატეგია და ტაქტიკა.

ენობრივი ხერხების გამოყენება პროფესიულ სფეროში თანამედროვე ენათმეცნიერების, კერძოდ, სოციოლინგვისტიკის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს, მეზღვაურთა სამეტყველო ქმედებების ტაქტიკისა და სტრატეგიების შერჩევა კი განსაკუთრებულად აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვის, ვინაიდან ზღვაოსნობა საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში ორი ენის ზეგავლენას განიცდიდა: ინგლისურის, როგორც მეზღვაურთა საერთაშორისო ენისა და რუსული ენისა და კულტურის (საყოველთაოდ ცნობილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებების გამო). არსებულ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული მეტყველების შესწავლას საზღვაო კომუნიკაციაში ინგლისური და რუსული ენების სამეტყველო ტაქტიკისა და სტრატეგიების ჭრილში.

საზღვაო კომუნიკაცია წარმოადგენს ორი სპეციფიკური კომუნიკაციის შენაერთს, ვინაიდან მათში მონაწილე პირები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან (რაც კომუნიკაციის წარმატებლობის ალბათობას ზრდის), ამავდროულად, ისინი ერთ პროფესიულ სფეროში მოღვაწეობენ, მათ აქვთ ერთნაირი პროფესიული განათლება, მსგავსი ფონური ცოდნა, ტიპურია სამეტყველო სიტუაციებიც, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის წარმატებას.

აღსანიშნავია, რომ კულტურათაშორისი კომუნიკაციის დროს მწვავედ დგება ადეკვატური თარგმნის პრობლემა. საზღვაო კომუნიკაციის მონაწილეები ერთი ეკიპაჟის პირობებშიც კი სხვადასხვა კულტურას წარმოადგენენ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მათ უწევთ საქმიანი ურთიერთობა უცხო ქვეყნების პორტების წარმომადგენლებთან (ლოცმანი, დისპეტჩერი, საბაჟოს მოსამსახურეები და სხვ.), ამიტომ წარმატებული კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა აღნიშნული ტაქტიკისა და სტრატეგიების შედარება ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენებში და მათი თარგმნის პრობლემების გაანალიზება.

ზემოხსენებული მეტყველებს ჩვენი სადოქტორო ნაშრომის **აქტუალურობაზე**. კვლევა ეძღვნება მეზღვაურთა პროფესიული მეტყველების სტრატეგიებისა და ტაქტიკის შესწავლას (ინგლისური, რუსული და ქართული ენების მასალაზე).

თანამედროვე სამყარო პოლიკულტურულია, ამიტომ წარმატებული კულტურათშორისი კომუნიკაცია ნებისმიერი პროფესიული მოღვაწეობის აუცილებელი პირობაა, უფრო მეტიც, კომუნიკაციის შესაბამისი სტრატეგიისა და ტაქტიკის შერჩევა პროფესიული კომპეტენციის აუცილებელი პირობაა. პროფესიული, შრომითი კომპეტენციის ჩამოყალიბების მნიშვნელობა უდავოა ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი მეზღვაურთა კომუნიკაციაში, პირველ რიგში, სხვადასხვა ერისა და კულტურის ადამიანებთან კონტაქტის გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ ურთიერთობაში გაუგებრობას შეიძლება მოჰყვეს ავარიული სიტუაცია. ადამიანებს, რომლებიც არ იცნობენ სხვადასხვა ერის კომუნიკაციური სტრატეგიების სპეციფიკას, ხშირად მოსდით შეცდომები, რამაც შეიძლება გაართულოს სიტუაცია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს საქართველოსა და, განსაკუთრებულად, ჩვენი რეგიონისთვის საზღვაო დისკურსის მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობა. ქართული ზღვაოსნობის საინტერესო ისტორიაში აჭარას და ბათუმის პორტს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. დღესდღეობით, როდესაც ბათუმის საზღვაო აკადემია პროფესიონალ მეზღვაურთა კადრებს ამზადებს, მნიშვნელოვანია საზღვაო დისკურსის კომპლექსური შესწავლა, მაგრამ ვინაიდან ქართული საზღვაო დისკურსის შესწავლა მხოლოდ ბოლო ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში დაიწყო, ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი, რადგან მეცნიერების ძირითადი ყურადღება საზღვაო ლექსიკასა და ტერმინოლოგიაზე იყო გადატანილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი სადოქტორო ნაშრომის მიზანია საზღვაო კომუნიკაციის სტრატეგიის, ტაქტიკისა და პროფესიული თარგმნის თავისებურების შესწავლა კულტურათაშორისი კომუნიკაციის ასპექტში (ინგლისური, რუსული და ქართული ენების მასალაზე), რაც ქართულ სინამდვილეში უდავოდ **სიახლეს წარმოადგენს**.

ამ მიზნის მისაღწევად კვლევის პროცესში ჩვენ გვქონდა დასახული შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- 1) კულტურათაშორისი კომუნიკაციისა და სამეცნიერო ტაქტიკისა თუ სტრატეგიის ცნებების გაღრმავება და მათი კლასიფიკაციების დაზუსტება სამეცნიერო ლიტერატურაში;

- 2) საზღვაო პროფესიული დისკურსის თავისებურებების დახასიათება ინგლისური, რუსული და ქართული ენების მასალაზე;
- 3) რჩეული ტაქტიკისა და სტრატეგიის ზეგავლენის შესწავლა კულტურათაშორისი კომუნიკაციის წარმატება-წარუმატებლობაზე;
- 4) ემპირიული მასალის სისტემატიზაცია ჩვენ მიერ გამოყოფილი სტრატეგიებისა და ტაქტიკის მიხედვით;
- 5) საზღვაო დისკურსის თარგმნის პრობლემების გაანალიზება.

სადისერტაციო ნაშრომის **თეორიული მნიშვნელობა** მთელი რიგი ცნების დაზუსტება და დახვეწა (პროფესიული კომუნიკაცია, დისკურსი, სამეტყველო ქცევა, სამეტყველო ტაქტიკა და სტრატეგია და სხვ.). განხილულია ნაკლებად შესწავლილი პროფესიული საზღვაო დისკურსის თარგმნის პრობლემები.

პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა უდავოა, ვინაიდან ნაშრომში გაანალიზებული მასალა და დასკვნები საინტერესოა ლინგვისტებისთვის, მთარგმნელებისთვის, პროფესიული კადრების მომზადებისთვის და მათი გამოყენება შეიძლება მთელი რიგი დისციპლინის პრაქტიკულ მეცადინეობებზე (სოციოლინგვისტიკა, ზოგადი თარგმანის თეორია და პრაქტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, კულტურათაშორისი კომუნიკაცია და სხვ). ქართული საზღვაო ფრაზარიუმის შესწავლა ხელს შეუწყობს ამ დარგის პროფესიონალთა მომზადებას, ასევე სარგებლობას მოუტანს პრაქტიკოს მთარგმნელებს საზღვაო დისკურსის თარგმნაში.

ჩვენი კვლევის **მეთოდოლოგიურ საფუძველს** წარმოადგენს კომპლექსური მეთოდიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურობას და მიღებული დასკვნების სანდოობას, კვლევის პროცესში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და ხერხები: ლინგვისტიკური აღწერის, შედარებით-ტიპოლოგიური კვლევის, ინტერპრეტაციისა და განზოგადების მეთოდები, ანალოგიები, ენათშორისი ეკვივალენტობის დადგენის მეთოდი და ჰერმენევტიკის ძირითადი მეთოდი – განმარტებითი ანალიზი.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

ნაშრომის პირველი თავი – სტრატეგიისა და ტაქტიკის როლი წარმატებულ კულტურათაშორის კომუნიკაციაში კვლევის თეორიულ ბაზას წარმოადგენს, მასში განხილულია, რაოდენ მნიშვნელოვანია კარგი სტრატეგია და ტაქტიკა წარმატებული კულტურათაშორისი კომუნიკაციისთვის. ის შედგება შემდეგი პარაგრაფებისაგან:

- 1.1 კომუნიკაციის ცნება და მათი სახეობები;
- 1.2 კულტურათაშორისი კომუნიკაცია და მისი წარმატება-წარუმატებლობის პირობები;
- 1.3 სამეტყველო ქცევის ტაქტიკა / სტრატეგია და სამეტყველო აქტების თეორია.

ნაშრომის მეორე თავი – მეზღვაურთა პროფესიული კომუნიკაციის ტიპების კლასიფიკაცია და საზღვაო დისკურსის დახასიათება ინგლისურ, რუსულსა და ქართულ ენებში სამი პარაგრაფისგან შედგება:

- 2.1. პროფესიული ურთიერთობა, მისი ნიშან-თვისებები და ძირითადი ფუნქციები;
- 2.2 მეზღვაურთა კომუნიკაციის კომპლექსური კლასიფიკაცია;
- 2.3. საზღვაო დისკურსის დახასიათება ინგლისურ, რუსულსა და ქართულ ენებში.

მესამე თავი – საზღვაო სამეტყველო სტრატეგიებისა და ტაქტიკის კლასიფიკაცია და მათი მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები ინტერკულტურულ კომუნიკაციაში სამი პარაგრაფისგან შედგება:

- 3.1. საზღვაო კომუნიკაციის სტრატეგიული მიზნების ერთობლიობა;
- 3.2. სამეტყველო ტაქტიკა ინგლისურ, რუსულსა და ქართულ ენებში;
- 3.3. ინტერკულტურული კომუნიკაციის მთარგმნელობითი პრობლემები.

ნაშრომის დასასრულს მოცემულია დასკვნა და ბიბლიოგრაფია.

კვლევის შედეგები არაერთხელაა აპრობირებული რესპუბლიკურ, საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე.

I თავი

სტრატეგიისა და ტაქტიკის როლი წარმატებულ კულტურათმშორის კომუნიკაციაში

1.1 კომუნიკაციის ცნება და მისი სახეობები

XX-XXI სს. მიჯნაზე ლინგვისტური კვლევების ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება გახდა ანთროპოცენტრიზმი (ტერმინი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან „*άνθρωπος* – ადამიანი და ლათინური *centrum* – ცენტრი). ანთროპოცენტრიზმი სამეცნიერო აზროვნების ისეთი მიმართულებაა, რომლის ყურადღების ცენტრშიც ადამიანი ექცევა. ენათმეცნიერების ხანგრძლივი განვითარების პროცესში ეს უკვე მესამე თეორიული პარადიგმაა, მაგრამ შედარებით-ისტორიული და სტრუქტურულ-სემანტიკური პარადიგმების ფარგლებში მეცნიერები შეისწავლიდნენ ენას „ადამიანის გარეშე“: ჯერ იკვლევდნენ სხვადასხვა ენის გენეალოგიას, იქმნებოდა ენების გენეალოგიური, შემდეგ კი – ტიპოლოგიური კლასიფიკაციები.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ფერდინანდ დე სოსიურმა ლინგვისტიკის ყურადღების ცენტრში დააყენა ენისა და მეტყველების დაპირისპირება, პირველ რიგში დაიწყო ენობრივი სისტემების თავისებურებების, მათი სტრუქტურისა და სემანტიკის ინტენსიური შესწავლა. ცოცხალი მეტყველება კი უფრო გვიან გახდა ლინგვისტური კვლევის ობიექტი, მისი თავისებურებების დაფიქსირება სხვადასხვა კონკრეტულსა და ტიპურ სიტუაციაში მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მოხერხდა. მხოლოდ ამ პერიოდში გაიაზრა კარგად სოსიურმა დიქტომია *langue – parole*, რომელიც ერთი და იმავე მოვლენის ორ მხარეს წარმოადგენს, ამიტომ ენის ანალიზის გარდა, აუცილებელია მეტყველების განვითარების შესწავლა.

მეტყველებაზე გადართვა კიდევ ერთი ფაქტორით იყო განპირობებული – ეს არის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია (რადიო, ტელევიზია, კომპიუტერი). ამ გამოგონებებმა ჩამოაყალიბეს საინფორმაციო საზოგადოება, მასობრივი კომუნიკაციის გაბატონებამ კი მისი თეორიული შესწავლის აუცილებლობა გამოიწვია. კომუნიკაციის პირველი კათედრა 1940-იან წლებში ამერიკაში გაიხსნა. ანგლო-ამერიკულ მიმართულებაში კომუნიკაციას ლინგვისტურად შეისწავლიდნენ. ლ.

ვიტგენშტეინის ნაშრომებში გაანალიზებულია „ენობრივი გამოცდილება“. ფრანგი მეცნიერები არ შემოფარგლულან მხოლოდ ენობრივი კომუნიკაციით და მათ განიხილეს კომუნიკაციის სოციალური პრობლემები (ხელისუფლება, იდეოლოგია, დისკურსი). გერმანელი მეცნიერები და სხვა მკვლევრები: მ. ბახტინი, ე. ლევინასი, ო. როზენშტოკ-ჰიუსი და ა.შ. განიხილავდნენ კომუნიკაციის ფილოსოფიურ ასპექტებს.

ფ. შარკოვი იყენებს ნეოლოგიზმს „კომუნიკოლოგია“ და გულისხმობს მის ოთხ მნიშვნელობას, ესენია:

- 1) კომუნიკაციის თეორია;
- 2) კომუნიკაციის სახეები (მასობრივი კომუნიკაცია, ჯგუფური, კულტურათათმორისი და სხვ.);
- 3) კომუნიკაციის შემსწავლელი მეცნიერებები და მიმართულებები (კომუნიკაციის სოციოლოგია, ფსიქოლოგია და სხვ.);
- 4) კომუნიკაციური პრაქტიკა საზოგადოების სხვადასხვა სფეროში განსხვავებული საშუალების გამოყენებით (Шарков 2019:185).

რ. იაკობსონი, ი. ლოტმანი, ლ. ვიტგენშტეინი, კ. ლევი-სტროსი, რ. ბარტი, პ. გრაისი, ჟ. დერიდა, ტ. ნიუკომბი კომუნიკოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან.

შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციის თეორიის განვითარებამ „დააბრუნა“ ადამიანი ლინგვისტური კვლევების ცენტრში. ლინგვისტური სამეცნიერო პარადიგმა ანთროპოცენტრისტული გახდა იმდენად, რამდენადაც მასში წამყვან როლს ასრულებს პრაგმატიკა – სემიოტიკაზე დაფუძნებული ლინგვისტიკის დარგი, რომელიც იკვლევს ადამიანს, როგორც კომუნიკაციის სუბიექტს.

განსაკუთრებულ სირთულეს კულტურათმორისი ურთიერთობების პროცესში კომუნიკანტთა ცნობიერების სხვადასხვაობა ქმნის. ეს კონფლიქტთა საფუძველია, ანუ ადრესანტი და ადრესატი ვერ უგებენ ერთმანეთს. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე პარადიგმის განვითარება, ცვალებადი სამყაროს ობიექტური პირობები და ახალი გამოწვევები მოითხოვს აქტუალური პრობლემების გადააზრებას და ახალი პასუხების ძებნას. არ არის გასაკვირი, რომ მრავალი ახალი

სამეცნიერო მიმართულება, როგორებიცაა: კულტურათმშორისი კომუნიკაცია, სამეტყველო აქტების თეორია, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, კოგნიტოლოგია, დისკურსის თეორია, ლინგვოსემიოტიკა და სხვ. ეძებს პრობლემების გადაჭრის ახალ გზებს.

ახალ ანთროპოცენტრისტულ სამეცნიერო პარადიგმაზე გადასვლამ მეცნიერთა ინტერესების ფოკუსში მოაქცია საინფორმაციო შეტყობინების ჩამოყალიბების, ინფორმაციის აღქმისა და გადაცემის პრობლემების ფართო სპექტრი. თუ ადრე მკვლევრები შემეცნების ობიექტით იყვნენ დაინტერესებული, ახლა ყურადღების ცენტრში სუბიექტი, ანუ მოლაპარაკე ადამიანი აღმოჩნდა.

თეორიული ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვ. ჰუმბოლდტი ამბობდა: „ენა არის არა მკვდარი პროდუქტი, არამედ შემოქმედებითი პროცესი“ (ჰუმბოლდტი, 1985:32).

სწორედ ჰუმბოლდტისეულ იდეაზე აიგება თანამედროვე ანთროპოცენტრისტული პარადიგმა. ანთროპოცენტრიზმის კონცეპტუალური ვარიანტი, რომელიც ეყრდნობა კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, მთლიანადაა დაკავშირებული თანამედროვე ლინგვისტიკის მსოფლმხედველურ საფუძველთან (მეცნიერების განვითარების მესამე ეტაპზე ეს მსოფლმხედვა შეიცვალა მხოლოდ ადამიანის ხედვით: მსოფლმხედველობითი აზროვნების ყურადღების ცენტრში მოექცა არა საგნობრივად დანახული სამყარო, არამედ თავად ადამიანი). თუ ჩვენ საკითხს მივუდგებით ანთროპოცენტრისტულად, მხოლოდ მაშინ გავიაზრებთ ენას არა როგორც „მკვდარ პროდუქტს“, არამედ როგორც შემოქმედებით პროცესს და სწორედ აქ ჩანს ენის ანთროპოცენტრისტული ინტერპრეტაცია.

ი. კარაულოვის აზრით, შეუძლებელია თვით ენა გაიგო, თუ არ გახვალ მისი ფარგლების გარეთ, თუ არ მიმართავ შემქნელს, მატარებელს, მომხმარებელს – ადამიანს, კონკრეტულ ენობრივ პიროვნებას“ (Караулов 2007:72).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ანთროპოცენტრისტული ლინგვისტური პარადიგმის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების მთავარი პრინციპია ყველა ობიექტის შესწავლა ადამიანის ცხოვრებაში მათი როლის, დანიშნულებისა და ფუნქციის მიხედვით. ამის დასტურად საკმარისია ჩამოვთვალოთ ისეთი ცნობილი

კვლევები, როგორებიცაა: „ადამიანის ფაქტორი ენაში“ (ნ. არუთინოვა), „ადამიანის სახე ენობრივი მონაცემების მიხედვით“ (ი. აპრესიანი), „Homo lingualis კულტურაში“ (ვ. მასლოვა), „Homo loquens და კულტურის კოორდინატა სისტემა“ (ვ. კრასნიხი), „პარადიგმა ადამიანის სახით“ (ვ. დემიანკოვი) და სხვ.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში უკვე იკვეთება კოგნიტურ-დისკურსული პარადიგმა, რომლის ფარგლებში მეცნიერები იკვლევენ სხვადასხვა საშუალებით ინფორმაციის მიღება-გადაცემის, კოდირებისა და შენახვის საკითხებს, რასაც შედეგად მოჰყვა ცოდნის სხვადასხვა დარგის მჭიდრო კავშირი ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან. ინტერდისციპლინურ კვლევათა ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ადამიანს აღიარება **ცენტრალურ ფიგურად** და სამყაროში მომხდარი ყველა მოვლენის მოთავედ. ბენვენისტის მიხედვით, „ადამიანი ენაში“ პრინციპის გამოყენება განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ლინგვისტიკაში, ვინაიდან ლინგვისტები კონცენტრირებული იყვნენ შესწავლის ობიექტზე –ენაზე და ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი რჩებოდა მათი ინტერესის მიღმა. კომუნიკაციის თეორიის განვითარებამ გამოავლინა საკომუნიკაციო პოზიციიდან გამომდინარე მოლაპარაკე ადამიანის განსაკუთრებული როლი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წყაროებით ცნება „კომუნიკაცია“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან „კომუნიკარე“, რაც ნიშნავს: „გავხადოთ ყველასთვის გასაგები“. მას სამი მნიშვნელობა აქვს:

1) ინფორმაციის გადაცემა ერთი სისტემიდან მეორეზე სიგნალების სპეციალური მატარებლებით;

2) კომუნიკაცია წარმოადგენს ადამიანებს შორის ვერბალური (სიტყვიერი) და არავერბალური სიმბოლოების საშუალებით აზრების, გრძნობების, დამოკიდებულებების და იდეების ურთიერთგაცვლას;

3) დაკავშირების, გადაცემის, ურთიერთობის ნებისმიერი საშუალება; კავშირგაბმულობა, საინფორმაციო კავშირი, ინფორმაციის გაცვლის სისტემა (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4752>).

სამივე ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობიდან ლინგვისტებს პირველ რიგში აინტერესებთ პირველი ორი. კომუნიკაცია ხორციელდება სოციუმში ცალკეულ

პიროვნებას, ორგანიზაციას, ჯგუფს, კულტურას შორის განსხვავებული ნიშანთა სისტემით. ყველაზე უნივერსალური ნიშანთა სისტემა, რომელსაც კომუნიკაციისთვის იყენებენ, არის ენა. კომუნიკაცია ადრესანტს და ადრესატს შორის ხორციელდება სპეციალური შეტყობინებით, ანუ ნიშნობრივი წარმონაქმნების გაცვლის მეშვეობით. ეს შეტყობინებები მოიცავენ ადამიანის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას. ესენია: ცოდნა, წეს-ჩვეულებები, ღირებულებები, წინაპრების გამოცდილება და სხვ. საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა უნდა აითვისოს ეს ინფორმაცია, ანუ გაიაროს „სოციალიზაციის“ პროცესი.

კომუნიკაციის საშუალებები და ფორმები ასახავს საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ადამიანთა ისტორიულ გამოცდილებას. ამავდროულად ისინი საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების მაჩვენებლებია. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ სამი მნიშვნელოვანი საფეხური კომუნიკაციის საშუალებების განვითარებაში:

- 1) ანბანური წერა;
- 2) წიგნების ბეჭდვა;
- 3) კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების განვითარება:
 - 3.1. ტელეგრაფი;
 - 3.2. ტელეფონი;
 - 3.3. რადიო;
 - 3.4. ტელევიზია;
 - 3.5. კომპიუტერი და ინტერნეტი.

ყველა ამ საშუალებამ უზრუნველყო სოციალური გამოცდილების დაგროვება და გადაცემა მომდევნო თაობებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ვერბალური კომუნიკაცია აღმოჩნდა ყველაზე მოხერხებული ინფორმაციის გადაცემისთვის, კაცობრიობა იყენებდა და იყენებს კომუნიკაციის ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს. თუ ვერბალური კომუნიკაცია ნიშნავს სიტყვების საშუალებით ინფორმაციის გადაცემას, არავერბალურს მიეკუთვნება სახის მიმიკა, ჟესტიკულაცია, სხეულის პოზა, პაუზები, აგრეთვე ისეთი იკონური (ხატოვანი) საშუალებები, როგორებიცაა: ნახატი, სქემა,

დიაგრამა, განსხვავებული შრიფტი და სხვ. არავერბალური ხერხები თან ახლავს სიტყვიერ ინფორმაციას, ხანდახან ავსებენ მას, ხანდახან კი იმეორებენ ინფორმაციის ზემოქმედების გასაძლიერებლად.

წარმატებული კომუნიკაციის დროს კომუნიკანტებმა უნდა გაიგონ არა მხოლოდ ვერბალური, არამედ არავერბალური ხერხებით გადმოცემული ინფორმაცია, ტექსტური ინფორმაცია და ქვეტექსტიც, პირდაპირ გამოხატული და ნაგულისხმევი ინფორმაციაც.

ვერბალური, ანუ ენობრივი კოდის გარდა, სემიოტიკური თვალსაზრისით ნებისმიერ ტექსტს აქვს კულტურული კოდი, აგრეთვე, პროფესიული კომუნიკაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპეციალურ კოდს (ანუ ამ დარგის ტერმინოლოგიურ სისტემას).

კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიები განსაკუთრებით მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან განვითარდა. ეს დაკავშირებულია ტექნიკური საშუალებებისა და ინფორმაციის გადაცემის ორგანიზაციული პირობების გაერთიანებასთან. ჯერ პრესის განვითარებამ, შემდეგ კი ელექტრონული კავშირების (ტელეგრაფი, რადიო, ტელეფონი, ტელევიზია) საყოველთაო გავრცელებამ შეამცირა დრო და მანძილი კომუნიკანტებს შორის. კომუნიკაციის თეორიის განვითარებამ დიდი როლი ითამაშა უამრავი თანამედროვე მეცნიერების, მათ შორის, სემიოტიკისა და თარგმანმცოდნეობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

კომუნიკაციის ცნება დღეს ცენტრალურ კატეგორიად ყალიბდება სოციალურ თეორიაში ნ. ლუმანის „სოციალური სისტემების თეორია“ და სხვ.). მარტივი კომუნიკაციის სისტემა, როგორც მინიმუმ, მოიცავს:

1. კომუნიკაციის ორ მონაწილეს (ადრესანტსა და ადრესატს);
2. სიტუაციას ან სიტუაციებს, რომლის გააზრებას და რის გაგებასაც ისინი ისწრაფვიან;
3. ტექსტებს, რომლებიც სიტუაციის აზრს გამოთქვამენ ენის ან რომელიმე მოცემული სემიოტიკური სისტემის ელემენტებში;
4. ტექსტების მიმართულების მიმცემ მოტივებსა და მიზნებს (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4752>).

კომუნიკაცია შეიძლება აღვიქვათ ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო მნიშვნელობით ის კაცობრიობის ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ-ერთი საფუძველია. იგი წარმოადგენს ინტელექტუალურ პროცესს, რომელიც დაკავშირებულია სოციალური მოქმედების ტიპურ სიტუაციებთან. გამოყოფენ აგრეთვე ეგზისტენციალური კომუნიკაციის სახეს, რომელშიც მოიაზრება „მე“-ს, სელფის (Self) სხვაში – მეორე ადამიანში აღმოჩენის აქტი.

კომუნიკაციის თეორიის პრობლემების კვლევაში წამყვან როლს ასრულებს მასობრივი კომუნიკაციების სოციოლოგია. ვ. კონეცკაია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხანდახან ტერმინები „კომუნიკაცია“ და „ურთიერთობა“ სინონიმებად გამოიყენება, მისი აზრით კი ეს ცნებები არ ცვლიან ერთმანეთს (Конецкая, 1997:112).

სიტყვა „ურთიერთობა“ ხშირად გამოიყენება არატერმინოლოგიური მნიშვნელობით და მოსაუბრეთა შორის აზრების, ინფორმაციისა და ემოციების გაცვლის პროცესს აღნიშნავს. სოციოლოგები ურთიერთობას განიხილავენ, პირველ რიგში, როგორც ადამიანების საქმიანობის სოციალურად განპირობებულ სახეობას, ლინგვისტები კი – სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში ენის კომუნიკაციური ფუნქციის აქტუალიზაციას. როგორც სამეცნიერო ტერმინი, „ურთიერთობა“ გამოიყენება ფსიქოლოგიაში და აღნიშნავს ადამიანებს შორის კონტაქტების დამყარებას და განვითარებას ერთობლივი საქმიანობის პროცესში ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

ტერმინი „კომუნიკაცია“ (ლათ. Communication „დამაკავშირებელი“) სამეცნიერო ლიტერატურაში ჩნდება XX საუკუნის დასაწყისში. დღესდღეობით მას აქვს სულ მცირე სამი ინტერპრეტაცია: ა) მატერიალური და სულიერი სამყაროს ნებისმიერი ობიექტის დაკავშირების საშუალება; ბ) ურთიერთობა – ადამიანიდან ადამიანზე ინფორმაციის გადაცემა; გ) ინფორმაციის გადაცემა და მიმოცვლა საზოგადოებაში მასზე ზემოქმედების მიზნით (Конецкая, 1997:112).

სოციალური კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია ტერმინის სამივე განმარტება: პირველი დაკავშირებულია კომუნიკაციური საშუალებების დიფერენციაციისა და სისტემატიზაციის პრობლემებთან, მათს განსხვავებულ ბუნებასთან, სტრუქტურასთან, ფუნქციასა და ეფექტურობასთან; მეორე

უკავშირდება პიროვნებათშორისი კომუნიკაციის პრობლემებს; მესამე – მასობრივი კომუნიკაციის პრობლემებს. კომუნიკაცია გვევლინება, როგორც შუამავალი ინდივიდუალურსა და საზოგადოებრივ ინფორმაციას შორის. კომუნიკაციის საკვანძო პრობლემას წარმოადგენს მექანიზმი, რომელსაც გადაჰყავს ინფორმაციის გადაცემის და აღქმის ინდივიდუალური პროცესი პერსონალური და მასობრივი ზემოქმედების მქონე სოციალურად მნიშვნელოვან პროცესში. ეს მექანიზმი ჩადებულია ადამიანების სამეტყველო საქმიანობაში – ზუსტად მასში რეალიზდება ურთიერთობის სოციალურად განპირობებული ნორმები და წესები.

ტერმინი „სამეტყველო საქმიანობაც“ არაერთგვაროვნად აღიქმება. ენათმეცნიერებაში სამეტყველო საქმიანობა განიხილება, როგორც ენის ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც გამოიყოფა სამეტყველო ორგანიზაციისა და ენობრივი სისტემების მსგავსად. ეს „ენობრივი მასალაა, რომელიც შედგება საუბრის და გაგების ცალკეული აქტის ჯამისაგან“ (შჩერბა, 1974:23). ტრადიციულად გამოიყოფა სამეტყველო საქმიანობის ისეთი სახეები, როგორებიცაა: ლაპარაკი, აუდირება (მოსმენა), კითხვა და წერა. სამეტყველო საქმიანობის ასეთი აღქმა ასევე გამოიყენება ენის (განსაკუთრებულად უცხოური ენის) სწავლების მეთოდოლოგიაში. ზოგიერთი მეცნიერი, პოლიკულტურული სივრციდან გამომდინარე, ამ უნარებს თარგმანს ამატებს.

ფსიქოლოგიაში სამეტყველო საქმიანობა განიმარტება როგორც საქმიანობა, შრომით, აღქმით და სხვ. შორის. ასეთი აღქმა მიღებულია ფსიქოლოგიურ კონცეფციაში (მაგალითად: ვიგოტსკი, 1960; ლეონტიევი, 1965), რომლის თანახმადაც, სამეტყველო საქმიანობა ფსიქოლოგიურად ორიენტირებულია, ე.ი. ხასიათდება მოტივაციით, მიზანმიმართულობით და რეალიზდება „სამეტყველო ქმედებებში“, რომლებიც წარმოადგენენ უამრავ სამეტყველო ოპერაციას (ორიენტირება, დაგეგმარება, კონტროლი და სხვ.). 70-იანი წლებიდან დაწყებული სამეტყველო საქმიანობა იძენს უფრო ვიწრო ინტერპრეტაციას ფსიქოლინგვისტიკაში (ლეონტიევი 1968). ის საქმიანობის სახეობაა (უფრო მეტიც, სამეტყველო ქმედების სისტემა), რომლის ძირითადი მოტივი დაკავშირებულია თავად მეტყველებასთან. ვინაიდან მეტყველება ეფუძნება მოცემულ საზოგადოებაში მიღებული სამეტყველო

ქცევის ნორმებსა და წესებს, სამეტყველო საქმიანობის მითითებული განმარტება იძლევა გასაღებს სოციოკომუნიკაციის პრაგმატიკული და სახვითი ამოცანების გადაჭრაში.

მაშასადამე, ურთიერთობის, კომუნიკაციის და სამეტყველო საქმიანობის ცნებები შეიცავენ როგორც საერთო, ისე განსხვავებულ ნიშან-თვისებებს. საერთოა მათი დამოკიდებულება ინფორმაციის გაცვლისა და გადაცემის პროცესებისადმი, კავშირი ენასთან, როგორც ურთიერთობის საშუალებასთან და კავშირი კომუნიკანტების სოციოსამეტყველო ქცევასთან. განმასხვავებელი ნიშნები განპირობებულია მოცემული ცნებების (ვიწრო და ფართო) შინაარსით, რაც აიხსნება მათი გამოყენებით მოსაზღვრე მეცნიერებებში ან ერთი სამეცნიერო დისციპლინის სხვადასხვა ასპექტში, როდესაც წინა პლანზე წამოიწევა ამ რთული ცნებების ესა თუ ის ნიშან-თვისება.

აღნიშნული ტერმინების სოციოკომუნიკაციურ კონტექსტში განხილვის შემდეგ ვ. კონეცკაია თვლის, რომ ეს ცნებები შეიძლება დაზუსტდეს შემდეგი სახით (Конецкая, 1997:114).

ურთიერთობა არის ადამიანებს შორის, მათი შემეცნებით-შრომითი და შემოქმედებითი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, აზრების და გრძნობების გაცვლის სოციალურად განპირობებული პროცესი, რომელიც ძირითადად რეალიზდება კომუნიკაციის ვერბალური საშუალებებით.

კომუნიკაცია პიროვნებათშორისი და მასობრივი ურთიერთობის პირობებში ინფორმაციის გადაცემის და აღქმის სოციალურად განპირობებული პროცესია, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა არხით და სხვადასხვაგვარი კომუნიკაციური საშუალების მეშვეობით (ვერბალური, არავერბალური და სხვ.).

სამეტყველო საქმიანობა სოციალური მნიშვნელობის სიტუაციებში ადამიანების მოტივირებული სამეტყველო ქმედებების სისტემაა, რომელიც განპირობებულია საზოგადოებაში მიღებული სამეტყველო წესებით და ნორმებით.

კომუნიკაცია წარმოადგენს სოციოკომუნიკაციის ცენტრალურ ცნებას. ის მიზანმიმართული ურთიერთობაა, რომელიც რეალიზდება კონკრეტულ სიტუაციაში სამეტყველო საქმიანობის ნორმების შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციის თეორია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, არსებობს კომუნიკაციის უამრავი განმარტება, რომლებშიც ყურადღების ფოკუსი გადატანილია კომუნიკაციის სხვადასხვა კომპონენტზე. ყველა ამ განმარტებას აერთიანებს შემდეგი ელემენტების გამოყოფა:

- 1) ადრესანტი (ანუ გამგზავნი, შეტყობინების ავტორი);
- 2) შეტყობინება (ინფორმაცია);
- 3) კომუნიკაციის არხი;
- 4) ადრესატი (ანუ ინფორმაციის მიმღები).

ამავდროულად კომუნიკაციის დახასიათებისას მნიშვნელოვანია დრო, სივრცე, კომუნიკაციის მიმართულება (ერთმხრივი/ორმხრივი), მისი ეფექტურობა: დროის მიხედვით შესაძლებელია იყოს ხანმოკლე და ხანგრძლივი, ერთჯერადი და მუდმივი; სივრცის ფაქტორიდან გამომდინარე – უშუალოკონტაქტური, ირიბი უკონტაქტო და დისტანციური; ასევე კომუნიკაცია შეიძლება იყოს ეფექტური, წარმატებული და წარუმატებელი. ამ უკანასკნელის პირობები ცალკე კვლევის ობიექტია. ხშირ შემთხვევაში ეს ფაქტორები ერთმანეთს ერწყმის. მაგალითად, თუ შექსპირის საყოველთაოდ ცნობილ კითხვაზე „ყოფნა - არყოფნა? – საკითხავი ეს არის“, პასუხობს ოცდამეერთე საუკუნის მწერალი საკუთარი ნაწარმოებით, თანაც ის არაა ინგლისური კულტურის წარმომადგენელი, ამ შემთხვევაში კომუნიკაცია დისტანციურია სივრცის და დროის ფაქტორის მიხედვით. ამას თან ემატება თანამედროვე პოლიკულტურული საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თავისებურება – ის კულტურათშორისია.

კომუნიკაციის სახეობების დეტალური დახასიათება ვ. კონეცკაიას ეკუთვნის, რომელიც გამოყოფს კომუნიკაციის შემდეგ დონეებს: სემიოტიკურ დონეს, ლინგვისტურს, პარალინგვისტურსა და სინთეტიკურს. ასევე ავტორი ასხვავებს კომუნიკაციური სისტემების სახეობებს და კომუნიკაციის ტიპებს. მისი აზრით, კომუნიკაციური სისტემების სპეციფიკა სამი კრიტერიუმით არის განპირობებული:

- 1) სისტემის დანიშნულებით;
- 2) კომუნიკაციური ხერხის არჩევით;
- 3) ინფორმაციის გადაცემის არხით (Конецкая, 1997: 49).

აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით ავტორი გამოყოფს ბუნებრივსა და ხელოვნურ სისტემებს: პირველს მიეკუთვნება ბუნებრივი ენა, ჟესტები, მიმიკა, რომლებსაც ეროვნული სპეციფიკა ახასიათებს. მეორე ტიპისაა ხელოვნურად შექმნილი სიმბოლოების სისტემები (მორზეს ანბანი, ფორმულები, ხელოვნური ენები: ესპერანტო, იდო და სხვ.), რომლებიც იყო ან არის საერთაშორისო მიმოქცევაში, ამიტომ მათ ეროვნული სპეციფიკა არ ახასიათებს.

ინფორმაციის გადაცემის არხის მიხედვით გამოყოფენ აუდიო-, ვიზუალურ, აუდიო-ვიზუალურ და ტაქტილურ კომუნიკაციას. ხელოვნური კომუნიკაციური სისტემები ხასიათდებიან მრავალფუნქციური დატვირთვით, სოციალური დიფერენციაციით, განვითარების მაღალი დინამიკით. ზოგიერთი ენა ნახევარ მილიონზე მეტ ლექსიკურ ერთეულს მოიცავს, რომლებიც ფუნქციონირებენ ურთიერთობის ყველა სფეროში. ხელოვნური სისტემების გამოყენება კი შეზღუდულია, ისინი ემსახურებიან სპეციფიკური ამოცანების მისაღწევ ვიწრო სფეროს (მაგალითად, სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების ტერმინოლოგიური სისტემები).

ტექნიკური რევოლუციის შედეგად შეიქმნა ეგრეთ წოდებული საინფორმაციო ენები, რომლებიც წარმოადგენენ კომუნიკაციის საშუალებას ადამიანსა და მანქანას შორის. ეს ავტომატიზებული სისტემებია, რომლებიც ასრულებენ გარკვეულ საინფორმაციო ამოცანებს: საბუთების დაგროვებას, შენახვას, დახარისხებას, ძიებას და სხვ.

გ. პოჩეპცოვი ძალიან დეტალურად აღწერს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის განსხვავებებს და მოჰყავს ა. მასლოუს მტკიცება იმის თაობაზე, რომ ნორმა არა მარტო ვერბალურ კომუნიკაციას ახასიათებს, არამედ არავერბალურსაც (Почепцов, 2001:32).

ამავდროულად, მეცნიერი ხაზს უსვამს იმ ფაქტორს, რომ მაყურებელზე ვიზუალური კომუნიკაციის გავლენის სიძლიერის გამო მოითხოვს მკაცრ დოზირებას, მით უმეტეს, საბავშვო აუდიტორიის მიმართ გ. ბეიტსონის კონცეფციის მიხედვით, კომუნიკაცია ორ დონეზე: კომუნიკაციურსა და მეტაკომუნიკაციურზე მიმდინარეობს. მეტაკომუნიკაციური პროცესები შეესაბამება ამა თუ იმ ჟანრს,

დისკურსის გარკვეულ ტიპს. წარმატებული კომუნიკაციისთვის არ არის საკმარისი, ადამიანი ფლობდეს ენობრივსა და სამეტყველო ნორმებს, კომუნიკანტმა უნდა იცოდეს, მისთვის საჭირო დისკურსში რა ტიპური ერთეულებია მიღებული.

გ. პოჩეპცოვს მოჰყავს კომუნიკაციის საინტერესო დიფერენციაცია:

- 1) იერარქიული (პირდაპირი კავშირის პრიორიტეტით);
- 2) დემოკრატიული (უკუკავშირის პრიორიტეტით)

(Почепцов, 2001:35).

პირველი ტიპის კომუნიკაციისთვის დამახასიათებელია ბრძანების ფორმა, მეორისთვის კი – დარწმუნება. ავტორი იერარქიულსა და დემოკრატიულ კომუნიკაციას ახასიათებს შემდეგ ცხრილში:

| | იერარქიული კომუნიკაცია | დემოკრატიული კომუნიკაცია |
|-----------------------|---------------------------|-----------------------------|
| პრიორიტეტული კავშირი | პირდაპირი | უკუკავშირი |
| მიმღები | ქვემდგომი | თავისუფალი ადამიანი |
| კომუნიკაციური ქმედება | ბრძანება | დარწმუნება |
| კომუნიკაციის ტიპი | მონოლოგი | დიალოგი |
| ტექსტი | ერთი | ბევრი/მრავალი |

კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კლასიფიკაცია ორიენტირებულია მისი ფუნქციონირების მასშტაბზე. ტიპოლოგიის საფუძველს წარმოადგენს სოციალურად განპირობებული ურთიერთობის მასშტაბი. ამის მიხედვით ვ. კონეცკაია გამოყოფს:

- 1) მასობრივ კომუნიკაციას (მთლიან საზოგადოებაში);
- 2) შეზღუდულ კომუნიკაციას (სოციალურ ჯგუფებში: კომპანიებში, საზოგადოებებში და სხვ.);
- 3) ლოკალურ კომუნიკაციას (მიკროჯგუფებსა და პროფესიულ კოლექტივებში);

4) შიდაჯგუფურ კომუნიკაციას (პატარა მოცულობის ჯგუფებში, ოჯახში);

5) პიროვნებათშორის ან ინტერპერსონალურ კომუნიკაციას (ორ ინდივიდს შორის);

6) ინტრაპერსონალურ კომუნიკაციას (ინდივიდსა და ინფორმაციის გადაცემის ელექტრონულ საშუალებას შორის) (Конецкая, 1997:112).

ავტორი აღნიშნავს, რომ ფუნქციურ საფუძველზე კომუნიკაციის ტიპოლოგიის შექმნის მცდელობა არაეფექტური დარჩა, ვინაიდან ფუნქციები გადაიკვეთება და, ხშირ შემთხვევაში, მათი ნაწილები ერთმანეთს ემთხვევა. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ამ კლასიფიკაციას აკლია ერთი მნიშვნელოვანი სახეობა – ჯგუფთაშორისი კომუნიკაცია, რომელიც ფიგურირებს დ. გავრას კონცეფციაში (გავრა, 2011: 187).

ქვემოთ მოცემული სახეობები გამოყოფილია კომუნიკაციის სუბიექტებისა და მათ შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების მიხედვით:

1) ინტერპერსონალური კომუნიკაცია (პიროვნებაზე ორიენტირებული ურთიერთობა);

2) ჯგუფთაშორისი კომუნიკაცია (კომუნიკაცია, რომელიც განპირობებულია არა მათი ინდივიდუალური კავშირებით და პრიორიტეტებით, არამედ სოციალური ჯგუფების თავისებურებებით, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ);

3) საჯარო კომუნიკაცია (ინსტიტუციონალური ურთიერთობა, რომელიც ორიენტირებულია კომუნიკანტის სტატუსზე, ეხება საზოგადოებრივ ინტერესებს და ამიტომ საჯარო ხასიათს იძენს);

4) მასობრივი კომუნიკაცია (ინსტიტუციონალური ხასიათის ინფორმაციის სისტემური გავრცელება სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით რაოდენობრივად ძალიან დიდ ანონიმურ აუდიტორიებში, რაც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და მასზე ზეგავლენის ძლიერი ხერხია). რაც შეეხება ამ კლასიფიკაციაში მოყვანილ

საჯარო კომუნიკაციას, სხვა კონცეფციებში ის მასობრივ კომუნიკაციას მიეკუთვნება.

ინტერპერსონალური კომუნიკაცია წარმოადგენს ორივე კომუნიკანტის ერთდროულ სამეტყველო ურთიერთქმედებას და ზეგავლენას ერთმანეთზე. მას ახასიათებს:

1) აუცილებლობა, რომელიც განპირობებულია ადამიანის ცხოვრების პირობებით (ადამიანი, როგორც სოციალური ფენომენი, ვერ იარსებებს ურთიერთობის გარეშე);

2) გარდაუვალობა (ვინაიდან გამოთქმული სიტყვის „უკან აღება“ შეუძლებელია – «Слово не воробей, вылетит – не поймаешь»);

3) უშუალო უკუკავშირი ინტერპერსონალური კომუნიკაციის განხორციელების აუცილებელი პირობაა;

4) მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე პიროვნებათშორისი ურთიერთობა, რომელიც ყალიბდება საქმიანი, შემოქმედებითი, ოფიციალური და არაოფიციალური კონტაქტების შედეგად.

უნდა გვახსოვდეს, რომ ინტერპერსონალური კომუნიკაციის წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული არა მარტო ფსიქოლოგიურსა და სოციალურ ფაქტორებზე, არამედ ემოციურზეც. ადამიანი სხვადასხვა ემოციას ავლენს ინტერპერსონალური კომუნიკაციის განსხვავებულ პირობებში: ანონიმური ურთიერთობა (თვითმფრინავში, მატარებელში), პირადული და ინტიმური (ოჯახში, ახლობლებთან და სხვ.), ფუნქციურ-როლური ურთიერთობა (პროფესიული, კოლექტივის წევრთა შორის).

ნებისმიერი ტიპის ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში შეიმჩნევა ეტაპობრიობა: კონტაქტის დამყარება, მისი სისტემატიურობა, აღმავალი კომუნიკაცია, დაღმავალი კომუნიკაცია, კომუნიკაციის შეჩერება/შეწყვეტა, შესაძლო განახლება.

ვ. კონეცკაია საზოგადოებაში გავრცელებული კომუნიკაციის ტიპებს პირამიდის სახით წარმოადგენს და თვლის, რომ ინტერპერსონალური და ჯგუფური, ლოკალური კომუნიკაცია პირამიდის საყრდენ ნაწილშია, პირამიდას კი

ავირგვინებს მასობრივი კომუნიკაცია, ვინაიდან აქ ინტეგრირდება ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლის ინტერესები და მოლოდინი (Конечная, 1997: 126).

მასობრივი კომუნიკაცია სოციალურად განპირობებული მოვლენაა, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს გადმოცემული ინფორმაციის მეშვეობით მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედება. მასობრივი კომუნიკაცია ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა, სამეტყველო ქმედებების ისეთი სახეობაა, რომლის ფუნქციები (აუდიტორიაზე ზემოქმედება) ხორციელდება კომუნიკაციური ხერხებისა და არხების გამოყენებით, შინაარსობრივი და შეფასებითი ხასიათის ინფორმაციის მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი კომუნიკაცია რთული და ერთფეროვანი ფენომენია, განხილული სამეცნიერო მასალა (კონეცკაია, პოჩუპცოვი, გავრა, ლეონტიევი და სხვ.) საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ მისი ფუნქციონირების შემდეგი ზოგადი პირობები:

- 1) ტექნიკური ხერხების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მასობრივი კომუნიკაციის რეგულარულ ხასიათს და მის ტირაჟირებას;
- 2) ინფორმაციის სოციალური მნიშვნელობა, რომელიც ზრდის მასობრივი კომუნიკაციის მოტივირებას;
- 3) მასობრივი აუდიტორია, რომლის მრავალფეროვნება და ანონიმურობა მოითხოვს ფასეულობათა ორიენტირების კარგ გათვლას;
- 4) მრავალარხიანობა და კომუნიკაციური ხერხების არჩევის საშუალება, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის ვარიაციულობას, მაგრამ ამავდროულად მის ნორმატიულობას განაპირობებს.

მასობრივი კომუნიკაციის ენობრივი საშუალებების დახასიათება და ასარჩევი სამეტყველო ტაქტიკისა და სტრატეგიების ეფექტურობა შესწავლის პროცესშია, ვინაიდან ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ობიექტებია. მით უმეტეს, ეს ეხება ჯგუფურ კომუნიკაციას (როგორც შიდაჯგუფურს, ასევე ჯგუფთაშორისს). ჩვენი მომავალი სამეცნიერო კვლევა კი ზუსტად პროფესიულ კომუნიკაციას ეხება, რომელშიც თავს იჩენს ზემოთ აღნიშნული თავისებურებების უმეტესი ნაწილი.

ქართულ ლინგვისტიკაში კომუნიკაციის საკითხები ნაკლებად არის განხილული. გურამ ლებანიძე „კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში“ აღნიშნავს, რომ „მთავარი ადამიანი არის ის, რომ მას შეუძლია მეტყველება“, ამის მიხედვით „ადამიანი არის homo loquens“ (ლებანიძე, 2004: 19).

ოთარ კოჭარაძის აზრით, ადამიანთა შორის კომუნიკაციის გარეშე თავად საზოგადოების არსებობაა შეუძლებელი, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციურ პროცესთა ანალიზი საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის ერთ-ერთი წესი და საშუალებაა (http://otarkochoradze.blogspot.com/2009/12/blog-post_4771.html).

ფართო გაგებით კომუნიკაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველი ასპექტია, ვიწრო გაგებით აზრის გადაცემაა სიმბოლოების დახმარებით. მისი მეშვეობით ინდივიდი ან ჯგუფი აცნობებს მეორე ინდივიდს ან ჯგუფს თავის დამოკიდებულებას კონკრეტულ საკითხზე. კომუნიკაცია მრავალი გზითა და საშუალებით ხორციელდება, მაგრამ ყველაზე ზოგად ფორმას საზოგადოებაში კომუნიკაციური პროცესების წარმართვისათვის ზეპირი ან წერიტი მეტყველება ანუ ენობრივი კომუნიკაცია წარმოადგენს. კომუნიკაცია ის პროცესია, რომელსაც მრავალი მეთოდი აქვს, რომელთა დახმარებითა და გამოყენებით ერთ ინტელექტს შეუძლია მეორეზე გავლენის მოხდენა.

ჩვენი კვლევის საგანია კულტურათშორისი პროფესიული კომუნიკაცია, რომელიც იმართება საზღვაო სფეროში და რომლის ტაქტიკა და სტრატეგია მეტ-ნაკლებად შესწავლილია ინგლისური და რუსული ენების მასალაზე, მაგრამ ნაკლებად არის გაანალიზებული ქართულ ენაში.

1.2. კულტურათშორისი კომუნიკაცია და მისი

წარმატება-წარუმატებლობის პირობები

ენობრივი პიროვნების წინა პლანზე წამოწევამ ანთროპოცენტრისტული ლინგვისტური პარადიგმის ჩამოყალიბების შედეგად გაუღვივა მეცნიერებს ინტერესი მოლაპარაკე ადამიანის კულტურული მახასიათებლების მიმართ

(ადამიანის კულტურული იდენტობა, ეროვნული კულტურა და სუბკულტურა, ეროვნული მენტალიტეტი, სამყაროს ენობრივი და კულტურული სურათი და სხვ.). ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად იყო აღიარებული ენობრივი პიროვნების ჩამოყალიბება კონკრეტული კულტურის ჩარჩოებში, მისი ენობრივი აზროვნების და მსოფლმხედვე-ლობის ფორმირება, ამიტომ მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენდა იმ ენობრივი და სოციალური ფაქტორების შესწავლა, რომლებიც ენობრივ პიროვნებას „კულტურულ პიროვნებად“ აქცევდნენ, ანუ გააქტიურდა ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები: მეცნიერები სწავლობდნენ კულტურულ სტერეოტიპებს, კულტურულ კონცეპტებს. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა ისეთი ენობრივი და სამეტყველო ერთეულების შესწავლას, რომლებიც ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ასპექტთა ერთიანობას წარმოადგენდნენ, ანუ მათ ჰქონდათ ენობრივი და კულტურული კომპონენტი. პირველ რიგში ყურადღების ცენტრში ფრაზეოლოგიზმები, აგრეთვე კულტურული რეალიები აღმოჩნდა. მოგვიანებით სამეცნიერო ინტერესების სფეროში კულტურული კონოტაციის მატარებელი ერთეულები: ეროვნული ხასიათის მეტაფორები, ზოონიმები, პრეცედენტული სახელები და ტექსტები, გამონათქვამები მოხვდა.

ზემოხსენებული ერთეული აყალიბებს ეგრეთ წოდებულ კულტურულ კოდს, რომლის აღქმა და გაშიფვრა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე – ენობრივი კოდის. წარმატებული კომუნიკაცია კი მხოლოდ ორივე კოდის აღქმითაა შესაძლებელი.

ცნობილი სემიოტიკოსი იური ლოტმანი ამბობდა, რომ ნებისმიერ ტექსტში, როგორც მინიმუმი, ორი კოდი არის ჩაქსოვილი – ენობრივი და კულტურული (Лотман 1970:27).

მინიმუმი ნიშნავს, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტში განსხვავებული დისკურსის პირობებში ინფორმაციის აღქმისთვის დაგვჭირდება მესამე კოდიც, მაგალითად: პროფესიულ კომუნიკაციაში – შესაბამისი სპეციალობის ტერმინოლოგიური სისტემის ცოდნა, მარგინალურ ჯგუფში – კონკრეტული სუბკულტურისა.

ლინგვოკულტუროლოგიური ხასიათის კვლევების სიმრავლემ საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა: აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი ერი მის ირგვლივ

არსებული ობიექტური სამყაროს თავისებურ ენობრივსა და კულტურულ სურათს ქმნის, თან ამ სურათის სპეციფიკა არა მხოლოდ გეოფიზიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განსხვავებით არის განპირობებული, არამედ მსგავს გეოპოლიტიკურ სივრცეში მცხოვრები ერები განსხვავებულად აღიქვამენ სამყაროს, ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში მათ გამოუმუშავდებათ სამყაროს სპეციფიკური „ხედვა“. თუ ინგლისელების, რუსებისა და სხვა ბევრი ერისთვის ნათესაური კავშირების დასაფიქსირებლად საკმარისია სიტყვები (*uncle, aunt, cousin, дядя, тетя, кузен, кузина*), მიუხედავად იმისა, დედის მხრივ არიან ისინი ნათესავები თუ მამის, ქართულ კულტურაში ჩამოყალიბებული ენობრივი პიროვნება არჩევს შემდეგ განსხვავებებს: *ბიძია, დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი*. კიდევ უფრო დეტალური დეფინიციები არსებობს თურქულ ენასა და სხვა აღმოსავლურ ენებში.

რაც მიღებულია ერთ კულტურაში, შესაძლებელია უცნაური ან აკრძალული იყოს სხვა კულტურებში. რა თქმა უნდა, ამ ლინგვოკულტუროლოგიური ნიუანსების ცოდნა აუცილებელი პირობაა წარმატებული კულტურათმორისი კომუნიკაციისთვის. მათი არცოდნა ან შეგნებული იგნორირება შეიძლება სერიოზული კონფლიქტის გამომწვევ პირობად იქცეს.

წარმატებული ეფექტური კომუნიკაცია ორი განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს შორის მოითხოვს კომუნიკანტთა ცნობიერების „ოპტიმალურ თანხვედრას“. ენობრივ ცნობიერებას გარკვეულწილად საკაცობრიო ხასიათი აქვს, ვინაიდან მასში შედის ყველა ერისთვის არსებული ერთიანი საინფორმაციო შრე: ეს არის მზის სისტემის აგებულება, დედამიწის შემადგენელი ნაწილები, კლიმატური ზონები და უამრავი სხვა ინფორმაცია, რომლებშიც საკმაოდ უხვადაა ზეეთნიკური წეს-ჩვეულებანი (მაგალითად, ერთიანი ან მსგავსი წეს-ჩვეულებები მთელ ქრისტიანულ ან მუსულმანურ სამყაროში), აგრეთვე კაცობრიობის ერთიან ფონდს წარმოადგენს მეცნიერებათა უმრავლესობა, ან საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული ანტიკური კულტურის მონაპოვარი და სხვ.

როდესაც კულტურათმორისი კომუნიკაცია პროფესიულ სფეროში ხორციელდება, კომუნიკანტთა ცნობიერების „ოპტიმალურ თანხვედრას“ კიდევ

ემატება მსგავსი განათლება, პროფესიული ინტერესები და გამოცდილება. ამავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ზემოთ ხსენებული წარმატებულ კომუნიკაციას უწყობს ხელს, ენობრივი ცნობიერების ეროვნული კომპონენტების განსხვავება კი იწვევს კომუნიკაციის წარუმატებლობას. ასე, მაგალითად, ორი კულტურის ეკვივალენტურ სიტყვას განსხვავებულ ასოციაციებიანი კულტურული კონოტაციები შეიძლება ჰქონდეს.

ვიტალი კოსტომაროვისა და მისი თანაავტორის – ე. ვერეშაგინის აზრით, კულტურათმორისი კომუნიკაცია ძალიან ფართო გაგების შეიძლება იყოს, ისინი თვლიან, რომ ერთი და იმავე ენის მატარებელი ადამიანებიც კი ყოველთვის ვერ ახერხებენ ერთმანეთის სწორად გაგებას, რისი მიზეზიც ხშირად კულტურათმორისი განსხვავებაა, რასაც ისინი „კულტურულ მესხიერებას“ უწოდებენ (Верещагин, Костомаров 2005:157).

სვეტლანა ტერ-მინასოვა ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კომუნიკაციას, ვინაიდან „მისი უდიდებულესობა“ მართავს ადამიანებს, მათს ცხოვრებას, განვითარებას, ქმედებებს, მათ მიერ სამყაროსა და საკუთარი თავის, როგორც ამ სამყაროს ნაწილის, შეცნობას, მაგრამ ამავდროულად ის თვლის, რომ „კულტურათა დაპირისპირების ყველაზე ნათელ მაგალითებს იძლევა რეალური ურთიერთობისას უცხოელებთან, როგორც მათს ქვეყანაში, ისე საკუთარში“ (ტერ-მინასოვა, 2017: 21).

კულტურათმორისი კომუნიკაცია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების კავშირს და ურთიერთობას გულისხმობს, რაც შეიძლება გამოვლინდეს ცალკეული პიროვნებების და მათი ჯგუფების უშუალო ან არაუშუალო კონტაქტებში. უკანასკნელს განეკუთვნება დამწერლობა, ელექტრონული კომუნიკაცია.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რამდენად მრავალფეროვანი შეიძლება იყოს კულტურები, რამდენად განსხვავდებიან ადამიანები ჩაცმულობით, ქცევით, კვების რაციონით, საცხოვრებელი გარემოთი, შეხედულებებით, აღქმით, ერთი და იმავე საგნისა თუ მოვლენის ინტერპრეტაციით. ბუნებრივია, არ არის იოლი საკუთარისაგან რადიკალურად, ან თუნდაც უმნიშვნელოდ განსხვავებული

წარმოდგენების და შეხედულებების მქონე ადამიანის გაგება და მიღება, მით უფრო, როდესაც ცოტა, ან სულაც არაფერი ვიცით მისი კულტურის შესახებ.

კულტურათაშორისი კომუნიკაცია ინტერდისციპლინურ დონეზე ისწავლება ისეთი მეცნიერებების ფარგლებში, როგორებიცაა: კულტუროლოგია, ლინგვისტიკა, ეთნოლოგია, სოციოლოგია, კომუნიკაციის თეორია და სხვ.

ა. პ. სადოხინის განმარტებით, „კულტურათაშორისი კომუნიკაცია წარმოადგენს მრავალფეროვანი ურთიერთკავშირების ერთობლიობას სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს ან ჯგუფებს შორის“ (Садохин, 2005:28).

ასეთნაირად ინტერპრეტირებული კულტურათაშორისი კომუნიკაციის ცნება აყენებს ორ მნიშვნელოვან საკითხს: რაა განსხვავებული ცალკეულ კულტურაში და როგორ გამოიხატება ის. კულტურა კოდების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც მოითხოვს ამ კულტურის წარმომადგენლისგან ამა თუ იმ საქციელს, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ექცევა ენობრივი პიროვნების სამეტყველო ქცევის გააზრებულ ტაქტიკას და სტრატეგიას.

ინგლისურ ფილოლოგიურ ტრადიციაში ხშირად გამოიყენება ტერმინები: კროსკულტურული, ინტერკულტურული და მულტიკულტურული კომუნიკაცია. კლერ კრამში ასეთნაირად ხსნის ამ ტერმინებს: მისი აზრით, ტერმინი „კულტურათაშორისი“ ან „ინტერკულტურული“ ჩვეულებრივ ეხება ორი კულტურის ან ორი ენის შეხვედრას ერების/სახელმწიფოების პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა. ტერმინი ინტერკულტურული შეიძლება ასევე ეხებოდეს კომუნიკაციას იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა ეთნიკურ, სოციალურსა და გენდერულ კულტურას ერთი ეროვნული ენის ფარგლებში. ორივე ტერმინი გამოიყენება კომუნიკაციის დასახასიათებლად, რომელიც შედგება, დავუშვათ, ჩინური წარმოშობის ამერიკელსა და აფროამერიკელს, მუშათა კლასისა და მაღალი საზოგადოების წარმომადგენელს, ჰომო და ჰეტეროსექსუალს, მამაკაცსა და ქალს შორის.

„ინტერკულტურული კომუნიკაცია ეხება დიალოგს უმცირესობათა კულტურისა და დომინანტი კულტურის წარმომადგენელთა შორის და ასოცირდება ბილინგვიზმისა და ბიკულტურალიზმის საკითხებთან“ (Kramsch, 2011:324).

უცხო კულტურის არცოდნა ხშირ შემთხვევაში კომუნიკანტებს კულტურული შოკის პირობებს უქმნის. ეს ტერმინი XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში დამაბულობის, დაურწმუნებლობისა და შფოთვის იმ შეგრძნების აღსანიშნავად, რომელსაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი განიცდის ახალ და უჩვეულო კულტურულ გარემოში აღმოჩენისას (Oberg, Culture Shock and the Problem of Adjustment in New Cultural Environments <https://d31kydh6n6r5j5.cloudfront.net/uploads/sites/467/2020/07/>).

კულტურული შოკის დროს ერთმანეთს უპირისპირდება ადამიანისათვის ჩვეული და უცხო კულტურების ფასეულობები, ნორმები. კულტურული შოკი, ფართო აზრით, როგორც ფილოსოფიურ-კულტურული ან ფილოსოფიურ-ისტორიული კატეგორია, კულტურის მეცნიერებათა ჩამოყალიბებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. XII -XVII სს. მოგზაურთა გადმოცემებმა, რომლებიც აღწერდნენ ახალი ქვეყნებისა და ხალხების უსასრულო რაოდენობას, ევროპაში კულტურული შოკი გამოიწვია, რაც საფუძვლად დაედო კულტურის ფენომენის, როგორც შესწავლის ობიექტის, ჩამოყალიბებას. კულტურულმა შოკმა ევროპელთა გონებაში გადატრიალება მოახდინა, რომელსაც შეიძლება ანთროპოლოგიური რევოლუცია ვუწოდოთ. მისი არსი ისაა, რომ შეირყა ევროპელთა წარმოდგენა საკუთარ განსაკუთრებულობაზე; აღმოჩნდა, რომ კაცობრიობა შედგება მრავალი კულტურისაგან. მთლიანად კულტურული შოკი კულტურაში დადებით როლს თამაშობს, ვინაიდან ხელს უწყობს კულტურათა ურთიერთქმედებასა და ურთიერთგამდიდრებას, ტრადიციულ კულტურაში სხვა კულტურულ ელემენტთა ინტეგრაციას, კულტურათა ღიაობის ზრდას.

შოკური რეაქციის სიძლიერე განისაზღვრება კულტურათა შორის არსებული განსხვავების ხარისხით. კულტურულ შოკს მეტ-ნაკლებად განიცდის ყველა, ვინც პირველად მოხვდება უცხო კულტურულ გარემოში (ტურისტები, ემიგრანტები და, მათ შორის, ახალგაზრდა მეზღვაურები, რომლებიც პირველად გადიან ზღვაში

მრავალეროვანი ეკიპაჟის შემადგენლობაში). არ არის გასაკვირი, რომ ეკიპაჟის გამოუცდელ წევრთა შორის ინტენსიური კულტურული დიფუზიის შედეგად წარმოიშობა კონფრონტაცია ფასეულობებს, ნორმებს, ყოფაქცევის მოდელებს შორის, მაგრამ ბევრად უფრო რთულია კულტურათაშორისი კომუნიკაციის წარუმატებლობის ის შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია განსხვავებული სამეტყველო ქცევით.

ზოგ შემთხვევაში კულტურული შოკი უმტკივნეულოდ ქრება, ზოგჯერ კი შეიძლება გადაიზარდოს სერიოზულ კონფლიქტში. საქმე ისაა, რომ საზღვაო პროფესიული კომუნიკაციის განხორციელება ხშირ შემთხვევაში ეკიპაჟის წევრებს უწევთ დახურულ სივრცეში, რაც კომუნიკაციას ფსიქოლოგიურ პრობლემებს მატებს, ამიტომ მეზღვაურთა პროფესიული კომუნიკაციის შესწავლა საჭიროა კონფლიქტოლოგიის თეორიის ჭრილშიც.

როგორც ოთარ კოჭარაძე აღნიშნავს, კონფლიქტი (ლათ. შეჯახება) ადამიანთა ურთიერთქმედების ფორმაა, რომლის დროსაც ჭარბობს დაპირისპირების, მტრობის ტენდენცია, ირღვევა ერთიანობის, თანხმობისა და თანამშრომლობის მიღწეული დონე. კონფლიქტები სხვადასხვა მასშტაბის და სახისაა. კონფლიქტის მდგომარეობაში შეიძლება იყოს სხვადასხვა ადამიანი, სოციალური ერთობები და სამოქალაქო ინსტიტუტები, კულტურები და ცივილიზაციები, ისტორიული სისტემები და საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციები (http://otarkochoradze.blogspot.com/2009/12/blog-post_4771.html).

შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ცხოვრების არცერთი სფერო, რომელიც თავისუფალი იქნებოდა კონფლიქტებისაგან. ცალკე აღებული პიროვნებაც კი განიცდის შინაგანი უთანხმოების, გრძნობებისა და მოთხოვნილებების კონფლიქტს, სურვილებისა და აკრძალვების ბრძოლას. კონფლიქტის გამოვლინებანი უაღრესად მრავალფეროვანია, იგი შეიძლება წარმოიშვას ცალკეულ დაჯგუფებას შორის და მან შეიძლება მიიღოს სხვადასხვა მიმართულება. სამეცნიერო ლიტერატურაში კონფლიქტის მრავალი განსხვავებული განსაზღვრება არსებობს. თითოეული მათგანი ხაზს უსვამს კონფლიქტის მდგომარეობის ერთ ან რამდენიმე თავისებურებას, რომლებიც მნიშვნელოვანია რომელიმე მეცნიერებისათვის,

მაგალითად, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, კულტუროლოგიის, ისტორიის ან კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე.

თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში ყველაზე უფრო გავრცელებულია ამერიკელი მეცნიერის, ლუის კოზერის, განსაზღვრება, რომელიც შესულია მრავალ ლექსიკონსა და ენციკლოპედიაში. ამ განმარტებით, კონფლიქტი არის „ბრძოლა ფასეულობებისათვის და პრეტენზიები გარკვეულ სოციალურ სტატუსზე, ხელისუფლებასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე, რომელიც ყველასთვის არაა საკმარისი; ბრძოლა, რომელშიც კონფლიქტში მყოფი მხარეების მიზანს წარმოადგენს მეტოქის ნეიტრალიზაცია, მისთვის ზიანის მიყენება ან მოსპობა“ (Kozep 2000:53).

ავტორი გამოყოფს კონფლიქტის მდგომარეობისათვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს:

1. კონფლიქტის აუცილებელი პირობაა ორი მხარის არსებობა. ეს მხარეების შეიძლება იყოს ინდივიდები, ადამიანთა ჯგუფები, კლასები, კულტურებიც კი. ეს პირობა არ ნიშნავს, რომ კონფლიქტში ყოველთვის მხოლოდ ორი მხარეა. ის შეიძლება გაცილებით მეტი იყოს;

2. კონფლიქტის აუცილებელი პირობაა „დეფიციტის“ არსებობა, ე.ი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის შეზღუდული რაოდენობა, როდესაც ნებისმიერ მსურველს არ შეუძლია სრულიად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები. ამასთან დეფიციტი შეიძლება სრულიად სხვადასხვა იყოს. ეს შეიძლება იყოს საგნები, ფასეულობები, სულიერი და მატერიალური დოვლათი, სოციალური ფუნქციები, პრესტიჟული საქმიანობა და საზოგადოებრივი როლი, სამუშაო ადგილები;

3. კონფლიქტები წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს ერთმანეთის ხარჯზე სურთ მიზნის მიღწევა ან სარგებლის მიღება. ასეთ შემთხვევაში ერთი მხარის წარმატება ნიშნავს მეორე მხარის წარუმატებლობას, ამიტომ კონფლიქტში მყოფი მხარეები ყოველთვის ისწრაფვიან მოპირდაპირე მხარის ლიკვიდაციისკენ, ან სულ ცოტა კონტროლის ქვეშ მოქცევისკენ. აქედან

გამომდინარეობს ის პიროვნული ელემენტი, რომელიც არსებობს პრაქტიკულად ნებისმიერ კონფლიქტში.

ამა თუ იმ კონფლიქტის დაძლევისთვის აუცილებელია შემდეგი მონაცემების დაზუსტება:

1. კონფლიქტის მხარეთა მახასიათებლები – მათი ფასეულობები და მოტივაციები, მისწრაფებები და მიზნები, ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური და სოციალური რესურსები კონფლიქტის წარმართვის ან გადაწყვეტის დროს, მათი წარმოდგენები კონფლიქტის შესახებ, არჩეული სტრატეგია და ტაქტიკა;

2. კონფლიქტის მხარეების ურთიერთობის წინაისტორია – ურთიერთდამოკიდებულება, ორმხრივი სტერეოტიპები და მოლოდინი და, რაც მთავარია, მათი შეხედულებების პოლარულობის ხარისხი;

3. იმის ბუნება, რამაც კონფლიქტამდე მიგვიყვანა – მისი საზღვრები, მოტივაციური ფასეულობა, განსაზღვრება, პერიოდულობა;

4. სოციალური გარემო, რომელშიც წარმოიშობა კონფლიქტი – სხვადასხვა ინსტრუმენტი, დაწესებულება, შეზღუდვანი. წახალისების ან შეკავების დონე, იმის მიხედვით, თუ რა სახის სტრატეგია და ტაქტიკა არის არჩეული კონფლიქტის წარმართვის ან გადაწყვეტისას, ის სოციალური ნორმები და ინსტიტუციური ფორმები, რომლებიც არსებობს კონფლიქტების რეგულირებისათვის;

5. დაინტერესებული მხარეები – მათი დამოკიდებულება კონფლიქტის მხარეებისა და ერთმანეთისადმი, დაინტერესება კონფლიქტის ამა თუ იმ შედეგით, მათი მახასიათებლები;

6. კონფლიქტის მხარეთა მიერ გამოყენებული სტრატეგია და ტაქტიკა – უპირატესობების, ნაკლოვანებების და სუბიექტური შესაძლებლობების შეფასება ან შეცვლა, ერთი მხარის ცდები, ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარის წარმოდგენებზე პირველის უპირატესობის ან ნაკლოვანებების თაობაზე და ა.შ.;

7. კონფლიქტების შედეგები მისი მონაწილეებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის – სარგებელი ან დანაკარგები დაკავშირებულია კონფლიქტის

უშუალო საგანთან, კონფლიქტის მხარეების შინაგან ცვლილებებთან, ერთმანეთთან დამოკიდებულებაში მომხდარ ცვლილებებთან და ა.შ. კონფლიქტს თან ახლავს ორი მოვლენა: უთანხმოება და დომინირება. უთანხმოება აღწერს მონაწილეთა შეხედულებების, ინტერესებისა და მიზნების მდგომარეობასა და ორიენტაციას, რაც გამოიხატება მოთხოვნებში. უთანხმოება აყალიბებს ქცევის მეტოქეობრივ ტიპებს.

კონფლიქტის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ლუის კოზერის, აზრით, ქცევის (მათ შორის სამეტყველო ქცევის) სტრატეგია და ტაქტიკა სხვა რესურსებთან ერთად კონფლიქტის წარმართვის ან გადაწყვეტის პირობას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საზღვაო კომუნიკაცია წარმოადგენს კულტურათაშორისი პროფესიული კომუნიკაციის რთულ სახეობას, რომელსაც ახასიათებს წარუმატებლობის განსხვავებული ფორმები: უმნიშვნელო შეცდომიდან, უზუსტობიდან დაწყებული გაუგებრობით და ზოგჯერ, კონფლიქტით დამთავრებული. ჩვენი ვარაუდით, პროფესიული კომუნიკაციის წარმატებულობას ხელს უწყობს კულტურების ცოდნა, კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება, კარგი პროფესიული მომზადება და სხვ. რაც ხელს უწყობს ყველა ტიპური სიტუაციისთვის შესაბამისი სამეტყველო ქცევის სტრატეგიისა და ტაქტიკის შერჩევას.

1.3. სამეტყველო ქცევის ტაქტიკა /სტრატეგია და სამეტყველო აქტების თეორია

კომუნიკაციის თეორიაში ერთ-ერთი ფუძემდებელია სამეტყველო აქტების თეორია, რომელშიც განხილულია როგორც სამეტყველო ქცევის სტრატეგია და ტაქტიკა. დ. ოსტინის, დ. სერლის, პ. სტროსონის, მ. ბახტინის, ნ. არუთინოვას ნაშრომებში მოცემულია სამეტყველო აქტების ვიწრო და ფართო გაგება. პირველ შემთხვევაში ის აღნიშნავს იდეების ნებისმიერ კომპლექსს, რომლებიც მიმართულია სამეტყველო მოღვაწეობის ასახსნელად და „სამეტყველო მოღვაწეობის თეორიის“ სინონიმია. მეორე შემთხვევაში იგი აღნიშნავს კონკრეტულ თეორიას, რომელიც ფართოდ გავრცელდა საზღვარგარეთ და მიიპყრო იმ მეცნიერებათა ყურადღება,

რომლებიც შეიმუშავებდნენ სამეტყველო კომუნიკაციის პრობლემებს როგორც თეორიულ, ასევე გამოყენებით ასპექტებში.

ენის ფილოსოფოსი დ. ოსტინი განიხილავდა სამეტყველო აქტებს, როგორც სამი დონის ქმნილებას:

- ლოკუციური აქტი (ლათ. *locution* ნიშნავს მეტყველების ერთეულს) – ლინგვისტური გამონათქვამის ეტაპი, რომელსაც მნიშვნელობა გააჩნია;

- ილოკუციური აქტი (ლათ. *il-* < *in* ნიშნავს შიგ, შიგნით) – გამონათქვამის შინაარსის პრაგმატიკული კომპონენტი, რომელიც ადრესანტის კომუნიკაციურ მიზანს გამოხატავს;

(საბაზო ილოკუციურ აქტებს მიეკუთვნება კონსტატივები, პერფორმატივები – „ვფიცავ“ და სხვ.);

- პერლოკუციური აქტი (ლათ. *per-* ნიშნავს მეშვეობით) ემსახურება ადრესატზე შეგნებულ ზეგავლენას, რაღაც მიზნის მიღწევას (Остин НЗЛ, 1986:127).

თანამედროვე ლინგვისტიკაში სამეტყველო აქტს აღიქვამენ, როგორც სამეტყველო ქმედების მინიმალურ ერთეულს, რომელიც სამეტყველო აქტების თეორიის სახით ლინგვისტური პრაგმატიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამ თეორიის თანახმად, კომუნიკაციის მინიმალური ერთეულის როლს წინადადება ან გამონათქვამი კი არ ასრულებს, არამედ „გარკვეული აქტები: კითხვა, ბრძანება, აღწერა, კონსტატაცია, ახსნა, მობოდიშება, მადლიერება, მილოცვა და სხვ.“ სამეტყველო აქტების თეორია საშუალებას აძლევს ლინგვისტებს, შეისწავლონ რიტორიკული მიზნების მიღწევის ეფექტური ხერხები, დაადგინონ ურთიერთკავშირი უნივერსალური ხასიათის ილოკუციურ აქტებსა და კონკრეტული ენის გამონათქვამთა შორის და სხვ. სამეტყველო აქტების თეორიაში გამოკვეთილია ორი ძირითადი მიდგომა: თვით სამეტყველო აქტების თეორია (მათი ბუნების თეორიული ანალიზი, კლასიფიკაცია, ურთიერთკავშირი) და მეტყველების ლინგვისტური ანალიზი, რომელიც სამეტყველო აქტებსა და მეტყველების ერთეულებს შორის შეფარდებას აზუსტებს.

იურგენ ჰაბერმასი სამეტყველო აქტს განიხილავს, როგორც უამრავ ერთმანეთთან დაკავშირებულ ალტერნატივას, რომლებიც ენის სემანტიკურ პოტენციალს წარმოადგენს. როდესაც პიროვნება მეტყველებს, ის ირჩევს ერთ შესაძლო ფორმას: მტკიცებას, კითხვას, განზოგადებას, გამეორებას და ა.შ. ამ კუთხით სამეტყველო აქტები დაკავშირებულია მეტყველების დაგეგმარებასთან და რთულ ერთობლიობას წარმოადგენენ, რომლებშიც კოგნიტური ფუნქციები შეხამებულია პიროვნულთან და წარმოადგენილია კონკრეტულ სიტუაციაში. მ. ჰოლიდეი გამოყოფს სამეტყველო აქტების ძირითად მახასიათებლებს კომუნიკანტებთან მიმართებით, მოცულობის თვალსაზრისით, ფუნქციური დატვირთვით, გრამატიკული სტრუქტურის თვალსაზრისით, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ჭრილში და სხვ. (Habermas 1981:96).

1) სამეტყველო აქტი მეტყველების ელემენტარული ერთეულია, რომელიც წარმოთქმულია ადრესანტის მიერ და ენის მატარებელთაგან ერთისთვის მაინც არის გასაგები;

2) სამეტყველო აქტები განსხვავდებიან იმით, რომ უნივერსალურ ხასიათს ატარებენ, ან სოციალურად განპირობებული არიან (მაგ., ბავშვების მოკითხვის ფრაზა, რომელიც აფრიკის ზოგიერთ ტომში ეტიკეტურ მისაღმებად იქცა);

3) სამეტყველო აქტის უნივერსალური თვისებები უპირისპირდება კონკრეტული ენებისთვის დამახასიათებელ თვისებებს. ასე მაგალითად, პერლოკუციები ყოველთვის უნივერსალურია, ილოკუციები კი შეიძლება უნივერსალურიც იყოს და სპეციფიკურიც;

4) მოცულობით სამეტყველო აქტი შეიძლება იყოს ან წინადადებაზე/გამონათქვამზე უფრო დიდი, ან მის ნაწილს წარმოადგენდეს;

5) სამეტყველო აქტი აერთიანებს ადამიანის ვერბალურსა და არავერბალურ ქცევას;

6) სამეტყველო აქტი განასხვავებს ტექსტს და ქვეტექსტს;

7) სამეტყველო აქტი დაკავშირებულია ფრეიმის ცნებასთან (ჩარჩოსთან), იგულისხმება სხვადასხვა რიტუალური თანმიმდევრობა;

8) გრამატიკულ აღწერაში სამეტყველო აქტი რთავს კონტექსტის პრაგმატიკულ პოტენციალს, ადრესატისა და ადრესანტის როლს, კონკრეტული საზოგადოების ნორმებს, ილოკუციურ მიზანს;

9) სამეტყველო აქტი აერთიანებს წინადადებას გამონათქვამთან. სამეტყველო აქტი არის ხერხი, რომლის საშუალებითაც ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს განსაზღვრულ მიზნებს. შესაბამისი ენობრივი საშუალებების განხილვა ენათმეცნიერთა პეროგატივაა, რადგანაც მათ აღარ აკმაყოფილებთ უბრალო კონსტატაცია იმისა, რომ ენა არის ურთიერთობის საშუალება, იარაღი, ინსტრუმენტი.

ქართულ ლინგვისტიკაში სამეტყველო აქტების თეორია ნაკლებად არის შესწავლილი. ასოც. პროფ. ასმათ არძენაძე თავის ნაშრომში განიხილავს სამეტყველო აქტს, როგორც ნორმალურ, ჩვეულ სოციოსამეტყველო ქცევას, ფუნქციონირებადს პრაგმატიკული სიტუაციის ფარგლებში. ილოკუციური აქტის წარმატებული განხორციელების არსებით ელემენტად ავტორი თვლის ათვისების უზრუნველყოფას, ე. ი. ილოკუციური მიზნის გაგებას. სამეტყველო კომუნიკაციის თეორია განხილულია, როგორც ერთიანი სიბრტყე სამეტყველო ჟანრების ტიპოლოგიის შესაქმნელად (არძენაძე, 2003:9).

საკომუნიკაციო აქტების ინტენსიური შესწავლა აიხსნება იმ გარემოებით, რომ კომუნიკაციის განხორციელება უმეტესწილად დაკავშირებულია ადრესანტის მცდელობასთან, მოახდინოს ზეგავლენა თანამოსაუბრეზე. პრაგმატიკული მიზნების შესაბამისად მოსაუბრე ირჩევს განსაზღვრულ სამეტყველო პროგრამას, რომელიც ორგანიზებულია ურთიერთობის მიზნიდან გამომდინარე, ზუსტად ეს არის კომუნიკაციური სტრატეგია, რომელიც ფორმირებას უწევს განსაზღვრულ ურთიერთობის „ვექტორს“. რაც უფრო ზუსტად (უფრო ადეკვატურად) არჩეულია კომუნიკაციური სტრატეგია, მით უფრო წარმატებულია მოსაუბრისათვის სამეტყველო ურთიერთობა.

კომუნიკაციური სტრატეგიისა და ტაქტიკის ცნებას აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დისკურსისადმი მიძღვნილ თანამედროვე კვლევებში. ო. ისერსის აზრით, საკვლევი მასალიდან გამომდინარე მისი მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად განიმარტება, ამასთან გამოიყოფა ორი ძირითადი მიდგომა: კოგნიტური (კოგნიტური, ან დასკვნითი, სტრატეგიები) და ინტერაქციული (სამეტყველო სტრატეგიები), რომლებიც ერთმანეთს არ გამორიცხავენ. ხშირ შემთხვევაში კომუნიკაციური სტრატეგია უკავშირდება მოტივებს, ინტენციას, ზოგიერთ ზოგად (მაკრო) მიზანს და ირჩევს უფრო ადეკვატურ ხერხს მის მისაღწევად. ეს ამოცანა ამოიხსნება კომუნიკაციური (სამეტყველო) ტაქტიკით, რომელიც განისაზღვრება როგორც ერთი ან რამდენიმე მოქმედება, რომლებიც სტრატეგიებს უწევს რეალიზაციას (Исчер, 2006:110).

რეალური ურთიერთობის სიტუაცია ხასიათდება იმით, რომ კომუნიკაციური მიზანი მიიღწევა რამდენიმე კომუნიკაციური ნაბიჯის რეალიზაციით, რომლებიც ტაქტიკის მნიშვნელობის შესაბამისია. კომუნიკაციური სტრატეგიისა და ტაქტიკის ფართო გამოყენების მიუხედავად, მათი შედეგები პროფესიული კომუნიკაციის შესწავლაში არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, – მიიჩნევს ო. ისერსი. მისი აზრით, მეცნიერებების ყურადღება მიმართული იყო სამეტყველო აქტებზე უფრო კომპლექსურ ერთეულებზე, როგორებიცაა: სამეტყველო ჟანრები, დიალოგური ერთობლიობები და სხვ. (Исчер, 2006:111).

ო. ისერსს ყველაზე არგუმენტირებულად აქვს ახსნილი კომუნიკაციური ტაქტიკის ცნება, ჩვენ ნაშრომში ის გააზრებულია, როგორც მინიმალური სამეტყველო ქმედება, რომელსაც მივყავართ მოსაუბრის მიზანთან არჩეული სამეტყველო სტრატეგიის ჩარჩოებში. მეცნიერების აზრით (ა. ვეჟბიციკაია, ე. მ. ვერეშაგინი, ვ.გ. კოსტომაროვი, და სხვ.), კომუნიკაციური სტრატეგიები და ტაქტიკა არ არის უნივერსალური მსოფლიო კულტურისათვის, არამედ განსაზღვრულ სიტუაციაში წარმოადგენს ეროვნულ და კულტურულად განპირობებულ სამეტყველო მოდელის ქცევას. ეს ნიშნავს, რომ ყველა კულტურაში არსებობს საკუთარი სამეტყველო ტაქტიკის ნაკრები და არსებული ენობრივი ხერხები, რომლებიც ახდენენ ეფექტურ ზეგავლენას ადრესატზე.

სამეტყველო ტაქტიკისა და სტრატეგიის ფლობა პროფესიული მომზადების მნიშვნელოვანი ნაწილია. პროფესიული საქმიანი ურთიერთობა განსაკუთრებულ კომუნიკაციურ სიტუაციას წარმოადგენს. ის შედგება მთელი რიგი კომპონენტისაგან, რომელთა ცვლილება კომუნიკაციური სიტუაციის ცვლილებას იწვევს, რაც მოითხოვს გამოსაყენებელი ენობრივი ხერხების შეცვლას და, უფრო მეტიც, მთლიანად სამეტყველო ქმედების ვარირებას: ადრესანტი, ადრესატი, მათი ურთიერთკავშირი, ურთიერთობის ტონალობა (ოფიციალური, ნეიტრალური თუ მეგობრული), კომუნიკაციის მიზანი, ხერხი (ვერბალური, არავერბალური, შერეული), ურთიერთობის ფორმა (ზეპირი/წერიტი, კონტაქტური/დისტანციური), ურთიერთობის ადგილი (Беликов, Крысин, 2001:61).

საკითხი დგას ასეთნაირად: იმისათვის, რომ საზოგადოებაში მომზადდეს პროფესიული კადრები, უნდა იყოს კარგად შესწავლილი ყველა პროფესიის კომპეტენცია და მათ შორის მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სამეტყველო კომპეტენცია, რომლის გარეშეც შეუძლებელია წარმატებული პროფესიული ურთიერთობა.

ჩვეულებრივ, პროფესიულ კომპეტენციას მიაკუთვნებენ გარკვეული ხასიათისა და მოცულობის ცოდნას, ზოგად და სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული პროფესიული ქმედებების შესასრულებლად და დასახული მიზნების მისაღწევად. ნებისმიერი პროფესიული კომპეტენცია ეფუძნება ზოგად, უნივერსალურ კომპეტენციებს. ეს პიროვნების ისეთი თვისებებია, რომლებიც აუცილებელია ნებისმიერ სფეროში პროფესიული წარმატების მისაღწევად. მათ მიეკუთვნება შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

- 1) სოციალური კომპეტენცია (საზოგადოებაში ქცევის წესების ცოდნა, ეტიკეტის ცოდნა, ურთიერთთანამშრომლობის უნარ-ჩვევები, ლიდერის თვისებები, სამუშაო ჯგუფის მუშაობის ორგანიზება, ცვალებად გარემოში ადაფტირების უნარი);

2) კულტურული კომპეტენცია (მოცემული სოციუმის კულტურული კოდის დაუფლება, სხვა კულტურების მიმართ ტოლერანტობა);

3) კომუნიკაციური კომპეტენცია (ლიტერატურული ლექსიკისა და გრამატიკული ნორმების ცოდნა, ზეპირი და წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევები, ურთიერთობის კონკრეტული სიტუაციისთვის შესაბამისი კომუნიკაციური ტაქტიკისა და სტრატეგიის არჩევის უნარი);

4) პირადი კომპეტენციები (თავდაჯერებულობა, თვითგანათლებისა და თვითგანვითარების უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები, პიროვნების ანალიტიკური შესაძლებლობები, ნებისყოფა, სიძნელების დამლევის უნარი და სხვ.).

სპეციალურ ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში პროფესიული და ზოგადი კომპეტენციების მსგავსი შეხამების აღსანიშნავად იყენებენ ტერმინებს *hard skills* (მკვრივი უნარები) და *soft skills* (რბილი უნარები). პირველი ტერმინი უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ისინი აუცილებელია წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის (Белл 1980:57).

კომპეტენციებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ მთარგმნელობითი კომპეტენცია და მთარგმნელის ძირითადი პროფესიული კომპეტენცია. მთარგმნელობითი კომპეტენცია რთული ლინგვოკოგნიტური კატეგორიაა, რომელსაც მიეკუთვნება პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც მთარგმნელს აძლევს საშუალებას, განახორციელოს კულტურათაშორისი და ენათშორისი კომუნიკაციური აქტი.

სხვადასხვა მკვლევარი მთარგმნელობითი კომპეტენციის განსხვავებულ კომპონენტს გამოყოფს, მაგრამ მთარგმნელობითი კომპეტენციის კონცეფცია ვ. ნ. კომისაროვმა შექმნა. მისი აზრით, მთარგმნელობითი კომპეტენცია თავის თავში აერთიანებს მთარგმნელის ენობრივ, კომუნიკაციურ კომპეტენციებს, ტექსტის შექმნის ტექნიკურსა და პიროვნულ თვისებებს.

მთარგმნელის ენობრივი კომპეტენცია მოიცავს ენის ფლობის ყველა ასპექტს, რომლებიც დამახასიათებელია ენის მატარებლისთვის, მაგრამ ამასთან გულისხმობს თავისებურებებს. მთარგმნელს უნდა ახსოვდეს ენის სისტემა, ნორმა და უზუსტი, მისი ლექსიკური შემადგენლობა და გრამატიკული წყობა, ენის ერთეულების გამოყენების წესები სამეტყველო გამოთქმების ასაგებად. ადამიანთა ენობრივი ურთიერთობა გასაკუთრებულად რთული გზით ხორციელდება და ენის საკმარისად ცოდნა კომუნიკაციის ერთ-ერთი პირობათაგანია. მთარგმნელი-კომუნიკანტი შეავსებს ხოლმე ენობრივ გამოთქმებს ფონური ცოდნიდან გამომდინარე ინფორმაციით. ფონური ცოდნის საფუძველზე ენობრივი გამოთქმების მთლიან შინაარსზე სწორი დასკვნების გაკეთება განსაზღვრავს მთარგმნელის კომუნიკაციურ კომპეტენციას (Белл 1980:17).

სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნის ცოდნა, კომუნიკაციური ამოცანის და ურთიერთობის სიტუაციის შესაბამისად ტექსტის ენობრივი ერთეულების გამოყენება მოცემულ ენაში სამეტყველო ერთეულების აგების წესების მიხედვით, ტექსტის ცალკეული ნაწილის ადგილის და შესატყვისობის შეფასება, ტექსტის, როგორც სამეტყველო მთლიანობის, აღქმა წარმოადგენს ნათარგმნი ტექსტის შექმნის კომპეტენციას.

მთარგმნელის პროფესიული კომპეტენცია ასევე მოიცავს ზოგიერთ პიროვნულ თვისებასაც. მთარგმნელობითი პროცესი წარმოადგენს გონებრივი მუშაობის რთულ სახეს, რომლის განხორციელება მოითხოვს განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ ორგანიზაციას, მოქნილობას, უნარს, სწრაფად გადართოს ყურადღება, გადავიდეს ერთი ენიდან მეორეზე, ერთი კულტურიდან მეორეზე.

მთარგმნელს უხდება სხვადასხვა თემატიკის ტექსტის თარგმნა, ამიტომ მას მოეთხოვება დიდი დაინტერესება, ერუდირება, ნაკითხოზობა, ცოდნის მუდმივად გამდიდრება, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გამოყენება. მთავარია ასევე მთარგმნელის მორალური და ესთეტიკური მხარეც. მთარგმნელის ტექნიკური კომპეტენცია მოიცავს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია მთარგმნელობითი საქმიანობისთვის. უპირველეს ყოვლისა, ესაა თარგმანის სტრატეგიების, მთარგმნელობითი ხერხების და ტრანსფორმაციების ცოდნა.

მთარგმნელის ლინგვისტური კომპეტენცია გამოხატავს ადამიანის უნარს, გამოიყენოს უცხოური და მშობლიური ენები, როგორც პროფესიული კომუნიკაციის საშუალებანი. სოციოკულტურული კომპეტენცია წარმოადგენს აზრის ინტერპრეტირების უნარს კომუნიკანტების კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, შემკვეთისა და მიმღების კომუნიკაციური სიტუაციების ანალიზის უნარს შესაბამისი კულტურების ჩარჩოებში.

მომავალ მთარგმნელს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი განათლების მიზანი უნდა გახდეს პროფესიულად მნიშვნელოვანი კომპეტენციების ჩამოყალიბება და განვითარება, რომლებიც აძლევენ მთარგმნელობითი ფუნქციის რეალიზების საშუალებას, რომ ამის საფუძველზე მიაღწიონ მაღალი დონის პროფესიულ მთარგმნელობით კომპეტენციას.

სავაჭრო ეკონომიკისა და მაღალი კონკურენციის პირობებში პროფესიული კომპეტენციის ცნება ინტენსიური კვლევების ობიექტად იქცა (ფსიქოლოგების, სოციოლოგების, ლინგვისტების, პედაგოგების). პროფესიული განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, ამისთვის კი საჭიროა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, შესაბამისი ცოდნისა და უნარების დაზუსტება, მათი შემოწმების კრიტერიუმების გამომუშავება, აღნიშნულ პროცესებში დამსაქმებლების აზრის გაზიარება. ყველა ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით დადგა თანამედროვე პოლიკულტურული საზოგადოების წინაშე, ვინაიდან პროფესიული სტანდარტების გამომუშავება ძალიან მნიშვნელოვანია სოციუმის ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

პროფესიული კომპეტენციის შესწავლის სპექტრი ძალიან ფართოა. მეცნიერები, რომლებიც ამ პრობლემებზე მუშაობენ, ერთსულოვნად თვლიან, რომ პროფესიული კომპეტენციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კომუნიკაციური კომპეტენცია.

როჯერ ბელის აზრით, კომუნიკაციური კომპეტენცია წარმოადგენს „ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც საჭიროა სხვისი სამეტყველო ქცევის გასაგებად და საკუთარი სამეტყველო პროგრამის კომუნიკაციის სფეროს მიზნებისა და სიტუაციის

ადეკვატურად განხორციელებისთვის. ეს უნარები ფორმირდება ადამიანისა და სოციალური გარემოს ურთიერთქმედებებში, პიროვნების მიერ სოციალურ-კომუნიკაციური გამოცდილების შექმნის პროცესში“ (Белл 1980:50).

ფსიქოლოგ ი. ა. ზიმნაიას აზრით, კომუნიკაციური კომპეტენცია წარმოადგენს უნარს, შესწავლილი ენის ხერხების გამოყენებით განახორციელოს სამეტყველო საქმიანობა, სამეტყველო ქცევის კომუნიკაციური რეალიზება ფონოლოგიური, ლექსიკოგრამატიკული, სოციოლინგვისტიკური, საგნობრივი და ქვეყანათმცოდნეობითი ცოდნის და უნარების საფუძველზე, ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროს ფარგლებში, ურთიერთობის სხვადასხვა ამოცანის და სიტუაციის შესაბამისად (Зимняя 2006:219).

სხვადასხვა პროფესიაში კომუნიკაციური კომპეტენციის ხვედრითი წონა პროფესიული კომუნიკაციის ფარგლებში უდავოდ განსხვავებული იქნება. მაგალითად, სპეციალური ტერმინოლოგიის ფლობა, ზეპირი და წერიტი მეტყველების განვითარება, კომუნიკაციური სტრატეგიების და ტაქტიკის გამოყენება, ორატორული ხელოვნების ფლობა, უნარი, არ მოექცეს გარე ზემოქმედების ქვეშ – ყოველივე ეს მეტად მნიშვნელოვანია ადვოკატისთვის და არა დარაჯისთვის. იგივე შეიძლება ითქვას მეზღვაურებზე, რომლებსაც უკავიათ სხვადასხვა ადგილი გემის ეკიპაჟის იერარქიაში: ზემოხსენებული უნარ-ჩვევები და ცოდნა უფრო მეტად მნიშვნელოვანია კაპიტნისა და მისი თანაშემწეებისთვის, ვიდრე მექანიკოსებისთვის, რომლებიც პასუხს აგებენ სამანქანე განყოფილების გამართულ მუშაობაზე. მიუხედავად ამისა, ღრმად ვართ დარწმუნებული, კომუნიკაციური კომპეტენცია წარმოადგენს ნებისმიერი მეზღვაურის პროფესიული კომპეტენციის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, რაც აიხსნება ეკიპაჟის შეთანხმებული მუშაობის აუცილებლობით ექსტრემალურ სიტუაციებში, რომლებიც ესოდენ ხშირად იჩენს თავს მეზღვაურების პროფესიულ საქმიანობაში.

ამავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე სამყარო პოლიკულტურულია, ამიტომ წარმატებული კულტურათშორისი კომუნიკაცია ნებისმიერი პროფესიული მოღვაწეობის აუცილებელი პირობაა. კომუნიკაციის

შესაბამისი სტრატეგია და ტაქტიკა პროფესიული კომპეტენციის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

პირველ თავში მოცემული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა შეიძლება შევაჯამოთ შემდეგი დასკვნებით:

1) თანამედროვე პოლიკულტურულ საზოგადოებაში გლობალიზაციისა და სავაჭრო ეკონომიკის პირობებში ძალიან გაიზარდა წარმატებული კომუნიკაციის მნიშვნელობა, მათ შორის პროფესიულ სფეროშიც;

2) კომუნიკაციის თეორია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, რომლის ჩამოყალიბება დიდწილად იყო განპირობებული სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებით, ამიტომ კომუნიკაციის სახეობების შესწავლა და მათი წარმატებულობა- წარუმატებლობის მიზეზები შესწავლის პროცესშია და მოითხოვს ინტერდისციპლინურ კვლევებს (ლინგვისტური, ლინგვოკულტუროლოგიური, ფსიქოლინგვისტური, სოციოლინგვისტური, ტექსტუალური, სემიოტიკური ხასიათის);

3) თანამედროვე ანთროპოცენტრისტული ლინგვისტური პარადიგმის ფარგლებში, როდესაც ყურადღების ცენტრში „მოლაპარაკე ადამიანი“ (Homo loquens), კომუნიკაციის თეორიის გარდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციური პრაქტიკის შესწავლას და განზოგადებას საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის – პროფესიულშიც;

4) კომუნიკაციის თეორიაში ერთ-ერთი ფუძემდებელია სამეტყველო აქტების თეორია, რომელიც განხილულია როგორც სამეტყველო ქცევის სტრატეგია და ტაქტიკა. სამეტყველო აქტს კი განიხილავენ, როგორც ნორმალურ სოციოსამეტყველო ქცევას, ფუნქციონირებადს პრაგმატიკული სიტუაციის ფარგლებში. აქედან გამომდინარე გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული ურთიერთობის ტიპური სიტუაციების შესწავლას, მით

უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული პროფესიული დისკურსი ამ თვალსაზრისით წარმოადგენს Terra incognita-ს;

5) კომუნიკაციური სტრატეგიები და ტაქტიკა არ არის უნივერსალური მსოფლიო კულტურისათვის, არამედ განსაზღვრულ სიტუაციაში წარმოადგენს ეროვნულ და კულტურულად განპირობებულ სამეტყველო მოდელის ქცევას. ეს ნიშნავს, რომ ყველა კულტურაში არსებობს საკუთარი სამეტყველო ტაქტიკის ნაკრები და ენობრივი ხერხები, რომლებიც ეფექტურ ზეგავლენას ახდენენ ადრესატზე;

6) ნებისმიერი პროფესიონალის მომზადება ორიენტირებულია პროფესიული კომპეტენციის გამომუშავებაზე, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კომუნიკაციური კომპეტენცია (ანუ ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა სხვისი სამეტყველო ქცევის გასაგებად და თავისი სამეტყველო პროგრამის ადეკვატურად განხორციელებისთვის);

7) კომუნიკაცია პროფესიულ სფეროში წარმოადგენს რთულ სახეობას, რომელშიც თავს იჩენს ინტერპერსონალური, ჯგუფური, საჯარო, მასობრივი კომუნიკაციის თვისებები, ამიტომ ის მოითხოვს კომპლექსურ შესწავლას და აუცილებელია მისი თვისებების გამოკვლევა კულტურათაშორისი კომუნიკაციის პირობებში.

II თავი.

მეზღვართა პროფესიული კომუნიკაციის ტიპების კლასიფიკაცია და საზღვაო დისკურსის დახასიათება ინგლისურ, რუსულსა და ქართულ ენებში

2.1. პროფესიული ურთიერთობა, მისი ნიშან-თვისებები

და ძირითადი ფუნქციები

ვინაიდან ადამიანი სოციალური არსებაა, მას მუდმივად აქვს სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. ურთიერთობის და ურთიერთქმედების აუცილებლობა შემთხვევით არ წარმოშობილა. ადამიანი აწყდებოდა ისეთ პრობლემებს, რომლებიც აიძულებდა მას გაერთიანებულიყო სხვა ადამიანებთან, რათა ერთობლივი ძალებით გადაელახა ერთი პიროვნებისთვის დაუძლეველი სიმძნელები. ადამიანის თვითგანვითარების ხანგრძლივობის მიუხედავად, ეს პროცესი შესამჩნევი ხდება მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დროს.

ურთიერთობის პრობლემებს სხვადასხვა მეცნიერება შეისწავლის: ფილოსოფია, პედაგოგია, სოციოლოგია, ინფორმატიკა და სხვა. ამასთანავე ყოველი მათგანი გვაწვდის „ურთიერთობის“ საკუთარ გაგებას და გამოყოფს მასში მისთვის საინტერესო პარამეტრებს.

სოციოლოგები (ხ. ვაინრიხი, ლ. პ. კრისინი, ნ. ლადარია და სხვ.), ჩვეულებრივ, სწავლობენ სოციოკომუნიკაციის (ლათინურიდან communicatio – ვაკავშირებ, ვხდის საერთოს) თავისებურებებს, ე.ი. შეისწავლიან ინფორმაციული საშუალებების, ინფორმაციის გადაცემის და აღქმის პროცესების სოციოკულტურულ თავისებურებებს მასობრივი კომუნიკაციის პირობებში.

ფსიქოლოგები ურთიერთობის ფენომენს განიხილავენ ორ ძირითად ასპექტში (ლეონტიევი ა., ლურია ა., ვიგოტსკი ლ., ზიმნაია ი., იმედაძე ნ. და სხვ.) როგორც ერთობლივი საქმიანობის განხორციელების და ადამიანის სხვა ადამიანში სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას. აღსანიშნავია, რომ პროფესიული ურთიერთობის კონსტრუირება დაფუძნებულია კომუნიკაციურ კომპეტენტურობაზე. პროფესიულ საქმიანობაში მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, საქმიანი

ურთიერთობების და ურთიერთქმედებების სხვადასხვა ფორმისა და სახეობის კანონზომიერება, მეორე მხრივ კი ადამიანების და მათი ჯგუფების ფსიქოლოგიაში გარკვევა, საქმიანი ურთიერთობის დამყარების დროს ეფექტური სტრატეგიის, ტაქტიკის, ფსიქოტექნოლოგიების, ტექნიკის და მეთოდების გამოყენების უნარი.

ლინგვისტიკის აზრით, ურთიერთობა, მათ შორის პროფესიულიც, მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტყველებასა და სამეტყველო ქცევებთან (ტ.ა. ვან დეიკი, რ., ფრუმკინა, ვ. დემიანკოვი, ო., ისერსი, ბ. ნორმანი, ე.ზარეცკაია, ვ. კარასიკი და სხვ.).

როგორც ე. ნ.ზარეცკაია აღნიშნავს, ურთიერთობა არის:

1) ადამიანებს შორის კონტაქტების დამყარების და განვითარების რთული, მრავალგანზომილებიანი პროცესი, რომელიც განპირობებულია ერთობლივი საქმიანობის მოთხოვნილებით და შედგება ინფორმაციის გაცვლის, ურთიერთქმედების ერთობლივი სტრატეგიის შემუშავების, სხვა ადამიანის აღქმისა და გაგების პროცესებისგან;

2) ის ხორციელდება სუბიექტების ურთიერთქმედების საშუალებებით, რომლებიც გამოწვეულია ერთობლივი საქმიანობის მოთხოვნილებით და მიმართულია ნიშანდობლივ ცვლილებებზე პარტნიორის მდგომარეობის, ქცევისა და პირადულ-აზრობრივი თავისებურებების მიხედვით (Зарецкая, 1998:46).

პროფესიული საქმიანობა წარმოადგენს ადამიანებს შორის ურთიერთქმედების ისეთ სახეობას, რომელიც ხორციელდება გარკვეული სახეობის საქმიანობის საფუძველზე და მიმართულია კონკრეტული შედეგის მიღწევისკენ. მისი მიზანი კონკრეტული სუბიექტების შრომითი მოთხოვნებითა და ორგანიზაციის სახეობითაა განპირობებული და ეფუძნება თანამშრომლობის, ერთობლივი ურთიერთობის ეფექტური სტრატეგიის გამომუშავებას, რასაც მიყვავართ წარმატებულ პროფესიულ საქმიანობამდე.

პროფესიული ურთიერთობა, განსხვავებით ყოველდღიური საყოფაცხოვრებო და ინტერპერსონალური ურთიერთობებისაგან, ხშირად ატარებს იძულებით ხასიათს და უფრო მკაცრად რეგლამენტირებულია ნორმატიული, ორგანიზაციული და კულტურული კუთხით.

პროფესიული ურთიერთობის არსი წარმოადგენს მონაწილეთა შეხედულებების, შეფასებების, მიზნების, ფსიქოლოგიური მდგომარეობის, საქციელის ცვლილებას შემეცნებითი და შეფასებითი ინფორმაციის გაცვლის მეშვეობით, კონკრეტული ეფექტის მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე.

ე. ზარეცკაიას აზრით, „პროფესიულ ურთიერთობებში ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის ჩნდება ორი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი: ურთიერთქმედება და ურთიერთდამოკიდებულება. ურთიერთქმედება განპირობებულია წარმოების ტექნოლოგიებითა და თანამდებობრივი ვალდებულებებით და ორიენტირებულია შეთანხმებულ ქმედებებზე პროდუქტის ან მომსახურების შექმნის მიზნით“ (Зарецкая, 1998:48).

ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ადამიანების სუბიექტურ ურთიერთსიმპათიებს ან ანტიპათიებს, რომლებიც მათი ურთიერთქმედების შედეგია. შესაბამისად, პროფესიული ურთიერთობების ეფექტურობის შეფასებისას ყოველთვის გასათვალისწინებელია თანამშრომლების ურთიერთდამოკიდებულებაც, რომელიც დაფუძნებულია მათს პირად თავისებურებებსა და ურთიერთობის კულტურაზე.

მაშასადამე, პროფესიულ ურთიერთობას აქვს ქმედითი ბუნება, ის დეტერმინირებულია პროფესიული საქმიანობის სპეციფიკით, მისი სტრუქტურით, მიზნებით და ამოცანებით. პროფესიული ურთიერთობა გავლენას ახდენს საქმიანობის ხარისხზე, ხოლო პროფესიული საქმიანობა ითხოვს მზადყოფნასა და პროფესიულ ურთიერთობას.

ე. ვ. კლიუევი გამოყოფს ურთიერთობის სამ დონეს: რიტუალურს, საქმიანსა და ინტიმურ-პიროვნულს (Клюев 2002: 27).

რიტუალური ან სოციალურ-როლური დონე– ამ დონეზე ურთიერთობის მიზანს წარმოადგენს ადამიანისგან მოსალოდნელი როლის შესრულება, სოციალური გარემოს ნორმების ცოდნის დემონსტრირება. ურთიერთობა ამ დროს, როგორც წესი, ატარებს ანონიმურ ხასიათს, მიუხედავად იმისა, თუ ვის შორისაა ის – უცნობ, ნაცნობ ან ახლობელ ადამიანებს შორის.

საქმიან ან მანიპულაციურ დონეზე ასეთი ურთიერთობის მიზანს წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის ორგანიზება, თანამშრომლობის ეფექტურობის გაზრდის საშუალებების ძებნა. პარტნიორები ფასდებიან არა როგორც უნიკალური, განუმეორებელი პიროვნებები, არამედ რამდენად კარგად შეუძლიათ მათ დასახული ამოცანების შესრულება, ესე იგი ფასდება მათი ფუნქციები. შესაბამისად, ურთიერთობა ფსიქოლოგიურად განყენებულია (დისტანციურია), დომინირებს კონტაქტი „მე– თქვენ“.

ინტიმურ-პიროვნული დონე; ამ ურთიერთობის მიზანს წარმოადგენს თანაგრძნობის, გაგების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მოცემულ დონეზე ურთიერთობისათვის დამახასიათებელია სიახლოვე, ემპათია, ნდობა – დომინირებს კონტაქტი „მე– შენ“.

ურთიერთობის არსი რეალიზდება მის ფუნქციებში. ურთიერთობა სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს: ინფორმაციის მიღება და გადაცემა, ადამიანებს შორის ურთიერთობის დამყარება და რეგულირება, ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების და ემოციების დაკმაყოფილება და სხვა.

ლ. ა. კარპენკოს მიდგომის მიხედვით, რომელსაც საფუძვლად უდევს კრიტერიუმი „ურთიერთობის მიზანი“, შეიძლება გამოვყოთ პროფესიული ურთიერთობის რვა ძირითადი ფუნქცია: 1) კონტაქტური, 2) ინფორმაციული, 3) მასტიმულირებელი, 4) მაკოორდინირებელი, 5) გაგების ფუნქცია, 6) ემოციური, 7) ურთიერთობების ფორმირების ფუნქცია, 8) ზეგავლენის ფუნქცია (Карпенко - იხ. Гриценко 2007:135).

კონტაქტური ფუნქცია საქმიან პარტნიორებს შორის კონტაქტის დამყარებაა, საქმიანი ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის პროცესისადმი ორმხრივი მზადყოფნის უზრუნველყოფაა, ურთიერთკავშირის შენარჩუნებაა ერთმანეთზე მუდმივი ორიენტირების გზით.

ინფორმაციული ფუნქცია მჟღავნდება შეტყობინებების მიმოცვლის პროცესში, ანუ მოთხოვნის საპასუხოდ გარკვეული მონაცემების მიღება-გადაცემისას, ასევე მოსაზრებების, ჩანაფიქრების, გადაწყვეტილებების, წინადადებების (შემოთავაზებების) გაცვლისას და ა.შ.

მასტიმულირებელი ფუნქცია აისახება საქმიან ურთიერთობაში პარტნიორის აქტიურობის სტიმულაციის პროცესში, რომელიც მიმართულია სასურველი ქმედებების შესრულებაზე.

მაკოორდინირებელი ფუნქცია ერთობლივი ქმედებების საორგანიზაციო საკითხების შეთანხმება და ორიენტირებაა.

გაგების ფუნქციის მიზანია შეტყობინების არამარტო ადეკვატური აღქმა და შინაარსის გაგება, არამედ პარტნიორების მიერ ერთმანეთის გაგება (მიზნების, მდგომარეობის, მოსაზრებების და ა.შ.).

ემოციური ფუნქცია პარტნიორში საჭირო ემოციური განცდების გაღვივებაა (ემოციების მიმოცვლა), ასევე საკუთარი განცდებით და მდგომარეობით მისი შეცვლაა.

ურთიერთობების ფორმირების ფუნქცია ვლინდება ცნობიერებაში. ის საზოგადოებაში საკუთარი ადგილის ფიქსირებაა როლური, სტატუსური, საქმიანი, ინტერპერსონალური და სხვა კავშირების ფორმირებისას.

ზეგავლენის ფუნქცია აისახება პარტნიორის პიროვნულ-აზრობრივი მდგომარეობის, საქციელის, მიზნების, აზრთა ხედვის, გადაწყვეტილებების, წარმოდგენების, მოთხოვნილებების, ქმედებების, აქტიურობის და ა.შ. ცვლილებებში. გასათვალისწინებელია, რომ ჩამოთვლილი ფუნქციები უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც პროცესები, რომლებიც შეადგენს ურთიერთობის ნაკადს, არამედ სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეზე ზემოქმედების კონკრეტული კერძო მიზნები. თუკი რომელიმე ფუნქცია ამა თუ იმ მიზეზით არ რეალიზდება, ურთიერთობის პროცესში ჩნდება დაბრკოლებები, შეცდომები.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს პროფესიული ურთიერთობის ერთი განმარტება. ა. ა. დერკაჩის აზრით, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, გამოიყენება ცნება „საქმიანი ურთიერთობა“, რომელიც მიმართულია მოლაპარაკებების, თათბირების და ოფიციალური მიმოწერის, საჯარო გამოსვლების მაღალი ეფექტურობის უზრუნველყოფისკენ. კონკრეტულ პროფესიულ სფეროში საქმიან ურთიერთობას აქვს საკუთარი სპეციფიკა და ეწოდება პროფესიული, ზოგჯერ სამსახურებრივი, თანამდებობრივი, საწესდებო. საქმიანი ურთიერთობა

ურთიერთობის ისეთი სახეა, რომელიც არის ნორმატიულად დამტკიცებული, მკაცრად რეგლამენტირებული და ფუნქციონირებს რომელიმე სფეროში გარკვეული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით (Социальная психология 2001:98).

საქმიანი ურთიერთობა მოცემულ შემთხვევაში უფრო ფართო მცნებაა სამსახურებრივთან შედარებით. მას შეუძლია გამოვლინდეს როგორც სამსახურებრივ (ოფიციალურ), ისე არასამსახურებრივ (არაოფიციალურ) სიტუაციებში. რაც შეეხება პროფესიულ ურთიერთობას, ის გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, მისი ფლობის კვალიფიკაციის დონეს.

შესაბამისი თემატიკის ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს, შევაჯამოთ პროფესიული ურთიერთობის მახასიათებლები:

- მკაცრად მიზანმიმართულია;
- რეგლამენტირებულია ნორმატიული დოკუმენტებით (დებულებები, ბრძანებები, წესდებები);
- ატარებს პროფესიულ-როლურ ხასიათს, რაც განპირობებულია ცერემონიების, პროცედურების ეტიკეტის შესრულების აუცილებლობით, რაც გამოვლინდება „თამაშის“ გარკვეულ წესებში, ოფიციალურ ტანსაცმელში, პროფესიულ ლექსიკაში, კასტურობაში, ურთიერთობაში გარკვეული წრის ფარგლებსა და სხვა ელემენტებში;
- პოზიციურად გაფორმებულია, იერარქიული, სუბორდინალურია, რაც აისახება უფროსობასა და ქვეშევრდომებს შორის ურთიერთობებში;
- ვლინდება ურთიერთობის გარკვეულ ფორმებში, სტილში;
- ატრიბუციულია (მიმდინარეობს სპეციალურ ოთახებში, სივრცობრივად გაფორმებულია, გულისხმობს შესაბამისი გარემოს, ავეჯის, საორგანიზაციო ტექნიკის, განათების არსებობას), რაც ქმნის ოპტიმალურ გარემოს.

პროფესიულ, როგორც ნებისმიერი სხვა სახის ურთიერთობას, საფუძვლად უდევს შეტყობინების გადაცემა და მიღება, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის აქტის თავისებურებას და კომუნიკაციური სიტუაციის გათვალისწინებას.

სამსახურებრივი ურთიერთობა ურთიერთქმედების პროცესია, რომელიც მიმართულია კონტაქტების განვითარებისა თუ შენარჩუნებისკენ და სანდო ურთიერთობების განვითარების, სამსახურებრივი ამოცანების გადაწყვეტისკენ.

სამსახურებრივი ურთიერთობის მსვლელობისას ხშირად საჭირო ხდება უნდობლობის, ნეგატიური დამოკიდებულების და პარტნიორის მხრიდან უკუქმედების გადალახვა. ამ ფაქტის მიმართ, როგორც აღნიშნავს ვ. კარასიკი, გასათვალისწინებელია შემდეგი მომენტები:

- ა) საუბრის მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, ფაქტორები და ფაზები;
- ბ) მოსაუბრესთან კონტაქტის დამყარების ხერხები;
- გ) კონკრეტულ ადამიანებთან სანდო ურთიერთობების შექმნისა და შენარჩუნების პირობები;
- დ) განსხვავებული სუბიექტური პოზიციების და ტაქტიკის როლური ურთიერთქმედების გამოვლინება სამსახურებრივი ამოცანების გადაწყვეტის დროს (Карасик 2002:49).

სამსახურებრივი ურთიერთობის დროს წარმოებული საუბრები, განსხვავებით ყოველდღიური საუბრებისგან, უპირველეს ყოვლისა, მიზანმიმართულობით ხასიათდება. პროფესიული კულტურა გულისხმობს ამგვარი საქმიანობის სპეციალური უნარ-ჩვევების ფლობას, ქცევის კულტურას, ემოციურ კულტურას, მეტყველების ზოგად კულტურას და პროფესიული ურთიერთობის კულტურას.

სპეციალური უნარები გამომუშავდება პროფესიული მომზადების პროცესში. ქცევის კულტურა ფორმირდება პიროვნების მიერ საზოგადოების ეთიკური ნორმების შესაბამისად. ემოციური კულტურა გულისხმობს საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობის კონტროლის უნარს, მოსაუბრის ემოციური მდგომარეობის გაგებას, საკუთარი ემოციების მართვას, აღელვების დაოკებას, სიმორცხვის გადალახვას, ემოციური კონტაქტის დამყარებას.

მეტყველების ზოგადი კულტურა გულისხმობს სამეტყველო ქცევის ნორმებს და მოთხოვნებს ურთიერთობის ნებისმიერ სიტუაციაში. პროფესიული ურთიერთობის კულტურა მეტყველების ზოგად კულტურასთან შედარებით ხასიათდება დამატებითი მოთხოვნებით.

პროფესიული ურთიერთობის კულტურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეტყველების სოციალურ-ფსიქოლოგიური მაჩვენებლების როლი, ისეთების, როგორებიცაა: მეტყველების შესაბამისობა მოსაუბრის ემოციურ მდგომარეობასთან, მეტყველების საქმიანი ხასიათი, მეტყველების შესაბამისობა სოციალურ როლებთან.

მეტყველება, ო. ი. გოიხმანის და ტ. მ. ნადეინას აზრით, წარმოადგენს პროფესიული უნარების შექმნის, განხორციელების, განვითარებისა და გადაცემის საშუალებას. პროფესიული მეტყველების კულტურა გულისხმობს

- მოცემული სპეციალობის ტერმინოლოგიის ფლობას;
- პროფესიულ თემაზე მოხსენების აგებისა და გაგების უნარს;
- პროფესიული დიალოგის ორგანიზების და მართვის უნარს;
- პროფესიული საქმიანობის საკითხებზე არასპეციალისტებთან ურთიერთობის უნარს (Гойхман, Надеина 2007:191).

ტერმინოლოგიის ცოდნა, ადრე ცნობილ და ახალ ტერმინებს შორის კავშირის დამყარების, საწარმოო სიტუაციების პრაქტიკული ანალიზის დროს სამეცნიერო ცნებების და ტერმინების გამოყენების უნარები, პროფესიული მეტყველების სტილის თავისებურების ცოდნა წარმოადგენს პროფესიული ურთიერთობის ლინგვისტურ კომპეტენციას.

ემოციების კონტროლის უნარი, დიალოგის მართვა პროფესიული საქმიანობის მოთხოვნების შესაბამისად, ეთიკურ ნორმებსა და ეტიკეტის მოთხოვნებთან შესაბამისობა წარმოადგენს ქცევით კომპეტენციას. კომუნიკაციური ქცევა გულისხმობს მეტყველების და მისი შესაბამისი სამეტყველო ქცევის ისეთ ორგანიზაციას, რომელიც გავლენას მოახდენს კოლეგებსა და კლიენტებთან ურთიერთობისას შესაბამისი ემოციურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნასა და შენარჩუნებაზე, საწარმოო პროცესის მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათზე, მათი მუშაობის სტილზე.

ნებისმიერ სფეროში პროფესიული ურთიერთობა გულისხმობს არა მხოლოდ ტერმინების ზუსტ გამოყენებას და მათი მნიშვნელობების ცოდნას, არამედ მეტყველების კულტურის ზოგადი ნორმების დაცვას. სპეციალისტებთან მეტყველების გადამისამართება არ გვიხსნის ვალდებულებას, ვაკონტროლოთ მისი

შესაბამისობა სალიტერატურო ენის ნორმებთან. ეს მოთხოვნა გულისხმობს შემდეგი თვისებების ცოდნას:

- სალიტერატურო ენის ნორმების ცოდნა და მეტყველებაში მათი გამოყენების უნარი;
- მეტყველების სიზუსტის, ლოგიკურობის და გამოთქმის უნარის კონტროლი;
- პროფესიული ტერმინოლოგიის ფლობა, ტერმინებსა და ცნებებს შორის შესაბამისობის ცოდნა;
- პროფესიული მეტყველების სტილის ფლობა;
- მოსაუბრის სოციალური და ინდივიდუალური პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინების უნარი;
- ეტიკეტის ცოდნა და მისი წესების მკაცრი შესრულება;
- დიალოგის განვითარების, მოსაუბრის რეაქციის პროგნოზირების უნარი;
- ურთიერთობისას კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნის და შენარჩუნების უნარი;
- ემოციური მდგომარეობის და ემოციების გამოხატვის კონტროლის მაღალი დონე;
- პროფესიული საქმიანობის მიზნების შესაბამისად დიალოგის მართვის უნარი.

მიუხედავად ამ მოთხოვნებისა, ჩვენი აზრით, პროფესიული მეტყველება ხშირად არღვევს სალიტერატურო ენის ნორმებს თითქმის ყველა პროფესიულ სფეროში, ინტენსიურად იყენებს პროფესიულ ჟარგონს / სლენგს. კერძოდ, ეს ტენდენცია ძლიერია საზღვაო პროფესიულ კომუნიკაციაში.

სამწუხაროდ, ქართულ ლინგვისტურ ტრადიციაში მწირია მასალა პროფესიული მეტყველების თავისებურებათა შესახებ. ნოდარ ლადარია ენობრივი სოციალექტის განხილვის დროს მსჯელობს იმაზე, რომ საზოგადოებაში ფუნქციონირებს ბევრი სოციალური დიალექტი და გვთავაზობს მათ შემდეგნაირ განმარტებას: „სოციალური ვარიანტები და სოციალური დიალექტები ენის ისეთი ქვესისტემებია, რომლებსაც იყენებენ ადამიანები თავიანთი სოციალური

მდგომარეობის, განათლების, სქესის, ასაკის მიხედვით ერთსა და იმავე სიტუაციაში“ (ლადარია 2002:55).

საზოგადოების სხვადასხვა ფენაში გავრცელებულ მეტყველებას ნ. ლადარია უწოდებს დიალექტურ ვარიაციას და მისი დახასიათებისთვის მოჰყავს ი. მაკდევიდის (უმცროსის) განმარტება:

„ეს (დიალექტური ვარიაცია) არის მოცემულ საზოგადოებაში მიღებული მეტყველების სუბვარიანტი, რომელიც გარკვეულ საზოგადოებრივ ძალთა მოქმედების წყალობით ახასიათებს გარკვეულ ეთნიკურ, რელიგიურ და ეკონომიკურ ჯგუფებს, ან განათლების გარკვეული დონისა და ტიპის მქონე ინდივიდთა ჯგუფებს“ (ლადარია, 2002:56).

ამავდროულად მეცნიერი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თავისთავად სოციოლექტები არ წარმოადგენს კომუნიკაციის მთლიან სისტემებს, ძირითადად ეს მხოლოდ სიტყვები, სიტყვათა შეთანხმებები და სინტაქსური კონსტრუქციებია. ავტორი, სამწუხაროდ, არ აანალიზებს ცალკეული პროფესიისთვის დამახასიათებელ სამეტყველო ნიშან-თვისებებს, მაგრამ სოციოლექტის აღწერის დროს მოჰყავს ახალგაზრდული ჟარგონის მაგალითი და უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ზემოთ აღნიშნული სამეტყველო თავისებურებები კომუნიკაციაში ზოგადი ენობრივი მოდელების თანახმად ჩაისმება.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე პერიოდისთვის დამახასიათებელია ერთიანი ეკონომიკური სივრცე, რამაც გამოიწვია მეცნიერული კვლევების გააქტიურება პროფესიულ კულტურათმორის კომუნიკაციაში. ზემოთ განხილულ კვლევებში გაანალიზებულია კულტურათმორისი კომუნიკაცია და ცალკე პროფესიული მეტყველების მახასიათებლები. პროფესიული კულტურათმორისი კომუნიკაციის კვლევები კი საკმაოდ იშვიათია.

კულტურათმორისი კომუნიკაციის პროფესიულ სფეროში შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი არის ამერიკელი მეცნიერი ე. ჰოლი, რომელიც იკვლევდა დიპლომატების მეტყველების თავისებურებებს, კერძოდ, მათი ადაპტირების შესაძლებლობებს იმ ქვეყნის კულტურასთან, სადაც ისინი მსახურობდნენ (Edward T. Hall 1976).

მოგვიანებით კულტურათმორისი კომუნიკაციის კვლევები პროფესიულ სფეროში უფრო მრავალფეროვანი გახდა, მეცნიერებს აინტერესებდათ მიმღები და გამგზავნი კულტურების შედარება, აკულტურაციის თავისებურებანი, კულტურული შოკის დაძლევის შესაძლებლობები, ემიგრანტების ადაფტაციის პრობლემები და სხვა მრავალი. პროფესიული კულტურათმორისი კომუნიკაციის მეთოდოლოგიური და დიდაქტიკური საფუძვლები წარმოდგენილია ნიკოლაი ბარიშნიკოვის მონოგრაფიაში (Барышников, 2013).

როგორც ვხედავთ, პროფესიული მეტყველების შესწავლით დაინტერესებული არიან სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენლები (ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ლინგვისტები), რაც უდავოდ მეტყველებს ამ პრობლემის ინტერდისციპლინურ ხასიათზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მეტ-ნაკლებად არის გაშუქებული მხოლოდ რამდენიმე პროფესიული დისკურსის თავისებურებანი: პოლიტიკოსების და დიპლომატების მეტყველება, იურისტების, სამედიცინო პროფესიული დისკურსი, მსახიობებისა და მასწავლებლების მეტყველების ჩამოყალიბება და სხვ., სამწუხაროდ, უფრო მეტია თეორიული ხასიათის მონოგრაფია, რომლებშიც გაშუქებულია გენდერული ან ასაკობრივი ჯგუფების მეტყველება და მწირია მასალა საზღვაო პროფესიული მეტყველების თავისებურების შესახებ.

2.2. მეზღვაურთა კომუნიკაციის კომპლექსური კლასიფიკაცია

საქართველო ისტორიულად საზღვაო ქვეყანაა, ის ზღვით უკავშირდებოდა საბერძნეთს, სპარსეთს, რომის იმპერიას. ისტორიული მონაცემები ცხადყოფს საქართველოსა და ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მჭიდრო ეკონომიკურსა და კულტურულ კავშირებს, რომლებიც მხოლოდ საზღვაო გზებით და ინტენსიური ნაოსნობით იყო შესაძლებელი. საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მისი აქტიურად ჩართვა საზღვაო საქმიანობის განვითარებაში, რაც აისახა ქართულ ენაში.

საყოველთაოდ ცნობილი მითი არგონავტების შესახებ მოგვითხრობს იმაზე, რომ ძველად საქართველოში საზღვაო ნაოსნობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული და ქართული ენის მატარებლები კულტურათაშორის კომუნიკაციაში აქტიურად იყვნენ ჩართული, ამიტომ უძველესი დროიდან ქართული ენის ლექსიკურ მარაგში შედიოდა ზღვასა და ნაოსნობასთან დაკავშირებული როგორც ნასესხები, ასევე ორიგინალური სიტყვები, ტერმინები და კლიშირებული ფრაზები, რისი დასტურიცაა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ მასალები. ასე, მაგალითად, ლექსემა *ნავის* სალექსიკონო სტატიაში მოყვანილია უამრავი ტერმინი, რომელთაგანაც თანამედროვე ქართულ ენაში ძალიან ცოტაა შემორჩენილი:

„*ნავი* (14.24) – ესე ზოგადი სახელი არს ყოვეთა ნავთა, ხოლო მცირესა ნავსა ეწოდების *ნუშა* და მისსა უდიდესსა *ვარცლი*, *კოპანო*, *კარაპა*, *კარჭაპა*, *ჭუმალდი*, *კარაფითა*, *ონჩხომელი*, *ოლეჭკანდერი* და *კატარლა* ერთი მეორის უდიდესნი არიან. ხოლო *ხომალდი* და *სტოლი* – საომარნი ნავნი. მათთა ადგილთა გარჩევით ჰპოვოთ“ (ორბელიანი 1949:452).

საქართველოს ეროვნული პარლამენტის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში იმავე სალექსიკონო სტატიის უფრო ფართო ვარიანტს ვნახულობთ:

ნავი – ნავი ზოგადი სახელი არს ყოველთა ნავთა, ხოლო ნავთა სახელნიცა განიყოფიან: ვითარცა ნავნი უმცირესა ეწოდება *ნუშა* და მისა უდიდესა *ვარცლი*, *კოპანო*, *კარაპა*, *კარჭაპა*, *ჭუმალდი*, *კარაპითა*, *ონჩხომელი*, *ოლეჭკანდერი*, *კატარლა*. უდიდეს – უდიდესი ნავნი არიან: *ხომალდი*, *დრომონი*, უდიდეს ყოველთა, და *სტოლი* – საომარი. მათთა ადგილთა ჰპოო B. ნავიცა მრავალრიგი არს: *ნუშა*, *კოპანო*, *კარაპა*, *კარაპითა*, *სანდალი*, *ონჩხომელი* (ონჩხომელი CqD), *ოლეჭკანდერი*, რომელ არს მომცრო *კატარლა*, და *ზარბუნა*. ესე ნავნი *ნუშა* მცირეა, ერთი ოდენ კაცი შთაიტევა (შთაიტევის CqD), ხოლო სხვათში რომელშიმე ათი და სხვაში ოცი და ორმ (ე)ოცი და ასი და მეტიცა, ხოლო *დრომონი* არს, რომელსა შინა (რომელში D) შთაიტევის ხუთასი კაცი საგზლიან(ად) და ტვირთიან(ად), არამედ *ხომალდი* უდიდეს ყო(ვ)ელთა ნავთა არს (+ხოლო ვიეთნი *ჭუმალდს* მომცროსა(ც) უჭმობენ C) CD. ნავიცა მრავალრიგი არს: *ნუში*, *კოპანო*, *კარაპა*, *კარაპითა*, *სანდალი*, *ონჩხომელი*, *ოლეჭკანდერი*, რომელ

არს მომცრო *კატარღა*, და *კატარღა* –*ზარბუნა*. ესე ნავნი *ნუში* მცირე არს, ერთი ოდენ კაცი შთაიტევის, ხოლო სხვაში რომელშიმე ათი და ოცი და რომელშიმე ორმოცი და ასი და მეტი, ხოლო *დრომონი* არს, რომელში შთაიტევის ხუთასი კაცი ნუზლიან და ტვირთიან, ხოლო *ხომალდი* უდიდეს ყოველთა ნავთა არს E.

Seealso:

მენავე, ონჩხომელი [ორჩხომელი [ოჩხომელი, პურკატა, სტოლი, სანავე, სანავო, ნუშა, ვარცლი, კარაპა, კატარღა, კარაპითა, კარჭაპა, კოპანო, სანდალი [კარაფითა, ჯელნავი, აფეიო, ზარბუნა, ხომალდი, ჯუმალდი“

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=31432>).

ზემოთ მოყვანილი მასალა შევადაროთ მსგავს სალექსიკონო სტატიას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მონაცემების მიხედვით და დავრწმუნდებით, რომ საზღვაო ტერმინოლოგია ძალიან შეიცვალა:

„*ნავი*-ი (*ნავისა*) 1) წყალში საცურავი მოგრძო და ღრმა ხის ჭურჭელი. მეთევზის ნავი... ტყე აძლევდა მასალას ... ნავებისა და ხომალდების კეთებისათვის (ი.გოგებაშვილი). შუაგულ ზღვაში ცურავდა ნავი (აკაკი). დაიწყო იალქნიანი და ნიჩბიანი ნავების პარადი („კომკავშ.“); 2) ძვ. *გემი*, *ჰომალდი*. ბარად რომ მომცე ... სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია ... არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია (რ.ერისთავი). * წყალქვეშა ნავი; 3) იგივეა, რაც საწნახელი; 4) მოგრძო ხის ჭურჭელი, საქონლისთვის წყლის სასმელად; 5) ბოტან. მსგავსად შეზრდილი ორი ფურცელი პარკოსანთა ოჯახის მცენარეთა ყვავილისა; 6) არქიტ. ეკლესიის შენობის ცენტრალური ნაწილი; 7) კუთხ. (ლექხ.) ზევით წამოწეული წინა ნაწილი კვერისა, კვერის თავი (<http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

ზემოთ აღნიშნული ცვლილებები, ჩვენი აზრით, ორი ობიექტური მიზეზით იყო განპირობებული:

- 1) პირველ რიგში, ისინი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით იყო გამოწვეული, იცვლებოდა ნაოსნობის შესაძლებლობები, გემების აღჭურვილობა და ამის შედეგად იცვლებოდა საზღვაო ლექსიკონი თუ ფრაზარიუმი;

2) მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა განაპირობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერობა საზღვაო ასპარეზზე (ჰოლანდია, ესპანეთი, ინგლისი), ჩვენი ქვეყნისთვის და შესამაბისად, ქართული საზღვაო ლექსიკონისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ინგლისურმა და საბჭოურ პერიოდში კი – რუსულმა ენამ.

ქართულმა საზღვაო ტერმინოლოგიამ განვითარების ძალიან რთული გზა გაიარა, ამაზე საუბარი ქვემოთ გვექნება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ნაკლებად არის შესწავლილი მეზღვაურთა პროფესიული კომუნიკაციის თავისებურება და საქმიანი დიალოგების დაგეგმარება, მათი სამეტყველო ტაქტიკა და სტრატეგია. ბათუმი საზღვაო ქალაქია და, ამავდროულად, საზღვაო კადრების მომზადების დიდი გამოცდილება აქვს, ამიტომაც მეოცე საუკუნის ლინგვისტიკის გამოწვევების საპასუხოდ საზღვაო კომუნიკაციას საკმაოდ ინტენსიურად შეისწავლიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის უმაღლესი საზღვაო აკადემიის დოქტორანტები და პროფესორ-მასწავლებლები (2018 წელი – ნინო ფუტყარაძე „ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები (ინგლისურ მასალაზე დაყრდნობით)“; 2012 წელი – მედეა აბაშიძე „ინტერპერსონალური კომუნიკაციის ლინგვოპრაგმატიკა საზღვაო-საურთიერთო პრაქტიკაში“; 2010 წელი – სვეტლანა როდინაძე, „ინგლისურენოვანი მარინისტული ტექსტები და მათი თარგმანის როლი ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ფორმირების პროცესში“; 1995 წელი – მარინე აროშიძე, „საზღვაო კომუნიკაციის ფრაზარიუმის სტრუქტურა და მისი ტექსტლინგვისტური სტატუსი“ და სხვ.). საზღვაო თემატიკა ბათუმის საზღვაო აკადემიის ბევრი მკვლევრის (ზურაბ ბეჟანოვი, ლეილა ხარდინა, თამილა მიქელაძე, ქრისტინა ზარბაზოია და სხვ.) კვლევის ობიექტი გახდა.

მიუხედავად ამისა, საზღვაო კომუნიკაცია მოითხოვს დეტალურ და სისტემატურ კვლევას სხვადასხვა მიმართულებით. პირველ რიგში ეს ეხება მეტყველების დაგეგმარებას, სამეტყველო ტაქტიკისა და სტრატეგიების შესწავლას სხვადასხვა ენის მასალაზე. ვინაიდან საერთაშორისო საზღვაო ენის სტატუსი

ინგლისურმა ენამ მოიპოვა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პარადიგმამ განაპირობა ქართული ნაოსნობის განვითარება რუსული მმართველობის პერიოდში, ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საზღვაო კომუნიკაციის დახასიათება ინგლისური, რუსული და ქართული ენების მასალაზე.

დასახულმა ამოცანამ მოითხოვა მეზღვაურთა კომუნიკაციის სპეციფიკის კომპლექსური დახასიათება. აღმოჩნდა, რომ ის წარმოადგენს კულტურათაშორისი პროფესიული კომუნიკაციის ისეთ მრავალფეროვან სახეობას, რომ ჩვენ გამოვიყენეთ კლასიფიკაციის რამდენიმე საფუძველი და საჭიროდ ჩავთვაღეთ ანალიზის შემდეგი მიმართულების გამოყოფა:

- I საზღვაო კომუნიკაცია სემიოტიკური თვალსაზრისით;
- II კომუნიკაციის დახასიათება ფუნქციონირების მასშტაბის მიხედვით;
- III კომუნიკანტების სტატუსით განპირობებული ურთიერთობის ტიპები;
- IV კულტურათაშორისი ან ინტერკულტურული კომუნიკაციის თავისებურებები.

გავაანალიზოთ საზღვაო კომუნიკაციის თავისებურება ყველა ზემოხსენებული მიმართულების მიხედვით.

I. საზღვაო კომუნიკაცია სემიოტიკური თვალსაზრისით

საზღვაო კომუნიკაცია პროფესიული კომუნიკაციის ერთ-ერთ რთულ სემიოტიკურ სივრცეს წარმოადგენს, ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც მეზღვაურების ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ზეგავლენით ყალიბდებოდა. თანამედროვე პროფესიული კომუნიკაციის სიმბოლური უნივერსუმი, რომელიც გავრცელებულია საქართველოში, მრავალ ფენას წარმოადგენს და მასში შეხამებულია ვერბალური და არავერბალური ნიშნები, ნაკლებად მარკირებული და კულტურული თვალსაზრისით მარკირებული ერთეულები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზღვაო საქმიანობის აღმნიშვნელი არავერბალური სიმბოლოებია შემდეგი ნივთები / გამოსახულებები / ნახატები: *ღუზა, გემი, შტურვალი, იალქანი, ტალღა, ზღვა, თოლია, შუქურა* და სხვ.

მათ არ აქვს ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა და ისინი გამოიყენება პრაქტიკულად ყველგან. ქვემოთ მოცემულია საქართველოს, უკრაინის, რუსეთის საზღვაო უმაღლესი სასწავლებლების ემბლემები, რომლებზეც გამოყენებულია ყველა ზემოთ აღნიშნული სიმბოლო: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის, ოდესის ეროვნული საზღვაო აკადემიის და სხვ.



საზღვაო კომუნიკაციის სიმბოლური უნივერსუმი წარმოადგენს საერთაშორისო პროფესიული კომუნიკაციის სპეციფიკურ სივრცეს, რომელიც მოითხოვს ყველასთვის გასაგებ ენობრივსა და პროფესიულ კოდს. მეზღვაურთა ურთიერთობაში უკვე დიდი ხანია ინგლისური ენა გაბატონდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში თანამედროვე გემები აღჭურვილია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის საუკეთესო მიღწევებით, ჯერ კიდევ გამოიყენება სპეციფიკური საზღვაო ნიშნების კრებული.

საზღვაო კომუნიკაციაში საკმაოდ დიდი ხანია გამოიყენება ინფორმაციის გადაცემა ფერადი დროშებით. სხვადასხვა ქვეყანაში ეს დროშები განსხვავებული იყო, ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა მათი უნიფიცირება. 1653 წელს დიდ ბრიტანეთში გამოიცა საზღვაო სიგნალების პირველი კრებული. კოდირებულ სისტემაში მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მარტო დროშას, არამედ მისი

გამოფენის ადგილს, იალქნების კომბინაციას და სხვ. 1780 წელს მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით იყო დატოვებული მხოლოდ ათი სასიგნალო დროშა და მათი კომბინაციები (*Howe signal book*). 1800 წელს კაპიტანმა პოხემმა (Popham) შეადგინა „საზღვაო ლექსიკონი“, რომელშიც ორი ათასი სიმბოლო იყო ახსნილი, რომელთაც იყენებდნენ სამხედრო პირები.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ფ. მარიატმამ შეადგინა მსგავსი სიგნალების კოდექსი სავაჭრო ფლოტისთვის, მაგრამ ეს სისტემა მხოლოდ ბრიტანეთში გამოიყენებოდა. 1857 წელს ანალოგიური სისტემა შემუშავდა საერთაშორისო ფუნქციონირებისთვის და თვრამეტი სასიგნალო დროშისგან შედგებოდა. ის აქტიურად გამოიყენებოდა ინგლისში, ამერიკაში, კანადასა და საფრანგეთში, ხოლო 1887 წელს სავაჭრო ფლოტის სიგნალთა კრებულის საფუძველზე შემუშავდა „სიგნალთა საერთაშორისო კოდექსი“ (*The International Code of Signals; INTERCO*), რომელიც მიღებული იყო ყველა საზღვაო ქვეყნის მიერ. ის ძალაში შევიდა 1901 წელს, და მოგვიანებით (1931 წელს) განიცადა მოდიფიცირება. ბოლო რევიზია შედგა 1969 წელს, თითოეული დროშა კონკრეტულ ასოს აღნიშნავს, ამავდროულად წინადადებასაც, აგრეთვე მოყვანილია მორზეს ანბანის შესატყვისები, მაგალითად:

| | | | | |
|----------------------|---|-----------------------|--|---|
| <p>A • —</p> |  | <p><u>ALFA</u></p> | <p>I have a diver down; keep well clear at slow speed.</p> | <p>У меня спущен водолаз, держитесь в стороне от меня и следуйте малым ходом.</p> |
| <p>B —••</p> |  | <p><u>BRAVO</u></p> | <p>I am taking in, discharging, or carrying dangerous cargo.</p> | <p>Я грузю, или выгружаю, или имею на борту опасный груз.</p> |
| <p>C —•••</p> |  | <p><u>CHARLIE</u></p> | <p>«Yes» or</p> | <p>Положительный</p> |

| | | | | |
|-----------|---|-----------------|--|---|
| | | | «affirmative». | ответ. |
| D —•• |  | <u>D</u> ELTA | I am maneuvering with difficulty; keep clear. | Держитесь в стороне от меня, я управляюсь с трудом. |
| E • |  | <u>E</u> CHO | I am altering my course to starboard. | Поворачиваю вправо |
| F ••—• |  | <u>F</u> OXTROT | I am disabled; communicate with me. | Я не управляюсь, держите связь со мной. |
| G — — — • |  | <u>G</u> OLF | I require a pilot. | Мне нужен лодман. |
| H |  | <u>H</u> OTEL | I have a pilot on board. | У меня есть на борту лодман. |
| I •• |  | <u>I</u> NDIA | I am altering my course to port. | Поворачиваю влево. |
| J • — — — |  | <u>J</u> ULIET | I am on fire and have dangerous cargo; keep well clear of me, or I am leaking dangerous cargo. | У меня пожар и я имею на борту опасный груз, держитесь в стороне от меня. |

| | | | | |
|---|---|-----------------|--|--|
|  |  | <u>KILO</u> | I wish to communicate with you. | Я хочу установить связь с вами. |
|  |  | <u>LIMA</u> | You should stop your vessel immediately. | Остановите немедленно свое судно. |
|  |  | <u>MIKE</u> | My vessel is stopped and making no way through the water. | Мое судно остановлено и не имеет хода относительно воды. |
|  |  | <u>NOVEMBER</u> | No or negative. | Отрицательный ответ. |
|  |  | <u>OSCAR</u> | Man overboard. | Человек за бортом. |
|  |  | <u>PAPA</u> | All personnel return to ship; the vessel is about to proceed to sea. | Всем следует быть на борту, так как судно скоро снимается |
|  |  | <u>QUEBEC</u> | Ship meets health regulations; request clearance into port. | Мое судно незараженное, прошу предоставить мне свободную практику. |

| | | | | |
|--------|---|----------------|-------------------------------------|--|
| R — |  | <u>ROMEO</u> | None. | Принято. |
| S ... |  | <u>SIERRA</u> | Moving astern. | Мои движители работают на задний ход. |
| T — |  | <u>TANGO</u> | Keep clear; engaged in trawling. | Держитесь в стороне от меня, я произвожу парное траление. |
| U ...— |  | <u>UNIFORM</u> | You are running into danger. | Курс ведет к опасности. |
| V ...— |  | <u>VICTOR</u> | I require assistance. | Мне необходима помощь. |

და სხვ.

საზღვაო საქმიანობა, სამწუხაროდ, შეიცავს რისკებს. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მეზღვაურების გადარჩენას, ამიტომ შემუშავდა მთელი რიგი მანიშნებელი სიგნალებისა, რომელთა მეშვეობითაც ეკიპაჟს შეუძლია უბედურების შესახებ აცნობოს პორტს, სხვა გემს და სთხოვოს დახმარება. მიუხედავად თანამედროვე ტექნოლოგიებისა, საზღვაო კომუნიკაციაში დღემდე გამოიყენება მორზეს ანზანი, წერტილებისა და ტირეების კომბინაციებზე აგებული სემიოტიკური კოდი. საინტერესოა, რომ მეზღვაურთა სიცოცხლეს თუ საფრთხე ემუქრება, ისინი აგზავნიან სიგნალს **SOS** (სამი წერტილი, სამი ტირე, სამი წერტილი), ანუ როგორც ერთი გრძელი ხმოვანი სიგნალი, თუმცა გავრცელებულია აზრი, რომ სიგნალი SOS აბრევიატურით არის წარმოდგენილი:

«Save our souls» (спасите наши души) или

«Save our ship» (спасите наш корабль).

საზღვაო პროფესიული კომუნიკაციის სიმბოლური უნივერსუმი მართა არავერბალური ნიშნებით არ არის წარმოდგენილი. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, პროფესიულ ურთიერთობაში ჩვეულებრივი ენობრივი ერთეულები სპეციფიკურ კონოტაციებს იძენს, რაც მეზღვაურების პროფესიულ კოდს აყალიბებს.

II. კომუნიკაციის დახასიათება ფუნქციონირების მასშტაბის მიხედვით

კომუნიკაცია ფუნქციონირების მასშტაბის მიხედვით შეიძლება იყოს მასობრივი (მთლიან საზოგადოებაში), შეზღუდული (სოციალური ჯგუფების ფარგლებში), ლოკალური (მიკროჯგუფებსა და პროფესიულ კოლექტივებში), შიდაჯგუფური (პატარა მოცულობის ჯგუფებში, ოჯახში), ინტერპერსონალური (ინდივიდებს შორის).

ჩვენი აზრით, ფუნქციონირების მასშტაბის მიხედვით საზღვაო კომუნიკაციის დახასიათება განსხვავებული იქნება ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობის დროს. ვინაიდან გემის ეკიპაჟი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფება ღია ზღვაში, საქმიანი ურთიერთობის, მოვალეობების შესრულების დროს ემატება ეკიპაჟის წევრთა არაოფიციალური ურთიერთობა თავისუფალ დროს.

თუ ოფიციალურ სიტუაციებში მეზღვაურთა ურთიერთობა ძირითადად ლოკალურ კომუნიკაციას წარმოადგენს, რომელიც მეზღვაურთა პროფესიულ კოლექტივში მიმდინარეობს, არაოფიციალური ურთიერთობის დროს საკმაოდ ინტენსიურია შიდაჯგუფური და ინტერპერსონალური ურთიერთობის ხვედრითი წილი. საქმე ისაა, რომ ერთი ეკიპაჟის ფარგლებში სხვადასხვა სიახლოვით გაერთიანებული განსხვავებული მიკროჯგუფები გამოიყოფა.

ა) პროფესიული სპეციალიზაციის ან სტატუსის მიხედვით

(მექანიკოსები, გემწამყვანები, მატროსები);

ბ) ეთნიკური ან ეთნიკურ-რეგიონული თვალსაზრისით

(ინგლისელები, რუსები, უკრაინელები, ქართველები, ფილიპინელები და სხვ.);

გ) კონფესიური ნიშან-თვისებებით

(ქრისტიანები, მუსულმანები, ბუდისტები და სხვ.);

გ) ნაკლებია ასაკით განპირობებული მიკროჯგუფები

(ახალგაზრდა გამოუცდელი და ასაკოვანი გამოცდილი მეზღვაურები);

დ) თანდათანობით იზრდება გენდერული ფაქტორით განპირობებული ჯგუფები.

მიკროჯგუფების შემთხვევები (1972 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მოხსნა სამხედრო ფლოტში არსებული უმეტესი შეზღუდვა, რომელიც ვრცელდებოდა ქალებზე. ამჟამად ამერიკაში, საფრანგეთში, ნორვეგიაში, რუსეთში, უკრაინაში და სხვ. ქვეყნებში ქალები არიან საზღვაო ეკიპაჟების სრულყოფილი წევრები, გარდა წყალქვეშა ნავებისა და სანაპირო საპატრულო კატარღებისა). მარკ შტეინბერგის ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით 160 სხვადასხვა ტიპის გემზე უკვე 110 ქალი მსახურობს (Штейнберг <http://www.deepstorm.ru/8-march.htm>).

რა თქმა უნდა, აღნიშნულ მიკროჯგუფებში მიმდინარეობს შიდაჯგუფური და ეკიპაჟის ყველა წევრთა შორის ინტერპერსონალური კომუნიკაცია.

მაშასადამე, იმის გარდა, რომ საზღვაო კომუნიკაცია რთულ მოვლენას წარმოადგენს და შეადგენს სხვადასხვა საფუძველზე აგებულ დაჯგუფებას, კლასიფიკაციის ერთსა და იმავე პრინციპზე აგებული დაწვევრიანება გვაძლევს განსხვავებულ შედეგს ოფიციალურ და არაოფიციალურ ურთიერთობებში, ამასთან ერთად ქმნის ძირითად და პერიფერიულ მოვლენებს.

III. კომუნიკანტების სტატუსით განპირობებული ურთიერთობის ტიპები;

ჩვენ მიერ შემუშავებული საზღვაო კომუნიკაციის კომპლექსური კლასიფიკაციის მესამე საფუძველს კომუნიკანტების სტატუსზე ორიენტირება წარმოადგენს. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ერთმანეთთან დაპირისპირებულია კომუნიკაციის ორი სახეობა: იერარქიული და დემოკრატიული.

ამ თვალსაზრისითაც საზღვაო კომუნიკაცია არ არის ერთფეროვანი: ოფიციალურ- საქმიან ურთიერთობაში ჭარბობს იერარქიული კომუნიკაცია, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან გემის ეკიპაჟი დაკომპლექტებულია სხვადასხვა სტატუსის მქონე წევრებით. საქართველოს კანონში „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ პირველი თავის მეორე მუხლში მოყვანილია მეზღვაურთა ეკიპაჟის შემადგენლობა:

I. კაპიტანი

II/ ოფიცერთა შემადგენლობა:

- 1) კაპიტნის უფროსი თანაშემწე;
- 2) უფროსი მექანიკოსი;
- 3) მეორე მექანიკოსი;
- 4) სავახტო თანაშემწე;
- 5) სავახტო მექანიკოსი;
- 6) ელექტროტექნიკოსი;
- 7) რადიოოპერატორი;
- 8) კაპიტნის (საგემზანე) თანაშემწე;
- 9) მექანიკოსი.

III. ეკიპაჟის რიგითი წევრები:

- 1) მატროსი;
- 2) მოტორისტი;
- 3) რიგითი ელექტროტექნიკოსი;
- 4) სტაჟიორი-მექანიკოსი;
- 5) და სხვ. (საქართველოს კანონი (http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/transporti/mezgvaurta_ganatileba_da_sertificireba.pdf)).

საინტერესოა, რომ რუსულ საზღვაო სპეციალურ ლიტერატურაში მოყვანილია ბევრად უფრო მეტი იერარქიული თანამდებობა, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია გემის ტიპზე, მოცულობასა და სხვა პარამეტრებზე.

Командный состав:

Капитан;

Старший помощник капитана (рулевой);
Второй помощник (грузовой помощник);
Третий помощник (штурман);
Четвертый помощник (отвечает за электронavigационные приборы)
Пятый помощник (обеспечивает противопожарную безопасность судна)
Старший механик
Второй механик (помощник и заместитель старшего механика);
Третий механик (отвечает за работу дополнительных двигателей);
Четвертый механик (отвечает за палубные механизмы и систему вентиляции);
Старший электромеханик;
Боцман (начальник палубной команды);
Судовой доктор;
Рядовой состав:
Пошкипер (шкипер – помощник боцмана по хозяйственной части)
Старший матрос;
Старший рулевой;
Матрос 1-го класса;
Матрос 2-го класса;
Матрос-водолаз;
Старший котельный машинист;
Мотористы;
Помповый моторист;
Электрики;
Старший кок;
Кладовщик;
Кабмузник
Буфетчик;
Матрос;
Обслуживающий персонал;

(Корабельный портал http://korabley.net/news/ehkipazh_sudna/2010-12-14-726)

ამის გარდა, სპეციალიზებულ გემებზე არსებობს განსხვავებული თანამდებობები, მაგალითად: რეფრეჟერატულ გემზე არის თანამდებობა – რეფრეჟერატული დანადგარების მექანიკოსი, თევზსაჭერ ტრაილერებზე არის ტრალმეისტერი, საკრუიზო ლაინერზე არიან კრუიზის დირექტორი, რესტორნის დირექტორი და ა.შ.

რასაკვირველია, რომ ასეთნაირი დაყოფის პირობებში მეზღვაურების საქმიანი კომუნიკაცია იერარქიულ ხასიათს ატარებს:

ა) ადრესანტი (ზემდგომი) – ადრესატი (ქვემდგომი).

ამ შემთხვევაში პრიორიტეტული კავშირი პირდაპირია; კომუნიკაციურ ქმედებათაგან ჭარბობს ბრძანება; რაც შეეხება კომუნიკაციის ტიპს, გ. პოჩეპცოვის კონცეფციაში მოყვანილია მხოლოდ მონოლოგი, მაგრამ საზღვაო კომუნიკაციაში ჭარბობს დიალოგი, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ხშირად ზემდგომი მიმართავს ქვემდგომს ინფორმაციის დასაზუსტებლად და მათ შორის კლასიკური დიალოგი იმართება:

| ზემდგომის კითხვა | ქვემდგომის პირველი სავარაუდო პასუხი | ქვემდგომის მეორე სავარაუდო პასუხი |
|------------------|-------------------------------------|-----------------------------------|
| How is anchor? | Clear anchor! | Foul anchor! |
| Как якорь? | Якорь чист! | Якорь не чист! |
| ღუზა როგორია? | ღუზა სუფთაა! | ღუზა არ არის სუფთა! |

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირდაპირი ბრძანება მოდის ზემდგომისგან, ქვემდგომმა უნდა გაიმეოროს ბრძანება უზუსტობის აცილებისთვის (ეს მოთხოვნა მტკიცედ სრულდება სამხედრო ფლოტში, სავაჭროში კი ეს მოთხოვნა შერბილებულია):

| | | |
|------------------------|-----------------------------------|-------------------------------|
| ზემდგომის ბრძანება | ქვემდგომის პირველი გაშლილი პასუხი | ქვემდგომის მეორე მოკლე პასუხი |
| Steer the course! | Yes sir, steer the course! | Yes sir! |
| Править по курсу! | Есть править по курсу! | Есть! |
| შევინარჩუნოთ მოძრაობა! | არის შევინარჩუნოთ მოძრაობა! | არის! |

ბ) ადრესანტი (ქვემდგომი) – ადრესატი (ზემდგომი);

ესეც იერარქიული კომუნიკაციაა, მაგრამ ვინაიდან ქვემდგომი არის სამეტყველო აქტის ინიციატორი, ამიტომ ჭარბობს კითხვა, თხოვნა და სხვ. ილოკუციური აქტების ნაირსახეობა და არა ბრძანება. ამავდროულად ეს გარემოება იწვევს დიალოგის გამოყენებას.

იერარქიულის გარდა საზღვაო კომუნიკაციაში დემოკრატიული ურთიერთობაც გვხვდება, როდესაც ორივე კომუნიკანტი თანასწორუფლებიანი წევრია, მაგალითად: ადრესანტი (მატროსი) – ადრესანტი (მატროსი), ადრესანტი (მოტორისტი) – ადრესანტი (მოტორისტი) და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში უკუკავშირს აქვს დიდი მნიშვნელობა და ჭარბობს დიალოგი.

IV. კულტურათაშორისი ან ინტერკულტურული კომუნიკაციის თავისებურებები

კულტურათაშორისი ან ეგრეთწოდებული ინტერკულტურული კომუნიკაცია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა უშუალო ურთიერთობას გულისხმობს. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად მრავალფეროვანი შეიძლება იყოს ეკიპაჟის წევრთა კულტურული წარმოშობა. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კულტურული ფასეულობებით, ეროვნული ტრადიციებით, ჩაცმულობით, ქცევით, კვების რაციონით, საცხოვრებელი გარემოთი, შეხედულებებით და სხვ.

ამ სფეროშიც კი საზღვაო კომუნიკაცია თავისებურ მოვლენას წარმოადგენს. ინტერნაციონალური ეკიპაჟების გამო უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც საერთაშორისო საზღვაო კონვენციის მიხედვით მეზღვაურებს აქვთ საერთო ენა, ინგლისური. იმის

გარდა, რომ ინგლისური ენა აუცილებლად შედის ნებისმიერი სპეციალიზაციის საზღვაო კადრების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში, მეზღვაურებს რამდენიმეჯერ უწევთ ინგლისური ენის გამოცდის გადაბარება.

ზემოთ აღნიშნული ვითარება არ უარყოფს საზღვაო კომუნიკაციის ინტერკულტურულ ხასიათს, ოფიციალურ-საქმიანი ურთიერთობა შეიძლება იყოს მონოლინგვური, მაგრამ ის ეყრდნობა კომუნიკანტების განსხვავებულ კულტურულ კოგნიტურ ბაზას, ამიტომ ატარებს ინტერკულტურული კომუნიკაციის ყველა დამახასიათებელ ნიშან-თვისებას. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული ინგლისური ენის სერტიფიკატი იმის დასტურია, რომ მეზღვაურმა ჩააბარა შესაფერისი ენობრივი დონის გამოცდა, მაგრამ სამეტყველო პრაქტიკა მაინც შეიცავს ბევრ „წყალქვეშა“, უხილავ პრობლემას, მათ შორისაა:

- 1) ფონეტიკური ნიუანსებით გამოწვეული უზუსტობები და გაუგებრობები;
- 2) სამეტყველო პრაქტიკის ნაკლებობა;
- 3) ინგლისური ენის ძალიან განსხვავებული „ვარიანტები“;
- 4) კულტურული ფონური ინფორმაციის არცოდნა და სხვ.

ბოლო პუნქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როდესაც გემის ეკიპაჟს უცხო ქვეყნის პორტში შესვლისას ურთიერთობა უწევს ამ პორტის სამსახურის წარმომადგენლებთან (პორტის უფროსთან, საბაჟოს მუშაკებთან, ლოცმანთან). საზღვაო ლიტერატურაში აღწერილია ბევრი შემთხვევა, როდესაც პროფესიული კომუნიკაციის წარუმატებლობა გამოწვეულია ლინგვოეთნიკური ბარიერით.

საერთაშორისო საზოგადოებამ 1973 წელს დააყენა საკითხი ერთიანი (ინგლისური) ენის სტანდარტიზებული და საყოველთაოდ მიღებული ტერმინოლოგიისა და ფრაზარიუმის გამოყენების თაობაზე, რაც გამოწვეულია იმ მწარე გამოცდილებით, რომელიც კაცობრიობას აქვს, კერძოდ კი, ენობრივი გაუგებრობა არაერთხელ გამხდარა საზღვრაო კატასტროფების პირდაპირი მიზეზი. ხსენებულთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს:

ახალ ორლენში 1996 წელს საზღვაო ხომალდმა BRIGHT FIELD-მა ტექნიკური გაუმართაობის გამო დაკარგა მანევრირების საშუალება და შეეჯახა სანაპიროზე განლაგებულ სავაჭრო ცენტრს. თავდაპირველად კომუნიკაცია გემზე ასულ

პორტის კაპიტანსა და ხომალდის კაპიტანს შორის გაუგებრობების გარეშე დამყარდა. მას შემდეგ, რაც ხომალდს ტექნიკური პრობლემები შეექმნა, პორტის კაპიტანისგან ბუნებრივად წამოვიდა კითხვა „გვაქვს თუ არა პრობლემა“, რაზეც გემის კაპიტანმა პასუხი არ გასცა და რამაც საბოლოო ჯამში საქმე კატასტროფამდე მიიყვანა:

"After the main engine tripped, the crew noticed a drastic reduction in engine vibration, as the bow veered to port. At this point, the pilot (responsible for safely guiding the ship through congested waterways) asked the master (the ship's highest ranking authority responsible for the operation and safety of the ship, crew, and cargo), "Do we have a problem?" By now, the Bright Field was on its destructive path. The master didn't reply" (James A.Ruggieri, P.E., *General Machine Corp*, September 01, 2002, <http://www.ecmweb.com/content/case-runaway-ship>).

აღსანიშნავია, რომ საზღვაო ხომალდის კაპიტანი ჩინელი იყო, რომელიც პორტის კაპიტანის თქმით მას საკმაოდ „გატეხილი“ ინგლისურით ელაპარაკებოდა:

"The Pilot suggested that the Chinese master spoke only a 'kind of broken English' and that he had not received any response to his commands to put the engine full astern, away from the riverbank" (ნაშრომი, Tores Evangelos, *Language Barriers and Miscommunication as a Cause of Maritime Accidents*).

ანალოგიური გაუგებრობის შედეგია მრავალი სხვა შემთხვევა, მაგალითად, 1996 წელს, საზღვაო ხომალდ WEALTHY RIVER- ის ჩინელ კაპიტანს გემი ჩარლსტონის (სამხრეთ კაროლინის შტატი) პორტში შეჰყავდა. მან პორტიდან მიღებული ინფორმაციის საპირისპირო მხარეს მოატრიალა ხომალდი და შედეგად დაბალ წყალში შეიყვანა გემი:

"The Chinese captain, who spoke very little English, misinterpreted this as a command to turn to hard to port, and ordered the helmsman to do so. The vessel, which had been in the center of the channel, swung to port and proceeded

towards the north edge of the channel. Before the situation could be corrected the ship had left the dredged channel and grounded almost immediately" (ნაშრომი, Tores Evangelos, *Language Barriers and Miscommunication as a Cause of Maritime Accidents*).

1973 წელს საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტმა (IMO) მიიღო გადაწყვეტილება, რომ ენობრივი ბარიერების დასაძლევად აუცილებელია საერთო ენის შემოღება, ნავიგაციისთვის გამოყენება. გადაწყვეტილების მიხედვით აღნიშნულ ენას ინგლისური წარმოადგენს. შესაბამისად შეიქმნა სტანდარტიზებული საზღვაო სანავიგაციო ლექსიკონი (Standard Marine Navigational Vocabulary - SMNV), რომელიც მიიღეს 1977 წელს. მასში ცვლილებები შევიდა 1985 წელს.

თანამედროვე ზღვაოსნობაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტმა 1992 წელს გადაწყვიტა, შეექმნა უფრო კომპლექსური ლექსიკონი, ვიდრე SMNV-ია და რომელიც მოგვიანებით გახდა ცნობილი სახელწოდებით SMCP (სტანდარტიზებული საზღვაო საკომუნიკაციო ფრაზები). არსებული დოკუმენტის ცოდნა აუცილებელია სერტიფიცირებისთვის, ყველა იმ ოფიცრისთვის, რომლებიც 500-ზე მეტი ტონაჟობის საზღვაო ხომალდებზე მუშაობენ.

საქართველოშიც აღნიშნული საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტების მიხედვით მიღებულია შესაბამისი სტანდარტები: იხ. „საქართველოს საზღვაო კოდექსი“

(http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/transporti/Sazgvao_kodeqsi.pdf);

საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“

(http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/transporti/mezgvaurta_ganatileba_da_sertificireba.pdf). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „საქართველოს საზღვაო კოდექსში“ დამატებულია მთელი რიგი მუხლი და დებულებები 2010 წელს მანოლაში დაზუსტებული „დიპლომირებული მეზღვაურების მომზადებისა და ვახტის გაწევის შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ (ინგ. *International STCW Convention*; რუს. *ИДНВ*) მიხედვით.

არსებობს სტატისტიკური მონაცემები იმის თაობაზე, რომ საზღვაო შემთხვევების 20 % დაკავშირებულია კულტურათმორისი კომუნიკაციის ენობრივ პრობლემებთან. თანამედროვე საზღვაო ეკიპაჟების აბსოლუტური უმრავლესობა მრავალენოვანია. ეკიპაჟის წევრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის არიან და ისინი უშუალოდ შედიან ერთმანეთთან პროფესიულ დიალოგში, სადაც ხშირად თავს იჩენს სამეტყველო პრობლემები. კულტურათმორისი კომუნიკაციის საჭიროება საზღვაო სფეროში ძალიან მაღალია, ვინაიდან სხვადასხვა პორტში შესვლის შემთხვევაში ეკიპაჟის წარმომადგენლებს აქვთ ვერბალური კონტაქტი პორტის მუშაკებთან, საბაჟოს სამსახურთან, ლოცმანთან და სხვ. გემის კაპიტანმა და პორტში აყვანილმა ლოცმანმა უნდა შეძლონ წარმატებული კომუნიკაციის დამყარება უსაფრთხოების მიზნით.

საქმე იმითაც რთულდება, რომ არაოფიციალური ურთიერთობის დროს მიკროჯგუფებში მეზღვაურები მაინც თავიანთ ეროვნულ ენაზე საუბრობენ და როდესაც მათ მიმართავს სხვა მიკროჯგუფის წევრი, ზოგიერთს უჭირს ერთი ენობრივი კოდიდან მეორეზე გადართვა. ეს პრობლემა, ჩვენი აზრით, თითქმის არ არის შესწავლილი სპეციალურ ლიტერატურაში. უფრო მეტიც, მომუშავე მეზღვაურების „ენობრივი პორტრეტის“ დახასიათება მოითხოვს შემდეგ ინფორმაციას:

- 1) მშობლიური ენა და სხვა ენების ცოდნა (ინგლისურის გარდა);
- 2) ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვის უნარ-ჩვევები;
- 3) ინგლისური ენის ცოდნის სერტიფიკატი უნდა ასახავდეს შემდეგ უნარებს:
 - ა) კითხვა; ბ) ლაპარაკი; 3) მოსმენა (აუდირება); 4) წერა; 5) თარგმანი.
- 4) პროფესიული ტერმინოლოგიისა და სპეციალობის ფრაზარიუმის გამოყენების გამოცდილება.

ეს ინფორმაცია საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ ან მაქსიმალურად შევამციროთ გაუგებრობის გამო ავარიული სიტუაციების შექმნა.

საზღვაო კომუნიკაციის თავისებურებების მსჯელობის შედეგად ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებით ჩვენ მივიღეთ შემდეგი სურათი:

საზღვაო კომუნიკაცია მიმდინარეობს ორ რეჟიმში, ესენია ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობა. აქედან პირველი ძირითადად (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მიმდინარეობს მეზღვაურთა საერთაშორისო ენაზე – ინგლისურზე, ხოლო მეორე მრავალენოვანია, ვინაიდან ინტერნაციონალურ ეკიპაჟებში ბევრი ლინგვოკულტუროლოგიური ჯგუფი არსებობს. სემიოტიკური თვალსაზრისით საზღვაო კომუნიკაცია მოიცავს ვერბალურსა და არავერბალურ ხერხებს, აქედან ჭარბობს უშუალო ვერბალური კომუნიკაცია, მაგრამ გარკვეულ ტიპურ სიტუაციაში გამოიყენება არავერბალური, უფრო ხშირად კი – ვერბალურისა და არავერბალურის ნაერთი. ფუნქციონირების მასშტაბის მიხედვით ოფიციალური საზღვაო კომუნიკაცია ლოკალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ხორციელდება პროფესიულ ჯგუფში, მაგრამ არაოფიციალური ურთიერთობის დროს საკმაოდ ინტენსიურია შიდაჯგუფური და ინტერპერსონალური ურთიერთობის ხვედრითი წილი. კომუნიკანტების სტატუსიდან გამომდინარე მეზღვაურთა კომუნიკაცია იერარქიულია, მაგრამ დემოკრატიულიც შეიძლება იყოს. საზღვაო კომუნიკაციის ინტერკულტურული თავისებურებანი უეჭველია, მაგრამ ამ საკითხშიც საკმაოდ სპეციფიკურია.

2.3. საზღვაო დისკურსის დახასიათება ინგლისურ, რუსულსა და ქართულ ენებში

კომუნიკაციური სტრატეგიისა და ტაქტიკის ცნებების აქტიური შესწავლა მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში დაიწყო (იხილეთ შრომები: ვან დეიკი, 1983; კოიტი, 1985; დემიანკოვი, 1982; ვერეშაგინი, 1990 და სხვ.). ეს იყო განპირობებული ენობრივი ფაქტების ანალიზისადმი კომუნიკაციურ-პრაგმატიკული მიდგომის გაძლიერებით. სამეტყველო სტრატეგიებისა და ტაქტიკის კომუნიკაციის საკვანძო ცნების სახით ჩამოყალიბება მთელი რიგი გარემოებით იყო გამოწვეული. სამეტყველო ზემოქმედების ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტის – ო. ისერსის აზრით, ეს პირობები ექვს ჯგუფად შეიძლება დახარისხდეს:

- 1) კომუნიკაციური წინაპირობები;
- 2) კოგნიტური წინაპირობები;

- 3) სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური;
- 4) ლინგვისტური წინაპირობები;
- 5) რიტორიკული წინაპირობები;
- 6) ესთეტიკური წინაპირობები (ისერსი, 2013: 194).

ო. ისერსი თვლის, რომ საკვლევი მასალიდან გამომდინარე, მისი მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად განიმარტება, ამასთან, გამოიყოფა ორი ძირითადი მიდგომა: კოგნიტური (კოგნიტური, ან დასკვნითი სტრატეგიები) და ინტერაქციული (სამეტყველო სტრატეგიები), რომლებიც ერთმანეთს არ გამორიცხავს. ხშირ შემთხვევაში კომუნიკაციური სტრატეგია უკავშირდება მოტივებს, ინტენციას, ზოგიერთ საერთო (მაკრო) მიზანს და ირჩევს უფრო ადეკვატურ ხერხს მის მისაღწევად. ეს ამოცანა ამოიხსნება კომუნიკაციური (სამეტყველო) ტაქტიკით, რომელიც განისაზღვრება, როგორც ერთი ან რამდენიმე მოქმედება, რომლებიც სტრატეგიებს უწევს რეალიზაციას (ისერსი, 2006:110).

რეალური ურთიერთობის სიტუაცია ხასიათდება იმით, რომ კომუნიკაციური მიზანი მიიღწევა რამდენიმე კომუნიკაციური ნაბიჯის რეალიზაციით, რომლებიც ტაქტიკის მნიშვნელობის შესაბამისია. კომუნიკაციური სტრატეგიისა და ტაქტიკის ფართო გამოყენების მიუხედავად, მათი შედეგები პროფესიული კომუნიკაციის შესწავლაში არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, – მიიჩნევს ო. ისერსი. მისი აზრით, მეცნიერებების ყურადღება მიმართული იყო უფრო კომპლექსურ ერთეულებზე, ვიდრე სამეტყველო აქტებზე, როგორებიცაა: სამეტყველო ჟანრები, დიალოგიური ერთობლიობები და სხვ.

ჩვენს ნაშრომში კომუნიკაციური ტაქტიკის ცნება გააზრებულია, როგორც მინიმალური სამეტყველო ქმედება, რომელსაც მივყავართ მოსაუბრის მიზანთან არჩეული სამეტყველო სტრატეგიის ჩარჩოებში.

მეცნიერების აზრით (ა. ვეჟბიჯკაია, ე. მ. ვერეშაგინი, ვ.გ. კოსტომაროვი, და სხვ.), კომუნიკაციური სტრატეგიები და ტაქტიკა არ არის უნივერსალური მსოფლიო კულტურისათვის, არამედ განსაზღვრულ სიტუაციაში წარმოადგენენ ეროვნული და კულტურულად განპირობებული სამეტყველო მოდელის ქცევას. ეს ნიშნავს, რომ ყველა კულტურაში არსებობს საკუთარი სამეტყველო ტაქტიკის ნაკრები და

არსებული ენობრივი ხერხები, რომლებიც ეფექტურ ზეგავლენას ახდენენ ადრესატზე.

სამეტყველო ტაქტიკისა და სტრატეგიის ფლობა პროფესიული მომზადების მნიშვნელოვანი ნაწილია. პროფესიული საქმიანი ურთიერთობა განსაკუთრებულ კომუნიკაციურ სიტუაციას წარმოადგენს (ბელიკოვი, კრისინი, 2001:61).

პროფესიული კომუნიკაცია შედგება მთელი რიგი კომპონენტისაგან, რომლების ცვლილებაც კომუნიკაციურ სიტუაციას ცვლის, რაც მოითხოვს გამოსაყენებელი ენობრივი ხერხების შენაცვლებას და, უფრო მეტიც, მთლიანად სამეტყველო ქმედების ვარირებას: ადრესანტი, ადრესატი, მათი ურთიერთკავშირი, ურთიერთობის ტონალობა (ოფიციალური, ნეიტრალური თუ მეგობრული), კომუნიკაციის მიზანი, ხერხი (ვერბალური, არავერბალური, შერეული), ურთიერთობის ფორმა (ზეპირი/წერიტი, კონტაქტური/დისტანციური), ურთიერთობის ადგილი.

საზღვაო დისკურსი ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით. ძირითადი მახასიათებლებით მიეკუთვნება ინსტიტუციონალური დისკურსის შუალედურ ვარიანტს, საქმიანსა და სამხედრო დისკურსს:

1) ზოგიერთ სიტუაციაში ჭარბობს საქმიანი დისკურსის ნიშან-თვისებები დემოკრატიული კომუნიკაციის დიალოგებში:

ერთი გემის კაპიტანი – მეორე გემის კაპიტანი
უფროსი მექანიკოსი – ლოცმანი და სხვ.

2) სხვა სიტუაციებში ჭარბობს სამხედრო დისკურსის თავისებურებანი იერარქიული კომუნიკაციის მკაცრი რეგლამენტირებით:

გემის კაპიტანი – უფროსი მექანიკოსი;
ბოცმანი – მატროსი და სხვა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დღესდღეობით მეზღვაურთა პრეფესიული მეტყველების ტაქტიკისა და სტრატეგიების შესწავლა საწყის დონეზეა. ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლოს გაიაზრა ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა წარმატებული

საზღვაო საქმიანობისთვის, მაგრამ ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

როგორც ვხედავთ, საზღვაო კომუნიკაციის წარუმატებლობის მიზეზების ფოკუსში არის სპეციალური ლექსიკისა და საზღვაო ფრაზარიუმის უცოდინრობა. ჩვენ კი გვინტერესებს საზღვაო დისკურსის დახასიათება, რათა შევისწავლოთ მისი დაგეგმარების ტაქტიკა, სტრატეგიები და მათი ტრანსფორმაცია კულტურათაშორისი კომუნიკაციისა და თარგმნის პროცესში.

საზღვაო დისკურსის დახასიათებას დავიწყებთ ცნობილი ლინგვისტის ნ.დ. არუთინოვას განმარტებით, რომლის აზრით, „დისკურსი არის ტექსტი (მეტყველება) მისთვის დამახასიათებელი პრაგმატიკული, ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული თავისებურებებით“ (Арутюнова, 1999:136-137), მაგრამ მეცნიერი აზუსტებს, რომ ტექსტი არის მეტყველების შედეგი ზეპირი ან წერილობითი ფორმის, დისკურსი კი არის პროცესიც და შედეგიც.

ვ. ი. კარასიკი გამოყოფს დისკურსის ორ დაპირისპირებულ სახეობას: პიროვნებაზე ორიენტირებულსა და სტატუსზე ორიენტირებულ დისკურსებს (Карасик, 2002:331).

ჩვენ გვინტერესებს სტატუსზე ორიენტირებული დისკურსის პარამეტრები. ამ ტიპის დისკურსში გამოიყოფა ორი ქვეტიპი:

- 1) ინსტიტუციონალური დისკურსის ქვეტიპი;
- 2) არაინსტიტუციონალური დისკურსის ქვეტიპი.

პირველი ქვეტიპის მონაწილეები არიან საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები და მათთან კომუნიკაციაში შემავალი სოციალური ჯგუფები თუ პირები. ვინაიდან საზღვაო დისკურსი ინსტიტუციონალურ დისკურსს მიეკუთვნება, დავახასიათოთ მისი თავისებურებანი და ლინგვისტური სპეციფიკა სამივე ზემოაღნიშნულ ენაში.

ინსტიტუციონალური დისკურსი სოციალურ ვითარებებზე დამოკიდებული მოვლენაა, მისი რაოდენობა და დამახასიათებელი მხარეები შეიძლება გაიზარდოს ან, პირიქით, შემცირდეს. ამჟამად, სოციოლინგვისტურ ჭრილში ამ დისკურსის ანალიზის შედეგად ჩვეულებრივ გამოყოფენ შემდეგ ნაირსახეობებს:

- ა) სამეცნიერო;
- ბ) პოლიტიკური;
- გ) იურიდიული;
- დ) საქმიანი;
- ე) სამხედრო;
- ვ) სარეკლამო.

ამავდროულად, არ არის გამორიცხული სხვა ტიპის დისკურსის გამოყოფა.

ჩვენი აზრით, საზღვაო დისკურსი მისი ძირითადი მახასიათებლებით მიეკუთვნება შუალედურ ჯგუფს, რომელიც უნდა მოთავსდეს ზემოთ შემოთავაზებული კლასიფიკაციის საქმიანსა და სამხედრო დისკურსებს შორის, ვინაიდან ზოგიერთ სიტუაციაში ჭარბობს საქმიანი დისკურსის ნიშან-თვისებები (მაგალითად, გემის ეკიპაჟის, გემის კაპიტნის და სხვ. საუბარი პორტის წარმომადგენლებთან), სხვა ტიპურ სიტუაციებში კი ჭარბობს სამხედრო დისკურსის თავისებურებანი (იერარქიული კომუნიკაციის მკაცრი რეგლამენტირება, დიალოგის ფორმა, როგორც მიღებული ბრძანების გადამოწმების საშუალება, იმპერატივის ხშირი გამოყენება და სხვ.).

ვ. ი. კარასიკის მიერ ჩატარებული ინსტიტუციონალური დისკურსის კვლევებზე დაყრდნობით ჩვენ გამოვყავით მეზღვაურთა პროფესიული კომუნიკაციის ძირითადი მიმართულებები.

საზღვაო დისკურსი, ჩვენი აზრით, ხასიათდება:

- 1) შაბლონური მეტყველებით და კლიშირებული კონსტრუქციების მაღალი ხვედრითი წილით;
- 2) ლაკონურობით და ტერმინოლოგიური სიუხვით;
- 3) კომუნიკანტების საქმიანი ურთიერთობის რეგლამენტირებით და აქედან გამომდინარე, დაკავებული სტატუსის შესაბამისად როლური ხასიათით;
- 4) ილოკუციური მიზნების გარკვეული სისტემით, რომელიც მიმართულია საზღვაო საქმიანობისთვის დამახასიათებელი ტიპური/-

რატიკური პრობლემების გადასაწყვეტად და ადრესატზე სამეტყველო ზემოქმედებისთვის.

ყველა აღნიშნული ნიუანსი მიიღწევა სხვადასხვა საშუალებითა და ხერხით, მათ გარეშე შეუძლებელი იქნება პროფესიულ საზღვაო ურთიერთობაში გაგებისა და კომუნიკაციის მიზნების მიღწევა. იგულისხმება, რომ ამ სამეტყველო აქტების მონაწილეებს აქვთ მსგავსი პროფესიული განათლება, ინგლისური ენის სპეციალური სერტიფიკატი და პრაქტიკას გადიან ტიპურ სიტუაციებში. რაც შეეხება კომუნიკაციის ზეპირ თუ წერიტი ფორმას, საზღვაო საქმიანობაში აქტიურია ორივე, მაგრამ სხვადასხვა სიტუაციაში ჭარბობს ხან ზეპირი, ხან – წერიტი ფორმა. მაგალითად, გემის ეკიპაჟის წევრების საქმიანი ურთიერთობა მეტწილად ზეპირი ფორმით მიმდინარეობს, მაგრამ გემის კაპიტნის ურთიერთობა პორტის ხელმძღვანელობასთან მოითხოვს უამრავი სტანდარტული საბუთის შევსებას. ნაოსნობის განვითარებამ და სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ განაპირობა საქმიანი მოლაპარაკებების კიდევ ერთი საინტერესო ფორმა – ამჟამად აქტიურად გამოიყენება ოფიციალური მიმოწერა ელექტრონული ფოსტით), ეს, თავისთავად აყენებს ელექტრონული საქმიანი მიმოწერის სტრუქტურისა და ლინგვისტური მახასიათებლების შესწავლის აუცილებლობას.

ვ. ი. კარასიკის აზრით, საქმიანი ინსტიტუციონალური დისკურსის დახასიათება მოიცავს რამდენიმე ძირითად პარამეტრს, ესენია:

- 1) დისკურსის (შესაბამისი ტექსტების) სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშან-თვისებები;
- 2) საქმიანი დისკურსის ფასეულობები;
- 3) მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სტრატეგიები (Карасик, 2002:14).

ამავდროულად, ვინაიდან ჩვენ ვაანალიზებთ ინგლისურ, რუსულსა და ქართულ სამეტყველო მასალას, აღსანიშნავია, რომ სამივე მაჩვენებელში შეიძლება გამოიყოს ზოგადი ხასიათის, ყველა ენისთვის დამახასიათებელი მიდრეკილება, რომლის ანალიზს ჩვენ ნაშრომის ამ ნაწილში გთავაზობთ, მაგრამ ისინი ერწყმიან ეროვნულ-კულტურული სპეციფიკით განპირობებულ თავისებურებებს (რომელთა ანალიზიც მესამე თავშია დაგეგმილი).

საქმიანი დისკურსის ფასეულობებს შეადგენს პარტნიორული დამოკიდებულებების შექმნა სხვადასხვა ქვეყნისა და კომპანიის წარმომადგენლებთან, საქმიანობა მიმართულია მოგების მისაღწევად და ამ სფეროში პოტენციალის მართვისკენ. საზღვაო დისკურსის ლინგვისტური ნიუანსები საკმაოდ მრავალფეროვანია. დავახასიათოთ მათი ძირითადი თვისებები:

ჩვენ ვიზიარებთ მ. აროშიძის მიერ საკანდიდატო ნაშრომში არგუმენტირებულ აზრს, რომ (იხ. საკანდიდატო ნაშრომის ავტორეფერატი: მ. აროშიძე „საზღვაო კომუნიკაციის ფრაზარიუმის სტრუქტურა და მისი ტექსტლინგვისტური სტატუსი“, 1995, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა) საზღვაო კომუნიკაციას ახასიათებს ენობრივი ერთეულების გამოყენების ეკონომიის მაღალი დონე. სამეტყველო ფრაზები შეკუმშულია, არ გამოიყენება ფართო, გავრცობილი წინადადებები, ტერმინოლოგიის მაღალი ხვედრითი წილი ემსახურება ფრაზის ლაკონიურობასა და ინფორმაციის სიზუსტეს. საზღვაო კომუნიკაციაში დაუშვებელია ორჭოფობა, ორაზროვნება, მიახლოებითი ინფორმაცია.

საზღვაო სფეროს ახასიათებს სპეციფიკური ტერმინოლოგიური სისტემა, რომელშიც შედის როგორც კოდიფიცირებული, ასევე არაკოდიფიცირებული ლექსიკა და საზღვაო სლენგი. მისი გამოყენება მაქსიმალურად კუმშავს ბრძანებასა თუ პასუხს. შაბლონური ფორმა ხელს უწყობს გაგებას და კომუნიკაციის სისწრაფეს.

როგორც ზ. ბეჟანოვი და მისი თანაავტორები აღნიშნავენ (იხ. სტატია „ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის არსებული მდგომარეობისა და სამომავლო განვითარების ანალიტიკური მიმოხილვა“), ქართული საზღვაო ტერმინოლოგია კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს

(<http://atsu.edu.ge/EJournal/HENTI2015/eJournal/Papers/Bezhanovi Zurab. pdf>).

| ინგლისური | რუსული | ქართული |
|---------------|-----------|------------------|
| Mooring rope | Швартов | მისაბმელი ბაგირი |
| Forestay | Форштаг | ფორშტაგი |
| Fly down wind | Фордевинд | ფორდევინდი |
| Helm | Руль | საჭე |

| | | |
|----------|----------------|--------|
| Point | Румб (компаса) | რუმბი |
| Drifting | Дрейф | დრეიფი |

მითითებულ პარამეტრებს (გაგების სიზუსტესა და სისწრაფეს) განსაკუთრებული მნიშვნელობა ეჭება საზღვაო კომუნიკაციაში, ვინაიდან ხშირია ექსტრემალური სიტუაციები და ეკიპაჟის ყველა წევრის სწრაფსა და ერთობლივ ქმედებებზე დამოკიდებულია მეზღვაურების ბედი. შეიძლება ითქვას, რომ საზღვაო კომუნიკაციის გაუგებრობას ავტომატურად მოჰყვება ავარიული სიტუაციები (იხ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები), ამიტომ საზღვაო ტერმინოლოგიისა და ფრაზარიუმის ფლობა უნდა იყოს ავტომატური.

ნებისმიერი რანგის მეზღვაური არ კარგავს დროს ფრაზის სწორად აგებისთვის, უმრავლეს შემთხვევაში პროფესიულ ურთიერთობაში გამოყენებულ ტიპურ ფრაზებს კლიშირებული ხასიათი აქვს:

| | | |
|---------------------|-----------------------|----------------------|
| ინგლისური ენა | რუსული ენა | ქართული ენა |
| Starboard the helm! | Право руль! | მარჯვნივ საჭე! |
| Port the helm! | Лево руль! | მარცხნივ საჭე! |
| Watch you steering! | Внимательнее на руле! | ყურადღებით საჭესთან! |

კლიშირებულ ფრაზებს ვარირების საშუალებაც აქვს:

| | | |
|--|-----------------------------------|-------------------------------------|
| ინგლისური ენა | რუსული ენა | ქართული ენა |
| Get the port (starboard) anchor ready! | Приготовить левый (правый) якорь! | მოამზადეთ მარცხენა (მარჯვენა) ღუზა! |
| My heading is ... | На румбе ... градусов. | რუმბზე ... გრადუსია. |

პირველ მაგალითში ვარირება ხდება ტიპური სიტუაციის დაკონკრეტებით: მარჯვენა თუ მარცხენა ღუზაზეა საუბარი. მეორე მაგალითში კლიშირებულ ფრაზაში გამოტოვებულია ადგილი კონკრეტული რაოდენობის ჩასამატებლად.

სწრაფი რეაგირებისთვის საზღვაო ბრძანებები ხასიათდება მაქსიმალური სამეტყველო კომპრესიით, მაგალითად:

| | | |
|-----------|---|-----------------------------|
| ენა | სრული ფრაზა | კომპრესირებული ფრაზა |
| ინგლისური | <i>Continue to follow the same course!</i> | <i>The same course!</i> |
| რუსული | <i>Продолжайте следовать тем же курсом!</i> | <i>Курс тот же!</i> |
| ქართული | <i>გააგრძელებით მოძრაობა იმავე კურსით!</i> | <i>კურსი იგივეა!</i> |
| ინგლისური | <i>Stop moving immediately!</i> | <i>Stop moving!</i> |
| რუსული | <i>Немедленно остановите движение!</i> | <i>Остановить движение!</i> |
| ქართული | <i>დაუყოვნებლივ გააჩერეთ მოძრაობა!</i> | <i>გააჩერეთ მოძრაობა!</i> |

კომპრესიის მიღწევის ხერხები განსხვავებულია: პირველ შემთხვევაში ელიფსისის შედეგად ფრაზის კონსტრუქცია შეკუმშულია, გამოტოვებულია შემასმენელი, ქვემდებარე იგულისხმება კომუნიკანტების როლურ მონაცემებში. მეორე შემთხვევაში კი შეკუმშულია ზმნიზედა.

მიუხედავად იმისა, რომ კომპრესია და ლაკონიურობა საზღვაო კომუნიკაციის სფეროს ერთობლივი მოთხოვნაა, სხვადასხვა ენის სტრუქტურული და გრამატიკული შესაძლებლობებიდან გამომდინარე საბოლოო შედეგი განსხვავებულია.

ასე, მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში პროფესიული ფრაზების შემადგენლობას ინგლისურ ენაში ართულებს ენის ანალიტიკური წყობა, ვინაიდან იქმნება დამხმარე ზმნების, ზოგჯერ კი არტიკლების გამოყენების აუცილებლობა:

Let go the tow line! *Отдать буксир!*

Heave in the towline! *Выбрать буксир!*

Hold on the chain! *Задержать канат!*

რუსულ ენას ახასიათებს ელიფსური კონსტრუქციები გამოტოვებული შემასმენლით. ინგლისურში წინადადების წყობა საკმაოდ მკაცრია, თან კითხვით წინადადებაში, რუსულში კი კითხვა შეიძლება მხოლოდ ინტონაციის საშუალებით გამოიხატოს, მაგალითად:

What is your heading? *На румбе?*

Finished with wheel, no more steering! *От руля!*

Secure the anchor for sea! *Якоря по-походному!*

რუსული ენის სინთეტიკური წყობა კომპრესიის კარგი საშუალებაა, ამის გარდა, ბრძანებებში ჭარბობს ინფინიტივის გამოყენება ზმნის პირიანი ფორმების ნაცვლად, ვინაიდან ეს კიდევ უფრო ამოკლებს ფრაზას და ბრძანებას სიმკაცრეს მატებს (როგორც სამხედრო დისკურსს ჩვევია):

Уменьшите ход! - Уменьшить ход!

Подайте на буксир два конца! - Подать на буксир два конца!

ამას გარდა, რუსულ ენაში ფრაზის შეკუმშვისთვის ხშირად გამოიყენება სუბსტანტივაცია, ანუ ზედსართავისა და არსებითი სახელის შესატყვისის ნაცვლად გამოიყენება შეკვეცილი ფორმა: ზედსართავი დროებით იმატებს არსებითი სახელის ფუნქციას და აღნიშნავს საგანსაც და მის ნიშან-თვისებასაც, მაგალითად:

Подать бросательный конец! - Подать бросательный!

Подайте буксир из центрального клюза! - Подайте буксир из центрального!

ამავდროულად, ზოგიერთ შემთხვევაში რუსული გრამატიკული სისტემის განსაკუთრებული ფორმები, მაგალითად, მიმღეობა იწვევს საზღვაო ბრძანებების გართულებას:

Bow thrust full to port! Носовое подруливающее полный влево!

Stern thrust full to port! Кормовое подруливающее полный вправо!

ვინაიდან ქართული საზღვაო ფრაზარიუმი ფორმირების სტადიაშია, ჩვენ მიერ გაანალიზებულ ემპირიულ მასალაში ქართულ ენაზე ყველა ბრძანების შესაბამისი ვარიანტი არ მოიძებნა.

ხშირად გამოყენებად დისკურსულ ფორმებს კანცელარიზმები და შერწყმული შესატყვისები ეკუთვნის:

Charter party – договор морской перевозки – საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება;

to enter into a contract - заключить контракт - კონტრაქტის დადება;

at short notice - в короткий срок - მოკლე ვადაში;

cesser clause - оговорка о прекращении ответственности фрахтователя.

ზემოხსენებული ენობრივი თავისებურებების გარდა საზღვაო ფრაზების კომპრესიის დონე დამოკიდებულია კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ პარამეტრებზე, რაც სამივე ენას ახასიათებს, კერძოდ, კომპრესიის დონე მაღალია იერარქიული კომუნიკაციის დროს, როდესაც ზემდგომი ეკიპაჟის წევრი ტიპურ სიტუაციაში უბრძანებს ქვემდგომს

მაგალითად:

| | |
|-----------------------------|--------------------------------------|
| <i>Стоп травить ...!</i> | <i>A fast (stop) slacking ...!</i> |
| <i>Задерживать ...!</i> | <i>Check, keep the ...!</i> |
| <i>Выбрать слаbinу ...!</i> | <i>Haul in the slack ...!</i> |
| <i>Стоп выбирать ...!</i> | <i>A fast hauling hold on !</i> |
| <i>Приготовить кранцы!</i> | <i>Have/get the fenders ready!</i> |

როდესაც საკომუნიკაციო აქტის მონაწილეები დემოკრატიული კომუნიკაციის ფარგლებში მიმართავენ ერთმანეთს (გემის კაპიტანი და პორტის უფროსი, კაპიტნის უფროსი თანაშემწე და პორტში აყვანილი ლოცმანი), ამ შემთხვევაში კომპრესიის დონე მცირდება, მაგალითად:

How long does it take to start the engine from stopped?

Сколько времени потребуется для запуска двигателя после его остановки?

რამდენ ხანში ამუშავდება ძრავა მისი გაჩურების შემდეგ?

What are the maximum revolutions ahead (astern)?

Каково максимальное число оборотов на переднем (заднем) ходу?

როგორია ბრუნვის მაქსიმალური რაოდენობა წინა (უკანა) სვლაზე?

ჩვენი აზრით, მოცემული საზღვაო ბრძანებების რუსული ეკვივალენტები ინგლისურ შესატყვისებზე უფრო ლაკონიურია, რაც აიხსნება ინგლისური ენის ანალიტიკური ხასიათით (დამხმარე ზმნების დიდი რაოდენობით და არტიკლების გამოყენების აუცილებლობით), აგრეთვე ინგლისურ ენაში ძალიან მკაცრი მოთხოვნაა წინადადების აგების მიმართ, რუსულ ენაში კი ჭარბობს ანალიტიკური ფორმები,

ძალიან გავრცელებულია ელიფსური წინადადებები და კითხვის გამოხატვა მხოლოდ ინტონაციის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს მაქსიმალურ სამეტყველო კომპრესიას. ქართული ბრძანებები ჯერ კიდევ უფრო ახლოსაა შესაბამის რუსულ კონსტრუქციებთან, რაც საყოველთაოდ ცნობილი სოციოლინგვისტური მიზეზებით არის გამოწვეული.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში უფრო მოსახერხებელი გახდა ერთიანი კლიშირებული საზღვაო ფრაზარიუმის შემუშავება, რაც უეჭველად ამარტივებს ინტერკულტურულ საზღვაო ურთიერთობებს, მაგრამ საზღვაო კომუნიკაციის მნიშვნელოვან დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენს სამეტყველო ზემოქმედება, რომელიც ემსახურება კომუნიკაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევას გარკვეული ტაქტიკის, ხერხების გამოყენების გზით, რაზეც საუბარი შემდეგ თავში გვექნება.

მეორე თავში განხილული საკითხები შეიძლება შევაჯამოთ შემდეგი დასკვნებით:

საზღვაო კომუნიკაცია წარმოადგენს კულტურათაშორისი პროფესიული კომუნიკაციის რთულ სახეობას. საზღვაო კომუნიკაცია ოფიციალური ან არაოფიციალურია. აქედან პირველი ძირითადად (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მიმდინარეობს მეზღვაურთა საერთაშორისო ენაზე, ინგლისურზე, ხოლო მეორე კი მრავალენოვანია, ვინაიდან ინტერნაციონალურ ეკიპაჟებში ბევრი ლინგვოკულტურული ჯგუფი არსებობს. სემიოტიკური თვალსაზრისით საზღვაო კომუნიკაცია მოიცავს ვერბალურ და არავერბალურ ხერხებს, აქედან ჭარბობს უშუალო ვერბალური კომუნიკაცია, მაგრამ გარკვეულ ტიპურ სიტუაციებში გამოიყენება არავერბალური, უფრო ხშირად კი გვხვდება ვერბალურისა და არავერბალურის ნაერთი. ფუნქციონირების მასშტაბის მიხედვით ოფიციალური საზღვაო კომუნიკაცია ლოკალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ხორციელდება პროფესიულ ჯგუფში, მაგრამ არაოფიციალური ურთიერთობის დროს საკმაოდ ინტენსიურია შიდაჯგუფური და ინტერპერსონალური ურთიერთობის ხვედრით წილი. კომუნიკანტების სტატუსიდან გამომდინარე მეზღვაურთა კომუნიკაცია იერარქიულია, მაგრამ დემოკრატიულიც შეიძლება იყოს. საზღვაო კომუნიკაციის

ინტერკულტურული თავისებურებანი უეჭველია, მაგრამ ამ საკითხშიც საკმაოდ სპეციფიკურია. მას ახასიათებს წარუმატებლობის განსხვავებული ფორმები: უმნიშვნელო შეცდომიდან, უზუსტობიდან დაწყებული გაუგებრობით და ზოგჯერ კონფლიქტით დამთავრებული.

რაც შეეხება საზღვაო ფრაზარიუმის განსხვავებებს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებში განხილული საზღვაო ბრძანებების რუსული ეკვივალენტები ინგლისურ შესატყვისებზე უფრო ლაკონიურია, რაც აიხსნება ინგლისური ენის ანალიტიკური ხასიათით, რომელიც გულისხმობს დამხმარე ფორმებისა და არტიკლების ფართო გამოყენებას, რუსულ ენაში კი ჭარბობს სინთეტიკური წყობა, რაც ხელს უწყობს მაქსიმალურ შეკუმშვას (მიუხედავად ამისა, ხანდახან ზოგიერთი რუსული გრამატიკული ფორმა ართულებს სტანდარტულ ფრაზებს). ქართული ბრძანებები უფრო ახლოსაა შესაბამის რუსულ კონსტრუქციებთან.

თავი III

საზღვაო სამეცნიერო სტრატეგიებისა და ტექტიკის კლასიფიკაცია და ინტერკულტურული კომუნიკაციის მთარგმნელობითი პრობლემები

3.1 საზღვაო კომუნიკაციის სტრატეგიული მიზნების ერთობლიობა

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერების ინტენსიურმა შესწავლამ გამოავლინა ბევრი „თეთრი ლაქა“ პროფესიული კომუნიკაციის დაგეგმარებაში. შედარებით შესწავლილია სარეკლამო მოღვაწეობა, საქმიანი ურთიერთობის ძირითადი პრინციპები, მაგრამ ინსტიტუციური დისკურსის ზოგი მიმართულება მეცნიერების ყურადღების მიღმა დარჩა. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლო პერიოდში ჩატარდა რამდენიმე საინტერესო კვლევა ამ მიმართულებით, მაგრამ ისინი ძირითადად ეხებოდა საზღვაო ტერმინოლოგიას, მის შეფარდებას ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენებში და მათი თარგმნის პრობლემებს.

წინამდებარე კვლევაში კი ჩვენ გვაინტერესებს საზღვაო ფრაზარიუმის შემადგენლობა, და, რაც მთავარია, დაგეგმარება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ არის აგებული პროფესიულ საქმიანობაში ხშირად გამოყენებული ტიპური ფრაზები.

ამის აუცილებლობა უკვე გააზრებული აქვს იმათ, ვისაც საზღვაო კადრების მომზადება ეხება. კულტურათმორისი ურთიერთობები უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესები დაჩქარდა და აქტიურ ფაზაში შევიდა. სიტყვა გლობალიზაცია უკავშირდება ინგლისურ სიტყვას „Globe-ს, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს. კომუნიკაციების სფეროში და, კერძოდ, საზღვაო კომუნიკაციაში, გლობალიზაციის პროცესს ხელი მეტად შეუწყობს კომპიუტერული და ელექტრონული ტექნოლოგიების, სატელეფონო კავშირების, ელექტრონული მიმოწერის, ელექტრონული რუკების განვითარებამ. გლობალიზაციის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა და ბიძგის მიმცემი ინტერნეტია გახდა.

ქართველი მომხმარებლები ამ მხრივ არ ჩამორჩებიან გლობალიზაციის პროცესს და ისინი ინტერნეტის მეშვეობით ამყარებენ კონტაქტს მსოფლიოს

ნებისმიერ კუთხესთან. ელექტრონული მიმოწერის საშუალებით სხვადასხვა უცხოური საზღვაო კომპანია ერთმანეთს უკავშირდება, ქართველი მეზღვაურების მონაცემთა ბაზა სათანადოდ შეირჩევა და გადაეგზავნება კონკრეტული თანამდებობისთვის უცხო კომპანიებს, ასევე პირდაპირი ჩართვით ანუ ისევ ინტერნეტტექნოლოგიების საშუალებით მეზღვაურებს ინგლისურ ენაზე უტარდებათ გასაუბრება, რის შემდეგაც ოფიციალურად ფორმდება ხელშეკრულება ქართველი მეზღვაურის დასაქმების თაობაზე. ტერმინის- გლობალიზაცია უნივერსალური, ზოგადი და ამომწურავი განმარტება არ არსებობს, თუმცა შეიძლება გამოიყოს ორი მთავარი ნიშანი: საზღვრების მოშლა და საერთო ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა.

ამ პროცესებმა კიდევ უფრო ნათელი გახადა სამეტყველო დაგეგმარების შესწავლის აუცილებლობა წარმატებული საზღვაო კომუნიკაციისთვის. საზღვაო კომუნიკაციას, რა ენაზეც უნდა ხორციელდებოდეს, აქვს გარკვეულწილად მსგავსი ნიშან-თვისებები, რომლებიც, პირველ რიგში, გამონათქვამის ერთიანი ილოკუციური ძალით არის განპირობებული.

ასე, მაგალითად, სიუზან ერვინ-ტრიპის (Ervin-Tripp 1976:56) (см. Исеев 2013:193) ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქმიან ურთიერთობაში ორიენტაცია კეთდება გამონათქვამის მიზანზე და არა ფორმაზე, ამიტომ ჭარბობს პირდაპირი სამეტყველო აქტები და არა ირიბი.

პირდაპირი სამეტყველო აქტების გამოყენება წარმოადგენს საზღვაო კომუნიკაციის სტრატეგიულ ერთობლიობას ჩვენ მიერ გაანალიზებულ ყველა ენაში (ინგლისურში, რუსულსა და ქართულში).

ქართულ ლინგვისტიკაში ძალიან მწირია კვლევები სამეტყველო სტრატეგიებისა და ტაქტიკის შესახებ. ასმათ არძენაძის ნაშრომში, რომელშიც შესწავლილია კითხვითი სამეტყველო აქტები რუსული ენის მასალაზე, კარგად არის ახსნილი პირდაპირი და ირიბი აქტების პრინციპული განსხვავება (არძენაძე, 2003:9).

ავტორი უპირისპირებს ერთმანეთს ამ განსხვავებულ სამეტყველო აქტებს ინტენციისა და გამოხატვის ფორმის მიხედვით, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა სამეტყველო მიზნის მიღწევა სურს კომუნიკაციის ინიციატორს და რა ფორმით

გამოხატავს ამ მიზანს, ამიტომ პირდაპირ სამეტყველო აქტს მიეკუთვნება მხოლოდ კითხვითი ინტენციის მატარებელი ფრაზა, რომელიც აგებულია კონკრეტულ ენაში არსებული საშუალებებით (მაგალითად, რუსულსა და ქართულ ენებში ეს არის კითხვითი ინტონაცია, სპეციალური კითხვითი სიტყვები, წინადადების აქტუალური დაყოფა; ინგლისურ ენაში ეს არის პირველ რიგში წინადადების სპეციალური წყობა, აგრეთვე კითხვითი სიტყვები და სხვ.).

ირიბი სამეტყველო აქტები (კითხვითი წინადადებების მასალაზე განხილული) წარმოადგენს ორ ქვეჯგუფს:

- 1) კითხვითი ინტენცია, რომელიც გამოხატულია არაკითხვითი ფორმით (მტკიცება, თხოვნა, გამოწვევა და სხვ., მაგალითად, აქ რომ ვინმე კარგი ბიჭი ყოფილიყო, ხომ მოიტანდა შემას);
- 2) არაკითხვითი ინტენცია (თხოვნა, მტკიცება და სხვ.), რომელიც გამოხატულია კითხვითი წინადადებით (მაგალითად, ეგრეთწოდებული რიტორიკული კითხვები— ვის არ უყვარს ლამაზი ბუნება? ან კითხვა-თხოვნა — შეგიძლიათ, ის წიგნი მომაწოდოთ?).

ავტორი განიხილავს სამეტყველო აქტებს, როგორც ნორმალურ სოციო-სამეტყველო ქცევას, ფუნქციონირებადს პრაგმატიკული სიტუაციის ფარგლებში. ილოკუციური აქტის წარმატებული განხორციელების არსებით ელემენტად ავტორი თვლის ათვისების უზრუნველყოფას, ე.ი. ილოკუციური მიზნის გაგებას. სამეტყველო კომუნიკაციის თეორია განხილულია, როგორც ერთიანი სიბრტყე სამეტყველო ჟანრების ტიპოლოგიის შესაქმნელად.

აქ ხაზგასმულია ტიპური სამეტყველო აქტების ფუნქციონირების სფეროები. ა. არმენაძის აზრით, ირიბი საკომუნიკაციო აქტები ხშირად გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაში, არაოფიციალურ სამეტყველო სიტუაციებში, პირდაპირი სამეტყველო აქტები კი ჭარბობს საქმიან დისკურსში, პროფესიულ კომუნიკაციაში.

რეალური ურთიერთობის სიტუაცია ხასიათდება იმით, რომ კომუნიკაციური მიზანი მიიღწევა რამდენიმე კომუნიკაციური ნაბიჯის რეალიზაციით, რომლებიც ტაქტიკის მნიშვნელობის შესაბამისია. კომუნიკაციური სტრატეგიისა და ტაქტიკის

ფართო გამოყენების მიუხედავად, მათი შედეგები პროფესიული კომუნიკაციის შესწავლაში არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

საზღვაო დისკურსის ზოგადმა ილოკუციური მიზნებმა განაპირობა შემდეგი საერთო სტრატეგიები:

საზღვაო კომუნიკაციას, რა ენაზეც უნდა ხორციელდებოდეს, გააჩნია გარკვეულწილად მსგავსი ნიშან-თვისებები, რომლებიც, პირველ რიგში, გამონათქვამის ერთიანი ილოკუციური ძალით არის განპირობებული. კერძოდ, ოფიციალური ხასიათის საზღვაო იერარქიულ კომუნიკაციაში მხოლოდ პირდაპირი სამეტყველო აქტები გამოიყენება, მათ შორისაა საკითხები, როდესაც ინფორმაციის გაგება-დაზუსტების ილოკუციური მიზანი შეხამებულია შესაბამის კითხვით ფორმასთან:

- ▶ *How many anchors are there in the ship?*
- ▶ *Сколько якорей на корабле?*
- ▶ *რამდენი ლუზა აქვს გემს?*

- ▶ *How many lifeboats are there in the ship?*
- ▶ *Сколько на корабле спасательных шлюпок?*
- ▶ *რამდენი სამაშველო ნავია გემზე?*

- ▶ *What is the position of the pilot vessel?*
- ▶ *Где находится лоцманское судно?*
- ▶ *სად იმყოფება ლოცმანის გემი?*

ირიბი კითხვების ფუნქციონირება კი შესაძლებელია მხოლოდ არაოფიციალურ დემოკრატიულ კომუნიკაციაში (ეკიპაჟის წევრების ინტერპერსონალურ საუბარში).

ჩვენი აზრით, საზღვაო კომუნიკაციის ტიპური სტრატეგიებია:

- ▶ იმპერატიული ურთიერთობის სტრატეგია ურთიერთობის ავტორიტარული ფორმა (ადრესანტი — უფროსი — ადრესატი — ქვემდგომი), რომელიც ძირითადად ხორციელდება ბრძანების ტაქტიკით;

- ინფორმაციული დიალოგების სტრატეგია (იშვიათია ინტერპრეტაციული დიალოგები, რომელიც ახასიათებს სამეცნიერო დისკურსს) — ასევე აღსანიშნავია, რომ ეს სტრატეგია ბრძანების შემთხვევაშიც კი მოითხოვს პასუხს, რათა ადრესანტი დარწმუნდეს, რომ მისი ბრძანება სწორადაა აღქმული. ეს ყველაზე ხშირად ხორციელდება პირდაპირი კითხვებითა და ინფორმაციის დაზუსტებით;
- კოოპერაციული ურთიერთობის სტრატეგია (სხვანაირად არაკონფრონტაციული) — უპირისპირდება არაკოოპერაციულ (ან კონფრონტაციულ) სტრატეგიას, ყველაზე ხშირად ხორციელდება რჩევის ტაქტიკის გამოყენებით;
- ურთიერთგაგების სტრატეგია (ან კომპრომისის სტრატეგია) — ის ხშირად გამოიყენება გემის კაპიტნის და პორტის წარმომადგენლების დიალოგის დროს, ძირითადად ჭარბობს შემოთავაზების, გაფრთხილებისა და ვარაუდის ტაქტიკა;
- მანიპულირების სტრატეგია ხასიათდება კომუნიკაციის პარტნიორზე ზეწოლით საკუთარი მიზნების მიღწევის მიზნით, ხშირად გამოიყენება გაფრთხილების და თხოვნის ტაქტიკა.

მოცემული სტრატეგიები, რა თქმა უნდა, არ ამოწურავს საზღვაო კულტურათშორისი ურთიერთობის სპეციფიკას, მაგრამ ისინი ახასიათებენ ძირითად ტიპურ სიტუაციებს, რომლებიც ხშირად გვხვდება მეზღვაურთა პროფესიულ საქმიანობაში.

მოცემული სტრატეგიების განსახორციელებლად საზღვაო კომუნიკაციაში გამოიყენება ცალკეული სამეტყველო ტაქტიკა, რომლებიც განხილულია შემდეგ პარაგრაფში.

3.2. სამეტყველო ტაქტიკების ხერხები ინგლისურ, რუსულსა

და ქართულ ენებში

ყველა ენას აქვს „კომუნიკაციური მანევრების“ განსხვავებული შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთსა და იმავე პროფესიულ სიტუაციებს განვიხილავთ, მათი ვერბალიზაცია მეტყველებაში სხვადასხვა ენაში განსხვავებულია. თუ ინგლისური, რუსული და ქართული სამეტყველო სტრატეგიები საზღვაო კომუნიკაციაში მსგავსია ერთიანი პროფესიული სპეციფიკიდან გამომდინარე, მათს მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა, უფრო მრავალფეროვანი ტაქტიკა. თანაც ისინი განსხვავდებიან გამოყენების სიხშირით და ფორმით. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ, ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე სტრატეგიას ემსახურება რამდენიმე ტაქტიკა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში დომინირებს ერთი.

სამივე კულტურის მონაცემები საზღვაო კომუნიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე ტაქტიკის ანალიზის შედეგად განვალაგეთ გამოყენების სიხშირის მიხედვით: ყველაზე გამოყენებად ტაქტიკად აღიარებულია ბრძანება, შემდეგ მოდის პირდაპირი კითხვების// ინფორმაციის დაზუსტების// რჩევის//გაფრთხილების ტაქტიკა. შედარებით ნაკლები სიხშირით გამოიყენება თხოვნის//შემოთავაზების//ვარაუდის ტაქტიკა.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საზღვაო კომუნიკაციაში ჩვენ გვხვდება როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური ურთიერთობის ტიპური სიტუაციები. ეკიპაჟი მულტიკულტურულ საზოგადოებას წარმოადგენს, სადაც პროფესიულ ურთიერთობებში ჭარბობს იერარქიული კომუნიკაცია, პირადულში კი— დემოკრატიული. ჩვენ პირველ რიგში პროფესიული ურთიერთობა გვანტერესებდა, ამიტომ გამოყენებადი ტაქტიკა დავალაგეთ ოფიციალურ კომუნიკაციაში ფუნქციონირების მიხედვით.

ჩვენი ემპირიული მასალა საზღვაო აკადემიაშია შეგროვებული და გამოყენებულია სასწავლო და პროფესიული ხასიათის ლიტერატურა, აგრეთვე ხშირად მივმართავდით ინტერნეტრესურსებს, სადაც სპეციალურ საიტებზე წარმოდგენილია IMO STANDARD MARINE COMMUNICATION PHRASES (IMO - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია, რომელმაც 1997 წელს გამოაქვეყნა

საყოველთაოდ გამოსაყენებელი საზღვაო ფრაზარიუმი. ეს ორენოვანი პროფესიული სამეტყველო ლექსიკონია ინგლისურსა და რუსულ ენებზე. პირდაპირ სათაურში მითითებულია, რომ ის მოიცავს სტანდარტულ ფრაზებს საზღვაო ურთიერთობებისთვის, თუმცა გამოცემის ავტორები აქვე აზუსტებენ, რომ ეს რეკომენდაციაა და არა ინსტრუქცია (<http://saillife.ru/wp-content/uploads/2015/04/Frazi.pdf>).

მოცემული ფრაზარიუმის მასალა რამდენიმე ბლოკად არის დაყოფილი:

- 1) გემის აღწერა და ძირითადი მახასიათებლები;
- 2) გემის მართვის დროს გამოყენებადი ფრაზარიუმი;
- 3) ნავიგაციური პრაქტიკა;
- 4) ავარიული სიტუაციები;
- 5) მეტეოროლოგია;
- 6) ტვირთის გადაზიდვა;
- 7) კვება;
- 8) სამედიცინო მომსახურება.

ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია გემის მართვა და ტვირთის გადაზიდვა. თითოეული ნაწილი შედგება ქვენაწილებისგან, ასე, მაგალითად:

- ბრძანებები მესაჭესთვის;
- ბრძანებები მექანიკოსებისთვის;
- ბრძანებები საბუქსირო გემისთვის;
- მოლაპარაკება პორტის კონტროლის სამსახურთან;
- მოლაპარაკება ლოცმანის სადგურთან;
- მოლაპარაკება სხვა გემის ეკიპაჟთან;
- სტანდარტული შეტყობინება რადიოტელეფონით;
- გაფრთხილება სახიფათო სიტუაციების შემთხვევაში და სხვ.

პირველ რიგში გამოყავით იმპერატიული ურთიერთობის სტრატეგია, რომელიც ურთიერთობის ავტორიტარულ ფორმას წარმოადგენს (ადრესანტი — უფროსი — ადრესატი — ქვემდგომი) და იერარქიულ კომუნიკაციაში აშკარად ჭარბობს ამ სტრატეგიით განპირობებულია ბრძანებების ტაქტიკა.

► ბრძანების ტაქტიკა:

Secure the break! / Наложить стопор! / დააღეთ საჭერი!

Faster! / Больше ход! / დაუმატეთ სიჩქარე!

Starboard! / Вправо! / მარჯვნივ!

Port! / Влево! / მარცხნივ!

სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისური და რუსული ფრაზარიუმი წარმოდგენილია ძალიან ფართო ფორმით, ქართულ ფრაზარიუმში კი მოიძებნება მხოლოდ ყველაზე ტიპური კლიშირებული გამონათქვამები.

| | |
|---|--|
| Право на борт! | Hard — a — starboard! All starboard! |
| Лево на борт! | Hard — a — port! All port! |
| Легче, отводи! | Ease the helm! |
| Легче право! | Ease to starboard! |
| Доложить, если судно не слушается руля! | Report if she does not answer the wheel! |
| От руля отойти! | Finished with wheel, no more steering! |

ბრძანების ტაქტიკის ძირითადი მაჩვენებლები სამივე ენაში არის ფრაზის ინტონაციურ-სტრუქტურული აგებულება და შემასმენლის შემთხვევაში მისი იმპერატივის ფორმა.

► პირდაპირი კითხვის ტაქტიკა

ეს ტაქტიკა ემსახურება რამდენიმე სტრატეგიის განხორციელებას, მაგრამ ყველაზე ხშირად გამოიყენება ინფორმაციული დიალოგების დროს, მაგალითად:

What is the diameter of the turning circle?

Каков диаметр циркуляции?

როგორია ცირკულაციის დიამეტრი?

What are the maximum revolutions?

Каково максимальное число оборотов

რამდენია ბრუნვის მაქსიმალური რიცხვი?

ყველაზე მეტ პირდაპირ კითხვას მოიცავს ლოცმანის (ზოგიერთ შემთხვევაში იყენებენ ინგლისური წარმოშობის ტერმინს — პილოტს) საუბარი ეკიპაჟის წარმომადგენლებთან, ვინაიდან ლოცმანი უნდა ფლობდეს აუცილებელ ინფორმაციას მისთვის უცნობი გემის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ, მაგალითად:

Is extra power available in an emergency?

Имеется ли дополнительная мощность на случай чрезвычайной ситуации?

დამატებითი ენერჯია შესაძლებელია საგანგებო სიტუაციაში?

Yes, extra power is available. / No, extra power is not available.

Да, дополнительная мощность имеется. /

Нет, дополнительной мощности не имеется.

დამატებითი ენერჯია საგანგებო სიტუაციაში გაგვაჩნია. /

დამატებითი ენერჯია საგანგებო სიტუაციაში არ გაგვაჩნია.

როგორც უკვე ვისაუბრეთ ზემოთ, პირდაპირი კითხვის ტაქტიკის გამომხატველი საშუალებები არის ფრაზის/წინადადების კითხვითი ფორმა, რომელიც განსხვავდება სამივე ენაში განსხვავებული სინტაქსური წყობის გამო და სპეციალური კითხვით სიტყვები (*What, Каков, როგორია, რამდენია და სხვ.*).

► **ინფორმაციის დაზუსტების ტაქტიკა:**

ეს ტაქტიკა პირდაპირი კითხვების ტაქტიკასთან ერთად გამოიყენება ინფორმაციული დიალოგების დროს, მხოლოდ თვითონ კითხვის არსი არის განსხვავებული: პირდაპირი კითხვა ისმება, როდესაც ინფორმაციას საერთოდ არ ფლობენ (— როგორია ცირკულაციის დიამეტრი? — უცნობია ინფორმაცია), ინფორმაციის დაზუსტების ტაქტიკა კი განსხვავდება იმით, რომ დასახელებულია ორი ვარაუდი და დასაზუსტებელია, რომელი ვარიანტია სწორი ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად:

Is the engine a diesel or a turbine?

Двигатель – дизель или турбина?

ძრავა დიზელია თუ ტურბინა?

The engine is a diesel (turbine).

Двигатель – дизель (турбина).

ძრავა დიზელია (ტურბინა).

ინფორმაცია იმ შემთხვევაშიც ზუსტდება, როდესაც კონკრეტული სიტუაციის პირობები კონკრეტდება:

How do you read me?

Как вы меня слышите?

როგორ გესმით ჩემი?

ამიტომ საპასუხო რეპლიკებიც პირდაპირი კითხვის დროს და ინფორმაციის დაზუსტების დროს განსხვავებულია.

Is there sufficient depth there?

Достаточно ли там глубина?

საკმარისი თუ არის სიღრმე?

ინფორმაციის დაზუსტების ტაქტიკის მაჩვენებლები ემთხვევა პირდაპირი კითხვის ტაქტიკის მარკერებს.

► **რჩევის ტაქტიკა:**

ეს ტაქტიკა ძირითადად ახორციელებს კოოპერაციული/არაკონფლიქტური ურთიერთობის სტრატეგიას, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება სხვა სტრატეგიების გამოსახატავადაც. ეს ტაქტიკა დამახასიათებელია დემოკრატიული კომუნიკაციის პირობებში, როდესაც ორივე კომუნიკანტი თანაბარ პოზიციაზეა, ან მოწვეული სპეციალისტი აძლევს რჩევებს გემის კაპიტანს და სხვ.

მაგალითად:

Advise you to stop engine.

Советую вам застопорить машину.

გირჩევთ, მანქანა გააჩეროთ.

| | |
|--|---|
| Предлагаю разойтись левыми бортами. Подтвердите. | I advise port to port (red to red). Please confirm. |
| Предлагаю разойтись правыми бортами. Подтвердите | I advise starboard to starboard (green to green). Please confirm. |
| Советую вам пройти по корме моего судна. | Advise you pass astern of me. |
| Советую вам застопорить машину. | Advise you to stop engine. |

რჩევის ტაქტიკის გამოხატვის საშუალებებში წინადადებების ინტორნაციურ-სტრუქტურული აგებულების გარდა არის ლექსიკურ-სემანტიკური ელემენტები: ინგლისურ ენაში – *advise*; რუსულში – *советую, предлагаю*; ქართულში – *გირჩევთ, გთავაზობთ* და სხვ.

■ **თხოვნის ტაქტიკა:**

ამ ტაქტიკის გამომხატველი სტანდარტული პროფესიული ფრაზები პირობითად შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება იერარქიული კომუნიკაციის დიალოგები, როდესაც ქვემდგომი მიმართავს თავის უფროსს თხოვნით, დართოს ნება კონკრეტული ქმედების შესასრულებლად, მაგალითად:

Please permit me to proceed.

Прошу разрешение начать движение.

გთხოვთ, დაართოთ ნება დავიწყო მოძრაობა.

თხოვნის ლექსიკურ-სემანტიკური მაჩვენებლებია: *Please, Прошу*, *გთხოვთ*.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება დემოკრატიული კომუნიკაციის დიალოგები, როდესაც თანასწორუფლებიანი კომუნიკანტები ამყარებენ პროფესიულ ურთიერთობას, მაგალითად, ორი გემის კაპიტანის საუბარი გემების მანევრირების დროს მათი აცილების მიზნით:

| | |
|-----------------------------|-----------------------------------|
| Прошу изменить курс вправо. | Please alter course to starboard. |
|-----------------------------|-----------------------------------|

| | |
|---------------------------|-----------------------------|
| Прошу изменить курс влево | Please alter course to port |
|---------------------------|-----------------------------|

| | |
|-----------------------------|--------------------------------|
| Прошу сбавить ход до малого | Please slow down to slow ahead |
|-----------------------------|--------------------------------|

ამ შემთხვევაში თხოვნის ლექსიკურ-სემანტიკური მაჩვენებლები არ იცვლება.

■ გაფრთხილების ტაქტიკა:

გაფრთხილების, შეთავაზების და ვარაუდის ტაქტიკა გამოიყენება პროფესიულ საზღვაო კომუნიკაციაში, მაგრამ ზემოთ გაანალიზებულ ბრძანების, პირდაპირი კითხვის და ინფორმაციის დაზუსტების ტაქტიკასთან შედარებით ნაკლები სიხშირისაა, თანაც ისინი უფრო ადვილად ერგება განსხვავებული სტრატეგიების განხორციელებას, მაგალითად:

გაფრთხილება, რომელიც ემსახურება კოოპერაციული ურთიერთობის და ურთიერთგაგების სტრატეგიებს:

I intend to overtake you on your port side.

Я намерен обогнать вас по левому борту.

მე ვაპირებ თქვენი გასწრებას მარცხენა ბორტიდან.

I intend to overtake you on your starboard side

Я намерен обогнать вас по правому борту.

მე ვაპირებ თქვენი გასწრებას მარჯვენა ბორტიდან.

ასეთი ტიპის გაფრთხილება შედარებით ხშირია ორი გვერდით მყოფი გემის მანევრირების დროს, როდესაც მომავალი ქმედებების ინფორმაცია საჭიროა სახიფათო სიტუაციის ასაცილებლად.

| | |
|----------------------------------|--|
| Я намерен работать задним ходом. | I intend to operate propulsion astern. |
|----------------------------------|--|

| | |
|---|---|
| Я намерен обогнать вас по левому борту. | I intend to overtake you on your port side. |
|---|---|

| | |
|----------------------------|--------------------------------------|
| Я изменяю свой курс вправо | I am altering my course to starboard |
|----------------------------|--------------------------------------|

ზოგიერთი გაფრთხილება კი უშუალოდ სახიფათო სიტუაციაში მყოფი გემის გადარჩენის მიზნით გამოიყენება, მაგალითად:

| | |
|-----------------------------------|--|
| Вы следуете прямо на мель! | You are running aground! |
| Остаться на этом месте опасно! | It is dangerous to remain in the present position! |
| Вы находитесь в опасном месте! | You are in dangerous position! |
| Ваши навигационные огни не видны! | Your navigation lights are not visible! |

მსგავსი სტანდარტული ფრაზები მტკიცებითი ხასიათისაა, ხშირად ძახილის წინადადებებით არიან გამოხატული, ხანდახან – უარყოფითი წინადადებებით:

Do not pass ahead of my course!

Не пересекайте моего курса

არ გადალახოთ ჩემი კურსი!

► **შემოთავაზების ტაქტიკა:**

Let us pass each other port to port (starboard to starboard).

Давайте разойдемся левыми (правыми) бортами.

მოდით, დავშორდეთ ერთმანეთს მარცხენა ბორტიდან.

We can overtake that ship on our starboard (port) side.

Мы можем обогнать это судно с нашего правого (левого) борта.

ჩვენ შეგვიძლია გავასწროთ ამ გემს ჩვენი მარჯვენა (მარცხენა) ბორტიდან.

► **ვარაუდის ტაქტიკა:**

საზღვაო საქმიანობას უყვარს სიზუსტე, ამიტომაც პროფესიულ ურთიერთობაში იშვიათია ვარაუდის ტაქტიკა. ქვემო მოყვანილი სტანდარტული ფრაზები გამოიყენება ძირითადად სიტუაციებში, როდესაც დაზიანების შემთხვევაში უფროსმა უნდა იცოდეს დაახლოებით მაინც რამდენ ხანში იქნება ეს ნაკლი ლიკვიდირებული, მაგალითად:

Трюмные вентиляторы будут
приведены в рабочее состояние
через ... минут.

The hold ventilators will be operational
in ... minutes.

Электродвигатель лебедки № ...
будет в рабочем состоянии через ...
минут.

The winch motor of No. ... derrick will
be operational in ... minutes.

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოთ მოყვანილი ტაქტიკა გამოხატულია მსგავსი კონსტრუქციებით ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენებში, მაგრამ ენობრივი სისტემების განსხვავებული შესაძლებლობების გამო აღნიშნული ტაქტიკების გამოხატვის ენობრივი საშუალებები განსხვავებულია სამივე ენაში.

3.3. ინტერკულტურული კომუნიკაციის მთარგმნელობითი პრობლემები

პროფესიული ტექსტების და სამეტყველო სტანდარტული ფრაზების თარგმანის შესწავლა დღესდღეობით რთულ პრობლემას წარმოადგენს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ათეული წლების განმავლობაში ქართული საზღვაო პროფესიებისთვის კადრებს რუსულ ენაზე ამზადებდნენ. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სწავლების ენა ქართული იყო, სახელმძღვანელოები, ენციკლოპედიები და ლექსიკონები ძირითადად რუსულენოვანი იყო. თვით ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაშიც კი ჭარბობდა რუსული კალკები ან ბარბარიზმები.

მეოცე საუკუნის ბოლოს, როდესაც საქართველომ თავისუფლება მოიპოვა, მისი ევროპისკენ სწრაფვა გამოიხატა იმითაც, რომ სწრაფი ტემპებით იქმნებოდა სასწავლო ლიტერატურა მშობლიურ ენაზე, გეზი აღებული იყო ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ენის, შესწავლაზე. კერძო თარგმანმაც შეცვალა ორიენტირი და რუსულ-ქართული თარგმნის ნაცვლად მეცნიერებისა და მთარგმნელო-პრაქტიკოსების ყურადღება იყო მიმართული ინგლისურ-ქართულსა და ქართულ-ინგლისურ თარგმანზე, ამიტომ სწრაფი ტემპებით განვითარდა თარგმანის სპეციალური თეორია, რომელიც იკვლევს სხვადასხვა სახის თარგმანის (ზეპირი,

წერილობითი, სინქრონული, თანმიმდევრული და ა.შ.) სპეციფიკას. გარდა ამისა, იგი შეისწავლის განსხვავებული ჟანრის ტექსტების თარგმანის თავისებურებებს (მაგალითად: ტექნიკური ტექსტების თარგმანი, იურიდიული თარგმანი, საზღვაო ტერმინოლოგიის თარგმანი და სხვ.).

პროფესიული დისკურსის თარგმნა უამრავ პრობლემას მოიცავს, რომლებიც შესწავლილია თარგმანმცოდნეობის ზოგად (ვ.კომისაროვი, კ.გარბოვსკი, ი.ნაიდა, ა.შვეიცერი, ლ.ბარხუდაროვი და სხვ.) და კერძო თეორიებში (ვ.ფრომკინი, გ.წიბახაშვილი, ტ.კანდელაკი, ზ.ბეჯანოვი და სხვ.). გარკვეულ წილად ტერმინოლოგიური და მთარგმნელობითი საკითხები განხილულია სპეციალურ საზრვაო ლიტერატურაში (ლ.კამინსკაია, ბ.კიტაევიჩი, ნ.პატარაია, მ.გაბუნია და სხვ.).

ამავდროულად გრძელდება ინტენსიური კვლევები ინგლისური და ქართული ენობრივი სისტემების შეპირისპირებაში, ქართულ-ინგლისურ ლექსიკოგრაფიაში, მაგრამ ნებისმიერი თეორიული ძიება მტკიცდება პრაქტიკით. რაც შეეხება საზღვაო კომუნიკაციისთვის განკუთვნილ სტანდარტულ ფრაზებს (ზემოთ ხსენებული IMO-ს კრებული), მათი ქართული ვარიანტები, რომლებიც მხოლოდ ტიპურ სიტუაციებს მოიცავენ, ფუნქციონირებენ შეზღუდულ სფეროში: დიდაქტიკურ დისკურსში (ანუ ახალგაზრდა ქართველი მეზღვაურთა კადრების მომზადების პროცესში) და ცალკეული კატარღის პატარა ეკიპაჟებში. ძირითადად ქართველი მეზღვაურები პროფესიულ მოღვაწეობას ეწევიან მრავალეროვნული ეკიპაჟების შემადგენლობაში.

პროფესიული დისკურსის მთარგმნელობითი პრობლემები.

როგორც ელექტრონული გაზეთი „The Maritime Telegraph” უზიარებს თავის მკითხველებს, შერეული მრავალეროვნული ეკიპაჟები მსოფლიო ფლოტის 80% ემსახურება (<http://www.mtelegraph.com/history-of-mixed-crew.html>).

ეს გახდა შესაძლო ბოლო ოცი წლის განმავლობაში, როდესაც ინტერნეტის მეშვეობით შეიქმნა სააგენტოების და სპეციალური ორგანიზაციების მსოფლიო ქსელი, რომლებსაც გააჩნიათ პროფესიონალი მეზღვაურთა მონაცემების ელექტრონული ბაზა და ისინი არეგულირებენ მეზღვაურთა დასაქმებას.

ასეთ სიტუაციაში საერთოდ იბადება კითხვა – გვჭირდება კი ინგლისური საზღვაო ფრაზარიუმის ქართულ ენაზე თარგმნა და დახვეწა? იმისთვის, რომ ამ კითხვას ვუპასუხოთ, ჯერ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, სჭირდება თუ არა საქართველოს საზღვაო სავაჭრო ფლოტი?

ამ კითხვაზე ძალიან დამაჯერებელი პასუხი გასცა საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის პრეზიდენტმა, პაატა ცაგარეიშვილმა: – „რა თქმა უნდა, დიახ“ (<https://report.ge/economics/schirdeba-tu-ara-sakartvelos-sazghvao-savachro-floti/>).

მას მოჰყავს ყაზახეთის მაგალითი, რომ მისი სტრატეგიაც საზღვაო სფეროში ძალიან შედეგიანი აღმოჩნდა. საქართველოს არ გააჩნია ისეთი ძლიერი ეკონომიკური ბაზა, როგორც ყაზახეთს, მაგრამ ჩვენ საზღვაო ქვეყანა ვართ და ძალიან მნიშვნელოვანი არეალი გვიკავია, ამიტომ სავაჭრო ფლოტის შექმნა არის საქართველოს მომავლის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ნაბიჯი. ქართულენოვანი საზღვაო კადრების მომზადება კი უკვე დაწყებულია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები ინტენსიურად მუშაობენ ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დახვეწაზე, ტიპური ფრაზარიუმების შედგენაზე, აგრეთვე საზღვაო დისკურსის თარგმნის პრობლემების შესწავლაზე. ზემოთ მითითებულ სახელმძღვანელო ლიტერატურაში მოყვანილი ტიპური ფრაზების თარგმანმა მოგვცა საშუალება, გამოვყოთ საზღვაო დისკურსის თარგმნის შემდეგი პრობლემები.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად თარგმანში გვხვდება ლექსიკური შეცდომები და უზუსტობები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით არიან გამოწვეული.

► თარგმნის ლექსიკური პრობლემები:

ა) ერთიანი მდგრადი ტერმინოლოგიური სისტემის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მეტ-ნაკლებად არის დასრულებული ინგლისურსა და რუსულ ენებში, მაგრამ დახვეწის პროცესშია ქართულ ენაში.

ქართულ ენაზე ტერმინების თარგმნისას რუსული ან ინგლისური ენიდან ჭარბობს ტრანსკრიბირებული ან კალკირებული ტერმინები: *დრელი* (*საბურღის* ნაცვლად); *ბრაშპილი* (*ლუზის საწევის* ნაცვლად);

შესაძლოა ბრძანებების ტრანსკრიბირება, მაგალითად:

Slamming *Слеминг* *სლემინგი*

„slam - ტყლაშუნი

კორპუსის ცხვირისეული დაბოლოების ფსკერისეული ნაწილის წყალზე დარტყმის მოვლენა გემის ხანგრძლივი რწევის დროს, შემხვედრ ტალღებზე მოძრაობისას“

(<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=40&t=3199>)

ქართულ ენაში ხშირად გამოყენებულ ტრანსკრიბირებული ან კალკირებული ფორმებიდან ძალიან დიდ ჯგუფს წარმოადგენს ინგლისური ან სხვა ენებიდან შემოსული საზღვაო და ტექნიკური ხასიათის ტერმინები, რომლებიც ჯერ რუსულ ენაში გამყარდა, შემდეგ კი ამ ენის მეშვეობით გავრცელდა ქართულში. საინტერესო ეტიმოლოგია აქვს საზღვაო ბრძანებას, რომელიც ზუსტად ზემოთ აღწერილი გზით შემოვიდა ქართულში. ინგლისურ ბრძანებას *Over all!* იყენებდნენ ბრიტანეთის ფლოტში, როდესაც იალქნები იყო დასაყენებელი და ეკიპაჟის თითქმის ყველა წევრის ერთიანი ძალისხმევა იყო საჭირო. შემდგომში მისი დანიშნულება შეიცვალა.

როგორც საზღვაო ლექსიკონი განმარტავს, ამ ბრძანებას იყენებენ ხომალდზე (გემზე) ისეთი სამუშაოს დროს, რომელსაც „ასრულებს ერთდროულად მთელი ეკიპაჟი ან მისი დიდი ნაწილი. თანამედროვე ხომალდებზე **ავრალი** ცხადდება გემსაბმელებზე ან ლუზაზე დადგომის (მოხსნის) დროს, დოკში დაყენებისა ან გამოსვლისას, ხომალდის დასუფთავება-დალაგების დროს და სხვ.“

(<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=40&t=1491>).

რუსულ ენაში ეს ბრძანება იყო გადათარგმნილი, როგორც «*Все наверх!*», მაგრამ საზღვაო კომუნიკაციის რეალურ პრაქტიკაში გავრცელდა ორიგინალური ფრაზის დამახინჯებული ფორმა «*Аврал!*», რომელიც შემდეგ შეიცვალა ქართულ ენაში როგორც „ავრალი“. ეს ბრძანებითი ხასიათის ფრაზა იმდენად პოპულარული გახდა, რომ გამოვიდა საზღვაო დისკურსის ფარგლების გარეთ და ახლა გამოიყენება ნებისმიერ

საქმიან სფეროში სასწრაფო და დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულების აღსანიშნავად.

ბ) საკმაოდ ხშირია ინგლისურ ენაში სტანდარტული ფრაზების ვარიანტები, რომლებშიც სინონიმები გამოიყენება. ამ შემთხვევაში თარგმნისას მხოლოდ ერთი ვარიანტის შენარჩუნების ტენდენცია შეინიშნება, მაგალითად:

Decelerate (reduce) speed / Slow down

ამ ფრაზების ზუსტი თარგმანია:

Замедлить (уменьшить) скорость; Помедленнее

მაგრამ პროფესიულ კომუნიკაციაში რუსულ ენაზე გამოიყენება ბრძანება

Снижать скорость : შემცირეთ სიჩქარე

Altering course / Change of course

Изменение курса.

კურსის შეცვლა

Поворотливость

Turning effect / Turning ability

Увеличение скорости

Acceleration / Increase speed

გ) თარგმნის ლექსიკურ პრობლემებს მიეკუთვნება აგრეთვე ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი აბრევიატურები. რუსულ ენაშიც კი, სადაც აბრევიატურები საკმაოდ გავრცელებულია, მათი თარგმნა სირთულეს წარმოადგენს. როგორც ცნობილია ქართული ენა ერიდება აბრევიატურებს, რაც პრობლემას წარმოადგენს.

ლინგვისტიკაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, „აბრევიატურა არის სიტყვიერი შემოკლების სახე, რომელიც, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, წარმოადგენს ერთი ან ერთზე მეტი სიტყვა-ფორმისაგან შედგენილი ტერმინის ან საკუთარი სახელის (ონიმის) პირობით და იმავდროულად შეპირობებულ ასოით გამოსახულებას. იგი, როგორც წესი, ეფუძნება შემადგენელი სიტყვების ინიციალურ (აკრონომულ) შეერთებას ჩვეულებრივ, დამხმარე სიტყვების (კავშირ-ნაწილაკთა) გარეშე და, იშვიათად, მათი ჩათვლით“ (აფრიდონიძე, 2004:222).

ქართულ ენას, რომელსაც ასოსა და ბგერის თითქმის იდეალური შესატყვისობის გამო უპირატესობა აქვს სხვა ენებთან შედარებით, აბრევაციის საკითხში შეუდარებლად მცირე შესაძლებლობები აქვს.

აბრევაცია, როგორც ლინგვისტური ფენომენი, სწრაფად ვითარდება, რასაც ხელს უწყობს სამეცნიერო, ტექნიკური რევოლუცია და საინფორმაციო ნაკადის სწრაფი ზრდა, ამიტომ აბრევიატურები უხვად გვხვდება სამეცნიერო ტექსტებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტექსტებში, თუმცა ყველაზე მეტად ისინი გავრცელებულია პროფესიული ხასიათის ტექსტებში. ზოგიერთ შემთხვევაში აბრევიატურის არცოდნას და არასწორ თარგმანს შეუძლია სახიფათო სიტუაციაში ჩააგდოს გემის ეკიპაჟი.

მოვიყვანო საზღვაო კომუნიკაციაში ხშირად გამოყენებად აბრევიატურებს, რომელთა ცოდნა აუცილებელია იმ მთარგნელისთვის, ვინც ამ პროფესიულ სფეროში მუშაობს:

| | | |
|-----------------|---|---|
| AA | Alarm area | Место подачи сигнала опасности |
| AUTO STC | Automatic sensitivity time control | Авторегулировка сигналов дальней зоны |
| AIS | Automatic Identification System | Система автоматической идентификации |
| BCR / BCT | Bow cross range / Bow cross time | Дистанция / Время пересечения курса |
| BRG или BEARING | Bearing of the target | Пеленг на цель |
| CENT | Bearing marker is centered on own ship | Пеленгатор из центра экрана (от судна) |
| CENTDISP | Center display | Смещение центра |
| EBL | Electronic bearing line | Электронный визир направления |
| EBM | Electronic bearing marker | Электронный маркер пеленга |
| LST | Local Standard Time | Местное стандартное время |
| MAP/READ | Reading and display of the stored route map | Чтение и воспроизведение из памяти карты пути |

| | | |
|----------------|--|---|
| MODE/REF POINT | Setting of reference points on the route map | Установка опорных точек на карте пути |
| PAD | Predicted area of danger | Предполагаемый район опасности |
| PCB | Printed circuit board | Печатная плата (схема) |
| PLOT | Display of plot mark | Фиксация маркером положения цели |
| PPC | Point of possible collision | Точка возможного столкновения |
| PRF | Pulse repetition frequency | Частота повторения |
| STEP | Step | Пошаговая имитация маневра |
| STC | Sensitivity time control | Подавление помех от моря |
| TCPA | Input of time to closest point of approach (alarm) | Введение времени кратчайшего сближения (сигнализация) |
| TM | True motion | Истинное движение |
| VECTR ON/OFF | Vectors of the plotted targets on / off | Включение / Выключение векторов захваченных целей |

და სხვ.

დამატებით სირთულეს ქმნის საზღვაო და ფართოდ გამოყენებადი აბრევიატურების დამთხვევა, ანუ, აბრევიატურების ომონიმის შემთხვევები, მაგალითად:

BCT ექსიკური *Bow cross time* - *Время пересечения курса*

BCT - *Broward Country Transit* – *Транзит округа Бровард*

BC – *Bulk cargo* (*насыпной груз - ნაყარი ტვირთი*);

BC – *Birth Certificate* (*свидетельство о рождении - დაბადების*

მოწმობას) და სხვ.

ომონიმის მსგავსი შემთხვევები შეინიშნება საზღვაო და სხვა სამეცნიერო

სფეროებს შორის, მაგალითად:

საზღვაო დისკურსში

PAD - *Predicted area of danger* - *Предполагаемый район опасности* -

საფრთხის სავარაუდო არე

სამედიცინო დისკურსში

PAD - Peripheral artery disease - Заболевание периферических артерий

პერიფერიული არტერიების დაავადება.

თარგმნის ლექსიკურ პრობლემებს წარმოადგენს აგრეთვე რეალიების ტრანსკოდირების სირთულეები, მაგრამ რეალიები უფრო ხშირად გამოიყენება მეზღვაურთა პირადულ საუბრებში. ჩვენ კი გაანალიზებული გვაქვს საქმიან სფეროში გამოყენებული სტანდარტული ფრაზები, რომლებშიც ეროვნული ხასიათის რეალიები თითქმის არ გვხვდება, სამაგიეროდ, ისინი ახასიათებენ საზღვაო სლენგს, რომლის ანალიზი არ შედიოდა ჩვენი კვლევის მიზნებში.

■ თარგმნის გრამატიკული პრობლემები

ყველა ენას განსხვავებული გრამატიკული შესაძლებლობები აქვს. ადეკვატური თარგმანი მოითხოვს შინაარსისა და ფორმის მაქსიმალურად შენარჩუნებას. როდესაც ჩვენ ინგლისური ენიდან ვთარგმნით, მთელი რიგი გრამატიკული თავისებურების გამო ფრაზა წყობას იცვლის, ან არტიკლებისა და დამხმარე ზმნების გამო ინგლისური ვარიანტი უფრო დიდია, ვიდრე – რუსული ან ქართული, მაგალითად:

| | |
|---|--------------------------------------|
| Право руль! | Starboard the helm! |
| Лево руль! | Port the helm! |
| Право на борт! | Hard — a — starboard! All starboard! |
| Лево на борт! | Hard — a — port! All port! |
| ხანდახან, პირიქით, რუსული ენისთვის დამახასიათებელი რთული კონსტრუქციები „ამძიმებს“ ბრძანებებს, ამას ხელს უწყობს რუსული ენის მიმღეობა, ზედსართავი სახელების აღმატებით ხარისხი და სხვ., მაგალითად: | |
| Диаметр установившейся циркуляции | Final diameter |
| Информация о маневренных характеристиках | Maneuvering information |
| Наименьшая скорость, при которой судно слушается руля | Steerage way |
| Передний ход, инерция переднего хода | Headway |

ტრანსკოდირების შემთხვევაში იცვლება წინადადებების წევრების განლაგება, ფრაზის წყობა განსაკუთრებული სიმკაცრით ხასიათდება ინგლისურ ენაში, რუსულში წყობა თავისუფალია. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე თარგმნისას არსებობს ფრაზის „შებრუნების“ ტენდენცია, ვინაიდან ზმნა ასრულებს წინადადებას, ჩვენ მიერ გაანალიზებულ სტანდარტულ საზღვაო ფრაზებში ეს შემთხვევები არ იყო აღმოჩენილი.

■ კულტურული წეს-ჩვეულებების არცოდნით გამოწვეული პრობლემები

ინფორმაციის გამგზავნელის შეტყობინება, როგორც წესი, ისეთ ადრესატზეა ორიენტირებული, რომელიც საკმარისად ინფორმირებულია ამ შეტყობინების გასაგებად. იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნელი შეცდა და რეცეპტორი არ ფლობს საჭირო ინფორმაციას, კომუნიკაცია არ იქნება წარმატებული. როგორც აღვნიშნეთ, მთარგმნელი ეხმარება ადრესატს ლინგვოეთნიკური ბერიერის დაძლევაში და იგი ხშირად ითვალისწინებს, რომ ორიგინალის ადრესატისგან განსხვავებით, თარგმანის ადრესატს შეიძლება არ ჰქონდეს შეტყობინების გასაგებად საჭირო ფონური ცოდნა. ამის გამოსასწორებლად მთარგმნელებს უწევთ სხვადასხვა ცვლილების შეტანა ორიგინალში.

ეს ფონური ცოდნა შეიძლება ეროვნულ, კულტურულ, ან ისტორიულ ხასიათს ატარებდეს. ის მოიცავს ქვეყნის ისტორიას, გეოგრაფიულ არეალს, მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარების ისტორიას და სხვა ხასიათის ინფორმაციას. ყოველივე ამას თარგმანის თეორიაში რეალიებს უწოდებენ.

ამრიგად, ლინგვოეთნიკური ბარიერის ძირითად ფაქტორებს მიეკუთვნება წყარო და სამიზნე ენებზე მოსაუბრეთა განსხვავებული კომუნიკაციური კომპეტენტურობა. მთარგმნელი გარკვეულწილად გარდაქმნის ორიგინალის ტექსტს, რომ მასში მოცემული ინფორმაცია გასაგები გახდეს თარგმანის მკითხველისათვის და იგივე ზეგავლენა მოახდინოს მასზე, როგორც ორიგინალის მკითხველზე. ამისთვის მას ხშირად უწევს შესწორებების შეტანა ნორმის, უზუსისა და თარგმანის ადრესატის ფონური ინფორმაციის გათვალისწინებით.

მსგავსი ცვლილებები შემჩნეულია, ძირითადად, არაოფიციალურ საზღვაო კომუნიკაციაში. პროფესიული ურთიერთობებს ახასიათებს სხვა სიტუაცია მიუხედავად იმისა, რომელ ქვეყანას და ეროვნებას წარმოადგენს ეკიპაჟის ახალი წევრი, ყველა კომუნიკანტს აქვს მიღებული მსგავსი განათლება რომელიმე საზღვაო პროფესიის ფარგლებში, მათ შორის ვიწრო სპეციალიზაციის დისციპლინების გარდა, ისინი გადიან ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს, რომლების მიზანია ზოგადი ფონური ცოდნის გამომუშავება (გეოგრაფია, მსოფლიოს ისტორია, ინგლისური ენის ზოგადი კურსი, ნაოსნობის განვითარების ისტორია და სხვ.).

შეიძლება შევაჯამოთ პრობლემები, რომლებიც არსებობს საზღვაო კომუნიკაციაში საერთაშორისო ინგლისური ენის ფუნქციონირების მიუხედავად:

- მრავალეროვნული ეკიპაჟების პროფესიულ საქმიანობაში შეიმჩნევა ფონეტიკური ინტერფერენციით გამოწვეული უზუსტობები და გაუგებრობები;
- მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენის სერტიფიკატი აუცილებელია ყველა მეზღვაურისთვის, მათს მეტყველებაში შეიმჩნევა სამეტყველო პრაქტიკის ნაკლებობით გამოწვეული ხარვეზები;
- ინგლისური ენის ძალიან განსხვავებული „ეროვნული ვარიანტების“ არსებობა საგრძნობლად უშლის ხელს წარმატებულ პროფესიულ კომუნიკაციას, ამიტომ, როდესაც წარუმატებელი ურთიერთობა გახდა მთელი რიგი სახიფათო სიტუაციის მიზეზი, უკვე გამკაცრდა ინგლისური ენის ჩაბარება სპეციალურ პროფესიულ საერთაშორისო ენობრივ ცენტრებში;
- კულტურული ფონური ინფორმაციის უქონლობა არის მეზღვაურთა ურთიერთობის წარუმეტებლობის მიზეზი ძირითადად არაოფიციალურ დემოკრატიული კომუნიკაციის ფარგლებში, ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში.

საზღვაო კომუნიკაციას, რა ენაზეც უნდა ხორციელდებოდეს, აქვს გარკვეულწილად მსგავსი ნიშან-თვისებები, მსგავსი სტრატეგიები, რაც, პირველ რიგში, გამონათქვამის ერთიანი ილოკუციური ძალით არის განპირობებული. ჩვენს ნაშრომში განხილული საზღვაო კომუნიკაციაში გამოყენებადი სამეტყველო სტრატეგიები (იმპერატიული ურთიერთობის სტრატეგია, ინფორმაციული

დიალოგების, კოოპერაციული არაკონფრონტაციული ურთიერთობის სტრატეგია, ურთიერთგაგების სტრატეგია, მანიპულირების სტრატეგია) არ ამოწურავენ საზღვაო კულტურათმორისი ურთიერთობის სპეციფიკას, მაგრამ ისინი ახასიათებენ ძირითადად ტიპურ სიტუაციებს, რომლებიც ხშირად გვხვდება მეზღვაურთა პროფესიულ საქმიანობაში.

სამივე ლინგვოკულტურაში საზღვაო კომუნიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე ტაქტიკა გავაანალიზეთ გამოყენების სიხშირის მიხედვით: ყველაზე გამოყენებად ტაქტიკად აღიარებულია ბრძანება, შემდეგ მოდის პირდაპირი კითხვების, ინფორმაციის დაზუსტების, რჩევის, გაფრთხილების ტაქტიკა; შედარებით ნაკლები სიხშირით გამოიყენება შემდეგი თხოვნის, შემოთავაზების, ვარაუდის ტაქტიკა.

მესამე თავში განხილული საკითხები შეიძლება შევაჯამოთ შემდეგი დასკვნებით:

საზღვაო კომუნიკაციას, რა ენაზეც უნდა ხორციელდებოდეს, აქვს გარკვეულწილად მსგავსი ნიშან-თვისებები, რომლებიც, პირველ რიგში, გამონათქვამის ერთიანი ილოკუციური ძალით არის განპირობებული, მსგავსი სტრატეგიები გამოიყენება. ჩვენს ნაშრომში განხილული საზღვაო კომუნიკაციაში გამოყენებადი სამეტყველო სტრატეგიები (იმპერატიული ურთიერთობის სტრატეგია, ინფორმაციული დიალოგების, კოოპერაციული არაკონფრონტაციული ურთიერთობის სტრატეგია, ურთიერთგაგების სტრატეგია, მანიპულირების სტრატეგია) არ ამოწურავენ საზღვაო კულტურათმორისი ურთიერთობის სპეციფიკას, მაგრამ ისინი ახასიათებენ ძირითად ტიპურ სიტუაციებს, რომლებიც ხშირად გვხვდება მეზღვაურთა პროფესიულ საქმიანობაში.

ჩვენს ნაშრომში კომუნიკაციური ტაქტიკის ცნება გააზრებულია, როგორც მინიმალური სამეტყველო ქმედება, რომელსაც მივყავართ მოსაუბრის მიზანთან არჩეული სამეტყველო სტრატეგიის ჩარჩოებში. სამივე ლინგვოკულტურისთვის საზღვაო კომუნიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე ტაქტიკა გავაანალიზეთ გამოყენების სიხშირის მიხედვით: ყველაზე გამოყენებად ტაქტიკად აღიარებულია ბრძანება, შემდეგ მოდის პირდაპირი კითხვების ტაქტიკა, ინფორმაციის

დაზუსტების ტაქტიკა, რჩევის, გაფრთხილების ტაქტიკა; შედარებით ნაკლები სიხშირით გამოიყენება შემდეგი თხოვნის, შემოთავაზების, ვარაუდის ტაქტიკა.

რაც შეეხება სტანდარტული ფრაზების თარგმნის პრობლემებს, ჩვენ გამოვყავით სამი ძირითადი ჯგუფი: 1) თარგმნის ლექსიკური პრობლემები; 2) გრამატიკული პრობლემები, რომლებიც განპირობებულია ენობრივი სისტემების განსხვავებული შესაძლებლობებით; 3) კულტურული წეს-ჩვეულებების უცოდინრობით გამოწვეული პრობლემები, რომლებიც კონცენტრირებულია მეზღვაურთა არაოფიციალურ ინტერკულტურულ კომუნიკაციაში.

საზღვაო სტანდარტულ ფრაზებში ყველაზე მრავლად წარმოდგენილია ლექსიკური თავისებურებებით განპირობებული ხარვეზები, კერძოდ, ტერმინების თარგმანში ჭარბობს ტრანსკრიბირებული და კალკირებული ფორმები, რომლებიც ბრძანებებშიც გვხვდება; ასევე სინონიმით და ომონიმით გამოწვეული სირთულეები; განსაკუთრებულ პრობლემას ქართულ ენაზე თარგმნისას წარმოადგენს საზღვაო აბრევიატურები, რომლებიც მრავლად გამოიყენება ინგლისურსა და რუსულ ენებში.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად ჩვენ მივიღეთ შემდეგი დასკვნა: თანამედროვე პოლიკულტურულ საზოგადოებაში გლობალიზაციისა და სავაჭრო ეკონომიკის პირობებში ძალიან გაიზარდა წარმატებული კომუნიკაციის მნიშვნელობა, მათ შორის პროფესიულ სფეროშიც. კომუნიკაციის თეორია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, რომლის ჩამოყალიბება დიდწილად იყო განპირობებული სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებით, ამიტომ კომუნიკაციის სახეობების შესწავლა და მათი წარმატებულობა-წარუმატებლობის მიზეზები შესწავლის პროცესშია და მოითხოვს ინტერდისციპლინურ კვლევებს (ლინგვისტური, ლინგვოკულტუროლოგიური, ფსიქოლინგვისტური, სოციოლინგვისტური, ტექსტუალური, სემიოტიკური ხასიათის).

თანამედროვე ანთროპოცენტრისტული ლინგვისტური პარადიგმის ფარგლებში, როდესაც ყურადღების ცენტრში „მოლაპარაკე ადამიანია“ (Homo loquens), კომუნიკაციის თეორიის გარდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეტყველო პრაქტიკის შესწავლას და განზოგადებას საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, პროფესიულშიც.

კომუნიკაციის თეორიაში ერთ-ერთი წამყვანია სამეტყველო აქტების თეორია, რომელშიც განხილულია სამეტყველო ქცევის სტრატეგია და ტაქტიკა. სამეტყველო აქტს კი განიხილავენ, როგორც ნორმალურ სოციოსამეტყველო ქცევას, ფუნქციონირებადს პრაგმატიკული სიტუაციის ფარგლებში. აქედან გამომდინარე გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული ურთიერთობის ტიპური სიტუაციების შესწავლას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული პროფესიული დისკურსი ამ თვალსაზრისით წარმოადგენს Terra incognita-ს. კომუნიკაციური სტრატეგიები და ტაქტიკა არ არის უნივერსალური მსოფლიო კულტურისათვის, სტრატეგიების ერთობლიობა განპირობებულია პროფესიული საქმიანობის ერთიანი ხასიათით, მით უმეტეს საზღვაო კომუნიკაციაში, სადაც ტიპური პროფესიული სიტუაციებისთვის შემუშავებულია სტანდარტული ფრაზარიუმი ინგლისურ ენაზე, რომელიც აღიარებულია მეზღვაურთა

საერთაშორისო ენად, მაგრამ ყველა ეროვნულ კულტურაში არსებობს საკუთარი სამეტყველო ტაქტიკის ნაკრები და მათი გამოხატვის ენობრივი სპეციფიკა.

ნებისმიერი პროფესიონალის მომზადება ორიენტირებულია პროფესიული კომპეტენციის გამომუშავებაზე, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კომუნიკაციური კომპეტენცია (ანუ ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა სხვისი სამეტყველო ქცევის გასაგებად და თავისი სამეტყველო პროგრამის ადეკვატურად განხორციელებისთვის).

საზღვაო კომუნიკაცია ოფიციალური ან არაოფიციალურია. აქედან პირველი ძირითადად (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მიმდინარეობს მეზღვაურთა საერთაშორისო ენაზე, ინგლისურზე, ხოლო მეორე კი მრავალენობრივია, ვინაიდან ინტერნაციონალურ ეკიპაჟებში ბევრი ლინგვოკულტურული ჯგუფი არსებობს. სემიოტიკური თვალსაზრისით საზღვაო კომუნიკაცია მოიცავს ვერბალურ და არავერბალურ ხერხებს, აქედან ჭარბობს უშუალო ვერბალური კომუნიკაცია, მაგრამ გარკვეულ ტიპურ სიტუაციებში გამოიყენება არავერბალური, უფრო ხშირად კი გვხვდება ვერბალურისა და არავერბალურის ნაერთი. ფუნქციონირების მასშტაბის მიხედვით ოფიციალური საზღვაო კომუნიკაცია ლოკალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ხორციელდება პროფესიულ ჯგუფში, მაგრამ არაოფიციალური ურთიერთობის დროს საკმაოდ ინტენსიურია შიდაჯგუფური და ინტერპერსონალური ურთიერთობის ხვედრით წილი. კომუნიკანტების სტატუსიდან გამომდინარე მეზღვაურთა კომუნიკაცია იერარქიულია, მაგრამ დემოკრატიულიც შეიძლება იყოს. საზღვაო კომუნიკაციის ინტერკულტურული თავისებურებანი უქვევლია, მაგრამ ამ საკითხშიც საკმაოდ სპეციფიკურია.

საზღვაო კომუნიკაცია წარმოადგენს კულტურათაშორისი პროფესიული კომუნიკაციის რთულ სახეობას, რომელსაც ახასიათებს წარუმატებლობის განსხვავებული ფორმები: უმნიშვნელო შეცდომიდან, უზუსტობიდან დაწყებული გაუგებრობით და ზოგჯერ კონფლიქტით დამთავრებული. ჩვენი ვარაუდით, პროფესიული კომუნიკაციის წარმატებულობას ხელს უწყობს კულტურების ცოდნა, კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება, კარგი პროფესიული მომზადება და სხვ. რაც ხელს უწყობს ყველა ტიპური სიტუაციისთვის

შესაბამისი სამეცნიერო ქცევის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომხატველი სტანდარტული ფრაზების ცოდნას.

საერთაშორისო ინგლისური ენის ფუნქციონირების მიუხედავად, საზღვაო კომუნიკაციაში არსებობს საკმაოდ სერიოზული პრობლემები:

- მრავალეროვნული ეკიპაჟების პროფესიულ საქმიანობაში შეიმჩნევა ფონეტიკური ინტერფერენციით გამოწვეული უზუსტობები და გაუგებრობები;
- მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენის სერტიფიკატი აუცილებელია ყველა მეზღვაურისთვის, მათს მეცნიერებაში შეიმჩნევა სამეცნიერო პრაქტიკის ნაკლებობით გამოწვეული ხარვეზები;
- ინგლისური ენის ძალიან განსხვავებული „ეროვნული ვარიანტების“ არსებობა საგრძნობლად უშლის ხელს წარმატებულ პროფესიულ კომუნიკაციას, ამიტომ, როდესაც წარუმატებელი ურთიერთობა გახდა მთელი რიგი სახიფათო სიტუაციის მიზეზი, უკვე გამკაცრდა ინგლისური ენის ჩაბარება სპეციალურ პროფესიულ საერთაშორისო ენობრივ ცენტრებში;
- კულტურული ფონური ინფორმაციის არცოდნა არის მეზღვაურთა ურთიერთობის წარუმატებლობის მიზეზი ძირითადად არაოფიციალური დემოკრატიული კომუნიკაციის ფარგლებში, ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში.

საზღვაო კომუნიკაციას, რა ენაზეც უნდა ხორციელდებოდეს, აქვს გარკვეულწილად მსგავსი ნიშან-თვისებები, რომლებიც, პირველ რიგში, გამონათქვამის ერთიანი ილოკუციური ძალით არის განპირობებული, მსგავსი სტრატეგიები გამოიყენება. ჩვენს ნაშრომში განხილული საზღვაო კომუნიკაციაში გამოყენებადი სამეცნიერო სტრატეგიები (იმპერატიული ურთიერთობის სტრატეგია, ინფორმაციული დიალოგების, კოოპერაციული არაკონფრონტაციული ურთიერთობის სტრატეგია, ურთიერთგაგების სტრატეგია, მანიპულირების სტრატეგია) არ ამოწურავენ საზღვაო კულტურათმშორის ურთიერთობის

სპეციფიკას, მაგრამ ისინი ახასიათებენ ძირითად ტიპიურ სიტუაციებს, რომლებიც ხშირად გვხვდება მეზღვაურთა პროფესიულ საქმიანობაში.

ჩვენს ნაშრომში კომუნიკაციური ტაქტიკის ცნება გააზრებულია, როგორც მინიმალური სამეტყველო ქმედება, რომელსაც მივყავართ მოსაუბრის მიზანთან არჩეული სამეტყველო სტრატეგიის ჩარჩოებში. სამივე ლინგვოკულტურისთვის საზღვაო კომუნიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე ტაქტიკა გავაანალიზეთ გამოყენების სიხშირის მიხედვით: ყველაზე გამოყენებად ტაქტიკად აღიარებულია ბრძანება, შემდეგ მოდის პირდაპირი კითხვების ტაქტიკა, ინფორმაციის დაზუსტების ტაქტიკა, რჩევის, გაფრთხილების ტაქტიკა; შედარებით ნაკლები სიხშირით გამოიყენება შემდეგი თხოვნის, შემოთავაზების, ვარაუდის ტაქტიკა.

მოცემული საზღვაო ბრძანებების რუსული ეკვივალენტები ინგლისურ შესატყვისებზე უფრო ლაკონიურია, რაც აიხსნება ინგლისური ენის ანალიტიკური ხასიათით, რომელიც გულისხმობს დამხმარე ფორმებისა და არტიკლების ფართო გამოყენებას, რუსულ ენაში კი ჭარბობს სინთეტიკური წყობა, რაც ხელს უწყობს მაქსიმალურ შეკუმშვას (მიუხედავად ამისა, ხანდახან ზოგიერთი რუსული გრამატიკული ფორმა ართულებს სტანდარტულ ფრაზებს). ქართული ბრძანებები უფრო ახლოსაა შესაბამის რუსულ კონსტრუქციებთან.

რაც შეეხება სტანდარტული ფრაზების თარგმნის პრობლემებს, ჩვენ გამოვყავით სამი ძირითადი ჯგუფი: 1) თარგმნის ლექსიკური პრობლემები; 2) გრამატიკული პრობლემები, რომლებიც განპირობებულია ენობრივი სისტემების განსხვავებული შესაძლებლობებით; 3) კულტურული წეს-ჩვეულებების უცოდინრობით გამოწვეული პრობლემები, რომლებიც კონცენტრირებულია მეზღვაურთა არაოფიციალურ ინტერკულტურულ კომუნიკაციაში.

საზღვაო სტანდარტულ ფრაზებში ყველაზე მრავლად წარმოდგენილია ლექსიკური თავისებურებებით განპირობებული ხარვეზები, კერძოდ, ტერმინების თარგმანში ჭარბობს ტრანსკრიბირებული და კალკირებული ფორმები, რომლებიც ბრძანებებშიც გვხვდება; ასევე სინონიმით და ომონიმით გამოწვეული სირთულეები; განსაკუთრებულ პრობლემას ქართულ ენაზე თარგმნისას

წარმოადგენს საზღვაო აბრევიატურები, რომლებიც მრავლად გამოიყენება ინგლისურსა და რუსულ ენებში.

და ბოლოს გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ყველა ენას აქვს „კომუნიკაციური მანევრირების“ განსხვავებული შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთსა და იმავე პროფესიულ სიტუაციებს განვიხილავთ, მათი ვერბალიზაცია მეტყველებაში განსხვავებულია სხვადასხვა ენაში. მიღებული შედეგები იმის დასტურია, რომ საჭიროა საზღვაო სამეტყველო ქცევის ღრმად შესწავლა მეტყველების დაგეგმარების და თარგმნის კუთხით.

ბიბლიოგრაფია:

- 1) არძენაძე ა. კითხვის გამოხატვის სტრატეგია და ტაქტიკა რუსულ დისკურსში. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2003.
- 2) არაშიძე მ. საზღვაო კომუნიკაციის ფრაზარიუმის სტრუქტურა და მისი ტექსტლინგვისტური სტატუსი. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. ბათუმი. 1995.
- 3) ბეიკერი კ., ბილინგვური განათლებისა და ბილინგვიზმის საფუძვლები, თბილისი, 2010.
- 4) ბერაძე თ., ნაოსნობა ძველ საქართველოში, ბათუმი, 1981.
- 5) ბერიკაშვილი მ. მეტყველების კულტურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თბილისი „ინტერნიუსი“. 2001.
- 6) კუტაღიშვილი ზ., ნაოსნობა საქართველოში, თბილისი 1987
- 7) ლადარია ნ., სოციოლინგვისტიკა, თბილისი. 2002.
- 8) ლებანიძე გურამ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი. 2004.
- 9) ლებანიძე გურამ. ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი. 1998.
- 10) ცაგარელი ლ. კულტურის კვლევების შესავალი. თბილისი. 2016.
- 11) ტერ-მინასოვა ს.გ. ენა და კულტურათმშორისი კომუნიკაცია. თბილისი, უნივერსალი, 2017.
- 12) წიბახაშვილი გ. აბრევიატურების საკითხისათვის ქართულში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბილისი. 1965.
- 13) Апресян Ю.Д. Коннотация как часть прагматики слова // Избранные труды. Интегральное описание языков и системная лексикография. Т.2. М.: Шк. «Яз. рус. культуры», 1995. с. 156-177.
- 14) Арутюнова Н. Д. Язык и мир человека - М.: Языки русской культуры. 1999.
- 15) Бархударов Л. С. Язык и перевод (Вопросы общей и частной теории перевода). М., 1975.
- 16) Барышников Н.В. Основы профессиональной межкультурной коммуникации. М. 2013.

- 17) Беликов В.И., Крысин Л.П. Социоллингвистика. М., 2001.
- 18) Белл Р.Т. Социоллингвистика: Цели, методы, проблемы / под ред. А.Д.Швейцера. М., Международные отношения, 1980.
- 19) Верещагин Е. М., Костомаров В. Г. Язык и культура: три лингвострановедческие концепции. М., 2005.
- 20) Вежбицкая А. Понимание культуры через посредство ключевых слов / Пер. с англ. М., 2001.
- 21) Гавра Д. П. Основы теории коммуникации. 1-е изд. СПб.: Питер, 2011.
- 22) Гарбовский Н.К. Сопоставительная стилистика профессиональной речи: на материале русского и французского языков. М., 1988.
- 23) Гойхман О.Я., Надеина Т.М. Речевая коммуникация. М., Инфра-М, 2007.
- 24) Гриценко Т.Б. Этика делового общения. Учебное пособие / М.: Центр учебной литературы, 2007.
- 25) Гумбольдт В. Язык и философия культуры. М., 1985.
- 26) Демьянков, В. З. Доминирующие лингвистические теории в конце XX века [Текст] / В. З. Демьянков // Язык и наука конца 20 века. – М. : Институт языкознания РАН, 1995.
- 27) Демьянков В.З. Когнитивная лингвистика как разновидность интерпретирующего подхода. //Вопросы языкознания. – 1994. - № 4. – С. 17-33.
- 28) Зимняя И.А. Психология обучения неродному языку. М., Русский язык, 2006.
- 29) Зарецкая Е.Н. Риторика: Теория и практика речевой коммуникации. М., Дело, 1998.
- 30) Иссерс О.С. Коммуникативные стратегии и тактики русской речи. М., 2006.
- 31) Иссерс О.С. Речевое воздействие. М., Изд. наука, 2013.
- 32) Каминская Л.И., Учебник Английского для мореходных училищ, М., 1990.
- 33) Канделаки Т.Л. Работа по упорядочению научно-технической терминологии и некоторые лингвистические проблемы, возникающие при этом. Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970.

- 34) Карасик В. И. Языковой круг: личность, концепты, дискурс: монография. — Волгоград: Перемена, 2002.
- 35) Караулов Ю.Н. Русский язык и языковая личность. М., Наука, 2007.
- 36) Китаевич Б. Е., Сергеева М. Н., Каминская Л. И., Учебник Английского для мореходных училищ. М., 1990.
- 37) Ключев Е.В. Речевая коммуникация. Успешность речевого взаимодействия. М., Рипол Классик, 2002.
- 38) Козер Л. А. Функции социального конфликта / Пер. с англ. О. Назаровой; Под общ. ред. Л. Г. Ионина. — Москва: Дом интеллектуальной книги: Идея-пресс, 2000.
- 39) Комиссаров В. Н. Современное переводоведение. М., 2002.
- 40) Конечная В.П. Социология коммуникации. М., 1997.
- 41) Красных В.В. Картина мира vs. языковая картина мира. "Свой" среди "чужих": миф или реальность? / Красных В.В. – М.: ИТДГК "Гнозис", 2003.
- 42) Леонтьев А.А. Основы психолингвистики. М.: Смысл, СПб.: Лань. 2003.
- 43) Леонтович О. А. Русские и американцы: парадоксы межкультурного общения: монография. М.: Гнозис, 2005.
- 44) Лотман Ю.М. Структура художественного текста. М., 1970.
- 45) Маслова В.А. Лингвокультурология. М.: Академия, 2001.
- 46) Международный свод сигналов 1965: МСС-1965. Москва.
- 47) Мечковская Н. Б. Семиотика: Язык. Природа. Культура: Курс лекций. М., 2004.
- 48) Найда Ю.А. К науке переводить. Принципы соответствий. Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. М., 1978.
- 49) Остин Дж. Слово как действие // Новое в зарубежной лингвистике. ... Vol. 17: the Theory of speech acts. М. Progress. 1986. Pp. 22-129.
- 50) Почепцов Г.Г. Теория коммуникации. М., Изд-во Рейфл-бук. 2001.
- 51) Садохин А.П. Введение в межкультурную коммуникацию. М., 2005.
- 52) Серль Дж. Р. Что такое речевой акт // Новое в зарубежной лингвистике. М.: Прогресс, 1986. Вып 17. Теория речевых актов. С. 151-169.

- 53) Социальная психология: Учебное пособие для вузов (под ред. Сухова А.Н., Деркача А.А.). Серия: Высшее образование. М., 2001.
- 54) Шарков Ф.И. Коммуникология: основы теории коммуникации. М., 2012.
- 55) Швейцер А. Д., Социолингвистические основы теории перевода. В. Я.1985. №5.
- 56) Щерба Л. В. Языковая система и речевая деятельность / Ред. Л. Р. Зиндер, М. И. Матусевич; Акад. наук СССР, Отд-ние лит. и яз., Комис. по истории филол. наук. — Л. : Наука. Ленингр. отд-ние, 1974.
- 57) Bezhanovi Z. A., Guide to Maritime English. Batumi. 2010.
- 58) Fromkin V., Rodman R., An introduction to Language, USA. 2003.
- 59) Kramsch Claire. The Multilingual Subject // Modern Language Journal (Mod Lang J). 2011.
- 60) Pataraiia N., Gabunia M., Bezhanovi Z. A., practical course of standard maritime navigational vocabulary in use, Batumi. 2006.
- 61) Rodinadze S., Mikeladze T., English for marine Engineers. Batumi. 2010.
- 62) Rodinadze S., Essential English for Motormen. Batumi. 2010.
- 63) Habermas J. Theorie des kommunikativen Handeln. B.I. Handlungsrationalität und gesellschaftliche Rationalisierung — Frankfurt: Suhrkamp Verlag, 1981.
- 64) Hall Edward T. Beyond culture. New York. 1976.

ლექსიკონები და ენციკლოპედიები:

1. აბულაძე, 1973 – აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
2. ბარათაშვილი ვ. რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული საზღვაო ტერმინოლოგია, თბილისი, 1982.
3. გვარჯალაძე თ., გვარჯალაძე ი., ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, თბილისი, 1999.
4. დვალრი რ., რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია, თბილისი, 1977.

5. მასურაძე მ., ნონიკაშვილი დ., თანამედროვე ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, თბილისი. 2004.
6. ოშიაძე ვ. ტექნიკური ტერმინოლოგია, თბილისი. 1942.
7. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი. 2001.
8. სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. თბილისი, 1949.
9. ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, <http://ena.ge/explanatory-online>
10. ქართული ლექსები: <https://www.aura.ge/317-leqsebi-deda-enaze.html>
11. ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=grc> , <http://gnc.gov.ge/gnc/concordance>
12. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4752>
13. Английский для морфлота <http://more-angl.ru/frazy-i-leksika/>
14. Большой энциклопедический словарь русского языка. Электронный ресурс. <https://gufo.me/dict/bes/%D0%A0%D0%A3%D0%A1%D0%A1%D0%9A%D0%98%D0%99%D0%AF%D0%97%D0%AB%D0%9A>
15. Караулов Ю. Н. Русский ассоциативный словарь как новый лингвистический источник и инструмент анализа языковой способности // Русский ассоциативный словарь. Кн. 1. М., 1994.
16. Прохоров Ю.Е. (ред.) Россия. Большой лингвострановедческий словарь/ М.: АСТ-ПРЕСС, 2007.
17. Crystal D., The Cambridge Encyclopedia of Language, Cambridge. 1989.
18. Oxford English Dictionary on Historical Principles (OED). Oxford University Press, 1989.
19. Stevenson A. (ed.), Shorter Oxford English Dictionary. Sixth Edition (SOED). Oxford University Press, 2007.
20. Standard Marine Navigational Vocabulary – SMNV. 1977 / 1985.

ინტერნეტ-რესურსი

Oberg K., Culture Shock and the Problem of Adjustment in New Cultural Environments

https://d31kydh6n6r5j5.cloudfront.net/uploads/sites/467/2020/07/Culture_Shock.pdf

კოჭარაძე ოთარ. თანამედროვე კულტურა და კომუნიკაცია.

http://otarkochoradze.blogspot.com/2009/12/blog-post_4771.html

James A. Ruggieri, P.E., *General Machine Corp*, September 01, 2002,

<http://www.ecmweb.com/content/case-runaway-ship>

საქართველოს საზღვაო კოდექსი.

http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/transporti/Sazghvao_kodeqsi.pdf

საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“

http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/transporti/mezgvaurta_ganatileba_da_sertif icireba.pdf

მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ.

http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/transporti/mezgvaurta_ganatileba_da_sertif icireba.pdf

Штейнберг М. Военное обозрение. №3. 01.2005. <http://www.deepstorm.ru/8-march.htm>

Корабельный портал http://korabley.net/news/ehkipazh_sudna/2010-12-14-726

Международный Свод Сигналов (МСС-1965). <http://www.randewy.ru/sign/mss.html>

IMO STANDARD MARINE COMMUNICATION PHRASES (<http://saillife.ru/wp-content/uploads/2015/04/Frazi.pdf>)

„The Maritime Telegraph” <http://www.mtelegraph.com/history-of-mixed-crew.html>

საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“

http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/transporti/mezgvaurta_ganatileba_da_sertif icireba.pdf

პაატა ცაგარეიშვილი <https://report.ge/economics/schirdeba-tu-ara-sakartvelos-sazghvao-savachro-floti/>